

# სხანი უმკობლად



თებერვალი 2013 №87  
ფასი 7 ლარი



სპეცპროექტი  
**IX**  
ბლოკი

ისტორია

**ნათია აბრამია**

მანია ნიქლაური

ინტერვიუ

**CHINAWOMAN**

ენო რიბაკაძე

სტილი

**RODARTE-ის**

**ეფექტი**

ვგზავნია პარკით





# olives & extra virgin olive oil KALAMATA

*"ო, ზეთისხილო, მე ვიცი შენი ჯადოსნობა - შენ სისხლს მოიპოვებ მიწიდან სამყაროსათვის."  
ფედერიკო გარსია ლორკა*

სწორედ ეს "დედამიწის სისხლი", ზოგჯერ ქარვისფერი და ზოგჯერ მომწვანო, დღესდღეობით სწორედ ეს ზეთი ფასობს ყველაზე ძვირად მთელს მსოფლიოში.

არქეოლოგები ამტკიცებენ, რომ ზეთისხილის ხეების მოშენება დაიწყო ხმელთაშუა ზღვისპირეთში ექვსი ათასი წლის წინ, ხოლო ჩვენს წელთაღრიცხვამდე არცთუ ისე ადრე, ორიათასხუთასი წლის წინ ხმელთაშუა ზღვისპირეთის მცხოვრებლებმა ისწავლეს ზეთისხილის ნაყოფიდან ღვთაებრივი ნექტარის - ზეთუნის ზეთის მოპოვება.

მესენიის დედაქალაქი - უძველესი ქალაქი კალამატაა, რომლის ნაყოფიერი მიწა ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში დიდად განთქმული იყო და ძვირად ფასობდა. სწორედ აქ მზადდება მსოფლიოში ყველაზე ცნობილი ზეთისხილი და ზეთუნის ზეთი "კალამატა", რომელიც მთელი რიგი ქიმიური ანალიზების ჩატარების შემდეგ კლასიფიცირდება როგორც პირველი (ცივი) წნეხვის ზეთუნის ზეთი.

ჩვენ სიამაყით წარმოგიდგენთ ზეთუნის ზეთს, რომლის უნიკალურობას ვერ აღწერ სიტყვებით, მისი აღქმა შესაძლებელია მხოლოდ გემოს შეგრძნებით. მას აქვს დამახასიათებელი გემო, რომელიც ბოლოს ტოვებს დახვეწილ სიციხარეს, რომლითაც ასე ცნობილია ეს მხარე. აღნიშნულ პროდუქტს მინიჭებული აქვს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის სერთიფიკატი. მისი გემოს უნიკალურობა განპირობებულია ზეთისხილის პლანტაციების იდეალური გეოგრაფიული მდებარეობით, რომელიც მსოფლიოში ფაქტიურად ერთადერთია და დახვეწილი მიკროკლიმატით, რაც ხელსაყრელია საუკეთესო ხარისხის ზეთუნის ზეთის შექმნისათვის.

ეს არის «Black Label»-ის დონის პროდუქტი ზეთუნის ზეთის წარმოების სფეროში. მისი წარმოების უსაფრთხო ნიშანი PDO (Protected Designation of Origin) ადასტურებს, რომ ზეთი დამზადებულია გარკვეულ ტერიტორიაზე მოყვანილი ზეთისხილისაგან, წარმოების მისთვის დამახასიათებელი ტექნოლოგიით. ჩვენს შემთხვევაში კი უშუალოდ ქალაქ კალამატას რაიონში.



იკითხეთ  
"GPC"-ის, "City Pharma"-ს და  
"Goodwill"-ის ქსელებში

## ზეითუნის ზეთი – სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წყარო

ზეითისხილის სასარგებლო თვისებები აღმოჩენილი იყო ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 500 წლის წინ, მაგრამ მხოლოდ მე-20 საუკუნეში, მეცნიერების ბოლო მიღწევების წყალობით გახდა შესაძლებელი იმის დადგენა თუ რამდენად სასარგებლოა ზეითუნის ზეთი. ძველად ამ პროდუქტს "თხევად ოქროს" უწოდებდნენ, და არც თუ უსამართლოდ. ზეითუნის ზეთი შეიცავს ანტიოქსიდანტებს, ვიტამინებს და უჯერ მჟავებს, რომლებიც აუმჯობესებენ ნივთიერებათა ცვლას, აძლიერებენ სისხლძარღვებს, აუმჯობესებენ მხედველობას და ამცირებენ კიბოს განვითარების რისკს.

მეცნიერებმა თავის დროზე აღმოაჩინეს ამ ზეთის საიდუმლოება: აღმოჩნდა, რომ იგი შეიცავს ოლეინის მჟავას, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია მადის კონტროლი, რაც გვეხმარება, თავიდან ავიცილოთ ჭარბი კვება, რომელიც ასევე, ადამიანს ოპტიმისტურად განაწყობს და სიცოცხლის ხალისს მატებს.

ზეითუნის ზეთი განსაკუთრებით სასარგებლოა ბავშვებისათვის, რადგან სტიმულაციას უწევს ძვლის ქსოვილის ზრდას. ბრიტანულმა მეცნიერებმა დაადგინეს რომ ზეითუნის ზეთის "Extra Virgin"-ის ცხიმმჟავები თავისი შემადგენლობით უახლოვდებიან დედის რძეში შემავალ ცხიმებს.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მრავალრიცხოვანი კვლევების შემდეგ დადგენილია, რომ "ხმელთაშუა ზღვის" კვება სასარგებლოა ადამიანისათვის და ხელს უწყობს მისი სიცოცხლის ხანგრძლივობას. ამ ორგანიზაციამ პირველმა წარმოაჩინა ხმელთაშუა ზღვის საკვების პირამიდა, როგორც ჯანსაღი კვების პროტოტიპი, რომელიც დაფუძნებულია ზეითუნის ზეთის და ზეთისხილის გამოყენებაზე.

## ბერძნული სალათა

ნუ შეეცდებით ნამდვილი ბერძნული სალათის რეცეპტის ძებნას ინტერნეტში, თქვენ იხილავთ მილიონობით ვარიანტს, მაგრამ მისი დამზადების ნამდვილ ხერხს ისწავლით იმ შემთხვევაში, თუკი წახვალთ საბერძნეთში და ყველაფერს თქვენი თვალთა ნახავთ. თუმცა, თუ ასეთი მოგზაურობა ამჟამად თქვენთვის არ არის ხელმისაწვდომი, ჩვენ გაგიზიარებთ ამ საიდუმლოს:

- პომიდორი უნდა იყოს დიდი, მწიფე - იჭრება დიდ ნაჭრებად (ნამდვილ ბერძნულ სალათაში არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოიყენოთ პომიდორი "ჩერი").
- მსხვილი, ქორფა კიტრი, რომელიც აუცილებლად უნდა გაითალოს და უნდა დაიჭრას აგრეთვე მსხვილ ნაჭრებად, რათა ზეითუნის ზეთი არ გათხელდეს და არ დაეკარგოს არომატი.
- ასევე მსხვილ რგოლებად იჭრება ვარდისფერი ტკბილი ხახვი.
- ნახევარრგოლებად იჭრება ტკბილი, მწვანე წიწკა.
- ბერძნული ზეთისხილი, მეწამული ან მუქი ვარდისფერი.
- ყველი "ფეტა", იდება ერთ დიდ ბრტყელ ნაჭრად, ყველაზე ბოლოს, ზემოდან, სალათის ამორევის შემდეგ!
- ზეითუნის ზეთი - მხოლოდ "Extra Virgin", სასურველია მწვანე ფერის, მოახსით დიდი რაოდენობით, ისე რომ სალათის ნახევარი დაიფაროს ზეთში.
- ხმელი ორეგანო - სამხრეთული სიცხარის შარმი.
- და მარილი.

თქვენ რა თქმა უნდა, სალათაში შეგიძლიათ სხვა ინგრედიენტებიც დაამატოთ, მაგრამ ეს უკვე არ იქნება ბერძნული სალათა.



მიირთვით გემრიელად!

καλή όρεξη! [კალი ორეჯი!]



# bed LOUNGE



## ნაცნობი ტაბიძის 3/5

ტაბიძის ქუჩაზე ერთი ძველი შენობა დგას, ისტორიული კედლებითა და კარით. სწორედ ამ სახლში თავის დროზე ნავთობის მაგნატი ცნობილი ალექსანდრე მანთაშვილი ცხოვრობდა. ამჟამად შენობა ქალაქის ძეგლების სიაშია შეტანილი, თუმცა ისტორიული ღირებულების გარდა, მას კიდევ ერთი სასიამოვნო დატვირთვა აქვს. დღეს აქ მსოფლიოში ცნობილი რესტორნების ქსელი Bed Lounge ფუნქციონირებს.

ტაბიძის 3/5-ში Bed Lounge დაახლოებით წელიწადნახევრის წინ გაიხსნა. როგორც წესი, აქ ისინი დადიან, ვისაც დასვენება და განტვირთვა ნაკლებად ხმაურიან გარემოში სურს.

გაითვალისწინეთ, რომ დრეს კოდის დაცვა, კარში კი „ფეის კონტროლის“ გავლა მოვიწყვეთ. ატმოსფერო კი აქ მართლაც სასიამოვნოა. კარში შესვლისას რამდენიმე ფერის სივრცე დაგხვდებათ: მარჯვნივ – თეთრი, მარცხნივ – შავ ფერებში გადაწყვეტილი, ზედა სართულზე კი სუშის მოგართმევინ.

აქსურობა დღის 12 საათიდან ღიაა. 15:00 საათამდე Bed Lounge-ში ლანჩის დროა: შეგიძლიათ ევროპული ან სუშის ლანჩ მენიუდან სასურველი კერძი აარჩიოთ და გემრიელად მიირთვათ. ამბობენ, რომ სუშიზე დიდი მოთხოვნაა, განსაკუთრებით ლანჩის დროს, ალბათ იმიტომ, რომ მას აქ განსხვავებულ ფასად შემოგთავაზებენ. ხოლო თუ მინცდამინც მკაცრად განსაზღვრული დრო არ გაქვთ ან სამუშაო გარემო მოგებნრდათ, ლანჩისას შეგიძლიათ ნოუთბუქიც თან გაიყოლოთ: აქ Wi-Fi ყოველთვის არის, თანაც მაღალსიჩქარიანი. Bed Lounge-ში სასურველ ადგილს საღამოობითაც ბევრი იპოვის. თანაც, თუ Chillout მუსიკა მოგწონთ: ყოველდღე, საღამოს 8 საათიდან, დიჯეი თქვენს საყვარელ ჟანრს 4 საათის განმავლობაში დაუკრავს.

ქვედა სართულზე კიბით ჩადიხართ. აქ ყოველ პარასკევს და შაბათს 23:00 საათიდან Bed Lounge-ს კლუბის კარი იხსნება,

ივენტები წინასწარ იგეგმება. ძირითადად funk, popfunk, house ჟღერს, იმართება ცოცხალი კონცერტებიც. პარასკევს და შაბათს გარდა, კლუბი კორპორატიულ და სხვა კერძო საღამოებზეც იხსნება. როგორც მითხრეს, აქ 150 ადამიანი ეტევა.

მაღე კი Bed Lounge-ში მოსულებს სიახლე დახვდებათ: კლუბს კარაოკე დაემატება. ამას გარდა, პარასკევს და შაბათს გარდა, მის სპეციალურად გამოყოფილ ნაწილში 10-15 წლამდე სტუმრებისთვის საბანკეტო დარბაზიც იქნება გამოყოფილი.

კერძები უგემრიელესია: ევროპული და იაპონურიც. მე შებოლილი ორაგულის სალათი მომწონს, თხლად დაჭრილი ორაგულით, მდნარი ყველით, მუხავე კიტრით და კაპერსით... მარილისა და პილპილის ნაზავს ლიმონის წვენიც ართმეტიც ემატება. დავემოვნების პროცესს კიდევ უფრო სასიამოვნოს ხდის პარმეზანის და სალათის ფურცლების დეკორაცია. თუ ვეგეტარიანელი ხართ, მაშინ მარაკანულ სალათს გირჩევთ: ბოსტნეულით მზადდება, ბალზამიკო, დარიჩინი და შაქრის პუდრი კი უჩვეულო და ეგზოტიკურ გემოს აძლევს მას.

დესერტის მოყვარულებს შოკოლადის ბრაუნი, ცივი ჩისქეიქი ან ვაშლის სტრუდელი შეუძლიათ მიირთვან. რაც შეეხება სასმელს, საფირმო კოქტეილი Bed Lounge მართლაც არაჩვეულებრივია: მწვანე და ყვითელი ფერები კოქტეილს განუმეორებელ ვიზუალურ ეფექტს ანიჭებს, ფერადია დაღვევის ცერემონიაც, აი, გემო კი – მართლაც ცეცხლოვანი და დაუვიწყარი: სიგხარე თანდათან იკლებს და სასმელი ნელ-ნელა ტკბება, თუმცა გვარიანად შეგამარხოშებს.

მოკლედ, თუ Bed Lounge-ში ჯერ არ ყოფილხართ, მაგრამ კიდევ უფრო მეტი დეტალი გაინტერესებთ, facebook-ის გვერდზე შეისიერეთ: <https://www.facebook.com/bedlounge.tbilisi>.



# GUINNESS®

## ლუდის ლეგენდა თბილისში

მსოფლიოში ლუდის ძალიან ბევრი ბრენდია, მაგრამ მათ შორის არის ერთი, რომელიც გულგრილს ვერავის ტოვებს. ეს Guinness-ია, ყველაზე ცნობილი ლუდი. დასვეწილმა გემომ, უნიკალურმა ესთეტიკამ და სწორად დაგეგმილმა მარკეტინგულმა კამპანიებმა 250 წელია მას ეს წარმატებული სტატუსი შეუნარჩუნა, უფრო მეტიც Guinness თითოეული ირლანდიელის სიამაყე და მთლიანად ამ ქვეყნის სიმბოლოა.

ირლანდიაში იმასაც ამბობენ, რომ პირველი ლუდის მომზადებაში სერ არტურ გინესს ადგილობრივი ჯადოქრები დაეხმარნენ, რომლებმაც სასმელს უკვდავება მიანიჭეს. ცხადია, ეს ზღაპარია, თუმცა სიმართლის მარცვალის მასში ნამდვილად არის. ყველაფერი კი შორეულ 1759 წელს დაიწყო.

არტურ გინესი ლუდის ხარშვაში ჯერ კიდევ სკოლის ასაკიდან მონაწილეობდა. მამის სიკვდილის შემდეგ, მის მიერ დატოვებული 200 ფუნტი ძმასთან, რიჩარდთან ერთად არენდით ლუდსახარში აიღო, თუმცა 3 წლის შემდეგ წარმოება მიატოვა და საცხოვრებლად დუბლინში გადავიდა. იქ მან ძველი ლუდსახარში შეიძინა, 9000 წლიან არენდაზე შეთანხმება წელიწადში 45 ფუნტად გააფორმა და ლუდის ხარშვა წამოიწყო. 1769 წელს Guinness ინგლისში ექსპორტზე გავიდა. მალე კი არტურ გინესის პორტერი კომპანიის საფირმო პროდუქტად იქცა. 1803 წლიდან, მამის სიკვდილის შემდეგ მისი საქმე შეიღებმა არტურმა, ბენჯამინმა და უილიამმა გააგრძელეს, თუმცა უფროსი არტურ გინესის ხელმოწერა ახლაც გამოიყენება Guinness Draught-ის ირლანდიური შეფუთვის ქილაზე.

როცა მამა გარდაიცვალა, უმცროსი არტურ გინესი 35 წლის იყო და ლუდის ხარშვაშიც ძალიან კარგად ერკვეოდა. მისი მმართველობა კომპანიისთვის განსაკუთრებით წარმატებული გამოდგა: Guinness-ის გაყიდვები წელიწადში 10%-ით იზრდებოდა. უმცროსმა არტურ გინესმა 87 წლამდე იცოცხლა, შემდეგ მისი მემკვიდრე ბენჯამინი გახდა, რომელიც კომპანიას 13 წელი მართავდა. 1992 წლიდან გინესების ოჯახი კომპანიის პირდაპირ მართვაში აღარ მონაწილეობს, თუმცა ფინანსურ ინტერესს ინარჩუნებს.

რამდენიმე საინტერესო ფაქტი Guinness-ის შესახებ:

უფროსი არტურ გინესი არასდროს ხარშავდა მუქ ლუდს, თუმცა მისი სახელი სტაუტის სინონიმად მაინც იქცა. მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ 1821 წელს უმცროსმა არტურ გინესმა შეადგინა Guinness Extra Superior Porter-ის რეცეპტი, რომელიც დღეს მთელ მსოფლიოშია ცნობილი.

Guinness-ის წარმოება მსოფლიოს 49 ქვეყანაში ხდება და 150 ქვეყანაში იყიდება.

წმინდა პატრიკის ტაძარი დანგრევას სწორედ ამ კომპანიის ფინანსურმა დახმარებამ გადაარჩინა.

Guinness-ის ჩამოსასხმელი ლუდის კათხა გაცილებით ნაკლებ, 198 კალორიას შეიცავს, ვიდრე ჭიქა ფორთოხლის წვენი.

Guinness-ს დასხმის საკუთარი წესი აქვს და ყველა ქვეყანაში მას მკაცრად იცავენ, იმიტომ, რომ ეს პროცესიც მისი ერთგვარი სამარკო ნიშანია. 560 გრამიან ბინტაში ჯერ მხოლოდ 2/3-ს ასხამენ და გარკვეული დროით აჩერებენ. როცა ქაფი სრულად დადგება, კათხა მხოლოდ შემდეგ ივსება. გინესის ქაფი მძიმეა, ამიტომ ტრადიციულად მიტანამდე მას სხვადასხვა ფიგურებს, ძირითადად კი ირლანდიის სიმბოლო სამყურას ასახავენ.

განსხვავებულია მისი მირთმევის წესიც: ჯერ უნდა დალიო იმდენი, რამდენსაც ერთი მოსმით შეძლებ, კათხაში დარჩენილი კი სამ ნაწილად გაყო და ნება-ნება მიირთვა.

ლუდთან ერთად მსოფლიოში ცნობილია Guinness-ის პაბები, რომლებიც თითქმის ყველა დიდ ქვეყანაშია გახსნილი. აზარტულ და მხიარულ ატმოსფეროს ფეხბურთის ფანები, და არა მარტო ისინი, ირჩევენ. დღეში ლუდის მოყვარულები დაახლოებით 3000-5000 კათხას სვამენ.

მოკლედ, ამ ლუდზე საუბარი უსასრულოდ შეიძლება. მთავარი კი ისაა, რომ პაბები და Guinness საქართველოშიც პოპულარულია. ასე რომ, თუ თქვენც ამ აღამაიანთა რიცხვს მიეკუთვნებით, მაშინ უკვე შეგიძლიათ ტაბიძის 3/5-ში მსოფლიოში ყველაზე ცნობილი ლუდის დააგემოვნოთ და ტრადიციული ირლანდიური ატმოსფეროთიც ისიამოვნოთ. ორ თვეში კი იქ ბუსტად ირლანდიური პაბის ანალოგი დაგხვდებათ: Guinness-ისთვის დამახასიათებელი ირლანდიური თემატის და კულტურის აქსესუარებით, ხის ელემენტებით, მწვანე და ყავისფერი ფერებით, დეკორაციებითა და ირლანდიურ ნაციონალურ სამოსში გამოწყობილი მიმტანებით. ლუდის სპეციალურად ირლანდიიდან ჩამოდის, სამზარეულო კი პაბებისთვის დამახასიათებელთან ერთად, ქართულ კერძებსაც აერთიანებს, ხოლო თუ ფეხბურთი გიყვარს, მაშინ მეორე სართულზე აბრძანდით და უზარმაზარ მონიტორთან მოკალათდით.

მოკლედ, Guinness ტრადიციებს ყველა ქვეყანაში მკაცრად იცავს, რაც ხარისხის გარანტიასაც იძლევა. საინტერესოა ისიც, რომ მას მთელ მსოფლიოში აქვს ფანკლუბები და ტრადიციები, რომელთა დანერგვა საქართველოშიც მოხდება. ადევნეთ თვალი Guinness-ის სიახლეებს მის Facebook-ის გვერდზე.

# სხანი შოკოლადი

N87, თებერვალი 2013



ყდა: გურამ ნიბახაშვილი  
ფოტო: ხათუნა ხუციშვილი

	08	რედაქტორის სვეტი
	10	ავტორთა სვეტები
<b>ნარდგენა</b>	12	გიორგი რუხაძე, მხატვარი
	14	„ტარიელ მკლავაძის მკვლევლობის საქმე“ <i>დავით ბუხრიკიძე</i>
<b>ანონსი</b>	16	6 მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც არ უნდა გამოტოვოთ <i>სალომე აფხაზიშვილი</i>
<b>რესტორნის კრიტიკა</b>	18	სალამი, „ნახვამდის“-ს <i>თამარ კვინიკაძე</i>
<b>საავტორო სვეტი</b>	20	... [აარონ შვარცის ხსოვნას] <i>ზურა ჯიშკარიანი</i>
	22	ოქროსფერი „ე“ <i>მაია სარიშვილი</i>
	24	წერილი საკუთარ თავს <i>რეტი ქართველიშვილი</i>
<b>ისტორია</b>	26	ნათია აბრამიას როლში <i>მაია ნიკლაური</i>
<b>IX ბლოკი: 90-იანები</b>	34	ზამთარი გადატანილია
	36	IX ბლოკი
<b>ინტერვიუ</b>	56	Chinawoman – ექსპერიმენტი, რომელმაც გაამართლა <i>ნინო ჩიმაკაძე</i>
<b>ლიტერატურა</b>	60	<i>ესე</i> ზამშის ფესხაცმელი <i>გუსტავ მურინი</i>
	64	<i>მოთხრობა</i> მომისმინე!.. <i>ეკა ტოგონიძე</i>
	72	<i>პოეზია</i> ნიკა ჩერქეზიშვილი, პოეტი
<b>რეცენზია</b>	74	ასე გვხედავენ უსიტყვებო ენიდან <i>გიორგი ლობჯანიძე</i>
	78	ავტორის სიკვდილის გამოცხადებული ქრონიკა <i>ალექს ჩიღვინაძე</i>
<b>წიგნები</b>	79	მიმოხილვა
<b>რეცენზია</b>	84	ჭამა, თითქმის სექსი და ქორწილი <i>დავით ბუხრიკიძე</i>
	86	შმაგია ღამე <i>დავით ბუხრიკიძე</i>
	88	რაჭველი და რაჭველიშვილი „ჯადოქრობის“ ნანგრევებში <i>დავით ბუხრიკიძე</i>
	90	ცხრა პიესა იმედით და უიმედოდ დამსხვრეულ ძალადობაზე <i>დავით ბუხრიკიძე</i>
<b>სტილი</b>	92	რედაქტორის სვეტი <i>თამარ ალაიძე</i>
	94	Rodarte-ის ეფექტი <i>ვეგენია პურეცი</i>
	102	კრისტიან დიორი ფერების შესახებ
	106	ეგზოტიკური ინსპირაციები
	112	Hi-tech მოდა <i>ნინო ნატროშვილი</i>



# გამოინერეთ ჟურნალი “ცხელი შოკოლადი”

შექმენით ქართული ფილმების უნიკალური კრებული

მიიღეთ ყოველთვიურად თქვენთვის სასურველ მისამართზე

[www.shokoladi.ge](http://www.shokoladi.ge)

ონლაინ გამოინერა



**მთავარი რედაქტორი**

თამარ ბაბუაძე  
„ლიტერატურა“  
ბექა ქურხული  
„სტილი“  
თამარ ალაიძე  
რედაქტორების ასისტენტი  
მარიამ სამადაშვილი  
რედაქტორ-სტილისტი  
რატი ქართველიშვილი  
არტრედაქტორი  
არჩილ თაბუკაშვილი  
დინჯანი

თორნიკე ლორთქიფანიძე  
კორექტორი

თამარ ლონაძე  
**ნომარზე მუშაობდნენ:**

მაია ნიკლაური, ალექს ჩიღვინაძე, დავით ბუხრიკიძე, გიორგი ლობჯანიძე, მაია სარიშვილი, რატი ქართველიშვილი, გუსტავ მურინი, ნინო ჩიმაკაძე, ალესანდრე ბაგრატიონ- დავითაშვილი, ზურა ჯიშკარიანი, ალექს ჩიღვინაძე, სალომე აფხაზიშვილი, ნინო ნატროშვილი.

**ფოტო:**

ლევან ხერხეულიძე, მარიკა ქოჩიაშვილი, მაკა გოგალაძე, ვია გოგატიშვილი, გიორგი გოგუა ილუსტრაციები:

თათია ნადარეიშვილი  
**გამომცემელი**  
შორენა შავერდაშვილი  
**პრეზიდენტი**  
ზინედა ბანანიშვილი  
რუსუდან ფურცელაძე  
**პარტნიორებთან ურთიერთობის მენეჯერი:**

ქეთევან ქავთარაძე, მარიამ მიქელაშვილი, სოფო პაპუნაშვილი, ნინო გონიაშვილი  
**დისტრიბუციის მისიელ მამუჩიშვილი**



**გამომცემლობა:**

შპს „მედია ჰაუსი დეკომი“  
მისამართი: თბილისი 0183, საქართველო  
ფლენტის ქ. 35, ტელ.: +995 32 247 10 05  
**სხვა გამომცემლები:**

„ლიბერალი“, „დილოგი“, „ქართული ღვინის გზაშედეგი“  
სტამბა:

„სეზანი“, თბილისი, ნერეთლის 140,  
ტელ.: 235 70 02

შურნალი გამოდის 2004 წლის  
25 დეკემბრიდან

© „მედია ჰაუსი დეკომი“ საავტორო უფლებები დაცულია. შურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი ან მთლიანი გამოყენება გამომცემლობის ნებართვის გარეშე აკრძალულია.  
„ცხელი შოკოლადის“ რუბრიკის სპონსორი არ ერევა შინაარსის შექმნაში.



**ხელის მსახურებელთა თაობა**

ჩვენ, 1979-1982 წლებში დაბადებულები, რომელ თაობას ვეკუთვინთ? – ასეთი საინტერესო დისკუსია გაგმართეთ ცოტა ხნის წინ მეგობრებმა. მე რომ დავიბადე, იმ წელს ირანის რევოლუცია მოხდა; მერე იყო ამერიკული დიპლომატიის 120-დღიანი კრიზისი, კიდევ მერე უეფას თასების თასზე თბილისის „დინამოს“ გამარჯვება. არა, ეს ფაქტები მხოლოდ გადმოცემით ვიცი, ამიტომ მათთან თვითიდენტიფიკაციას ვერ შევძლებ. სამაგიეროდ, შესანიშნავად მახსოვს ჩვენი ეზოს ბავშვების მიერ მოწყობილი შიმშილობა ჩვენს ქუჩაზე, 1989 წლის აპრილში. ძალიან ცხადად მახსოვს ისიც, რომ აპრილის გამოვლენებზე, დედას რომ მივყავდი მიტინგზე, უკვე მოკლე წინდა მეცვა... მერე მე ასფურცლიან, ღვინისფერყდიან რვეულში დღიურის წერა დავიწყე. ერთ რვეულშია მოქცეული ჩანაწერები: „ერაყის ამბები... ტელევიზორში თქვეს, ამერიკამ ეს დაბომბაო...“, „დილიდან რეკავენ სახლში და მილოცავენ, ზვიადმა 9 აპრილი დამოუკიდებლობის დღედ გამოაცხადა“, „წვიმის კაცი“ დაიწყო“, „მაკა ზაუტაშვილმა yesterday-ს ნოტები მაჩუქა და დღეს პიანინოზე გაგარჩიე“... მერე... 12-13 წლის გოგოსთვის ჩანაწერები კიდევ უფრო შეშლილი ხდება: კლასელი ბიჭები ჩვენს „კუტოკს“ ზვიადისტებს გვეძახიან, ერთხელ, სკოლის წინ, ხუმრობით, ცრემლსადენ გაზს გვასხამდნენ; გვიყვარს მაიკლ ჯექსონი; რიგ-რიგობით ვიხვევთ ყელზე მეგობრის ამერიკიდან ჩამოტანილ ბენდენას; მაგნიტოფონზე ყურს ვადებთ და სიმღერების ტექსტებს ვშიფრავთ...

ახლა ვხვდები, რალაცები განზრახ დავივიწყე იმ წლებიდან. მერე კი არ დავივიწყე, არამედ მაშინვე, როცა ხდებოდა, ვივიწყებდი. ეს მოზარდი გოგონას თვითგადარჩენისთვის საჭირო გულუბრყვილო (თუ განწირული) მანვერი იყო. გულუბრყვილო და განწირული კი უფრო იმიტომ, რომ ვერაფერიც ვერ დავივიწყე. არა მარტო მე, ყველა ჩემ თანატოლს ტვინის უჯრედებში გაგვივდა, ზოგს – ნადარევად დაბერების, ზოგს კომპლექსების, ზოგს მოძველებული ფასეულობების, ანდა სადღაც გაქცევის სურვილის სახით.

...იმ დისკუსიაზე დავადგინეთ: თაობა განისაზღვრება იმით, თუ რომელ წელს ვალწევთ სრულწლოვანების ასაკს. გამოდის, ჩემი თაობა 90-იანების შუახნიდან იწყება“, ანუ უფლებმა მაქვს, საკუთარ თავს 2000-იანიც დავარქვა. ვიყო 2000-იანი, მანსია, ჩემი შემოქმედით მოზარდობის მიუხედავად, ახალი საუკუნის ენერგეტიკა მაინც ხარბად ვისუნთქო. დავარჩე 90-იანელად – ნიშნავს, ჩავიკარგო იქაურობაში. მაგრამ იმისთვის, რომ ამ წლებს გადავაბიჯო, მგონი, ჯერ ერთი ერთზე უნდა დავარჩე მათთან, აღვადგინო და მხოლოდ მერე გადავაბიჯო, მოჩვენებები-სგან თავისუფალმა.

...ასე მგონია, ზუსტად ამას მოგანდომებთ გურამ ნიბახაშვილის დაუბეჭდავი წიგნი – „მეცხრე ბლოკი“ (გვ. 34). მომავლისთვის, ახალი დროის გამოწვევებისა და დილემებისთვის თვალის გასასწორებლად კი, აარონ შვარცის ბიოგრაფიაა ნასაკითხი და გასააზრებელი (გვ. 20). დაფიქრდით, რა თაობა ხართ? რა დროს ეკუთვინთ? რამდენის ძალა და გამბედაობა შეგნეთ?

*კეთილი სურვილებით, თამარ ბაბუაძე*





**CARTE  
NOIRE**  
Un café nommé désir

ყაყა, სანაღმარო უნდახატებ სანაღმარო



ალექსანდრე  
ბაბრატიონ-დავითაშვილი

შიგადაშიგ ვგრძნობ, რომ სადღაც მზის წნულის ძირში, პატარა მხედრიონელჩიკი მიზის. გაგებით და იდეალებით კი არა, პერიოდით რა.

ჩემი უფროსი მეგობრების ბრალია. იმ დროზე ამბები რომ მესმის, რომლებიც, წესით, ბუნდოვნად უნდა მახსოვდეს, მგონია, რომ იქ ვიყავი და მე გადამხდა. ჩემი მეგობრების უმეტესობა 90-იანების ჯგუფები არიან და მათი საყვარელი გასართობი იმ დროის ამბების მოყოლაა, მანქანაში ყველას მაკაროვი ან კალაშა რომ ედო. ამათაც ედოთ და თან მაგრად უსწორდებოდათ, რომ ედოთ.

„ამოილე, დაუშვი“, „კინო ყაზბეგი“, „კული ნარია“. მევასება ეს პერიოდი. გრძელი ბარნოვით, სველი იასამნებით და გასეირნებებით ყარაბაღში შავზე.

პირველ წერილს შოკოლადში ვწერ „მე-9 ბლოკზე“ – გურამ ნიბახაშვილის და თამუნა ქარუმიძის ნიგნზე, რომელშიც არის ის, რაც ინტერნეტს არ შემოუნახავს.

ვწერ იმიტომ, რომ „მე-9 ბლოკი“, რომელიც ოქტომბერში უნდა გამოსულიყო, არ დაიბეჭდა. კულტურის მინისტრის მოადგილემ, ალექსანდრე მარგიშვილმა საარაკო რამ თქვა: ნიგნის დაბეჭდვა გადაიფიქრა, რადგან არამომგებიანი პროექტია. მე ვფიქრობ, რომ კულტურის სამინისტრო არ არის დეზერტირების ბაზარი, შესაბამისად, ის არა პროდუქტის მომგებიანობით, არამედ სხვა ღირებულებებით უნდა ხელმძღვანელობდეს.

ერთხელაც გადაიფიქრეთ, ბატონო ალექსანდრე! ნუ დაგვიმალავთ ისტორიას და დაბეჭდეთ ნიგნი!

IX ბლოკი  
გვ. 36



მაიკო ნიკლაური

საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის შესარჩევი კონკურსი ერთ უწყინარ, არაპროგნოზირებად რიგით მოვლენად დარჩებოდა, რომ არა ნათია აბრამია, რომელმაც პროცესი თავდაყირა დააყენა. მართალია, კონკურსი წააგო, მაგრამ ნათია ამ კონკურსის მამოძრავებელ ძალად იქცა.

ბი-ბი-სი-ს ქართველი პროდიუსერი თავბრუდამხვევი „ნინასარჩევნო კამპანიით“, სწორად შერჩეული მესიჯებით, კომპეტენტური არგუმენტებით ქართული საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა. წაგების მიუხედავად ნათიამ მოახერხა, რომ საზოგადოება მისით დაინტერესდა.

მაიკლ დელაჰი – ადამიანი, რომელმაც მისი კარიერა დიდწილად განსაზღვრა მწერს:

„სშირად, სამსახურში არმიღება ისევე სასარგებლოა, როგორც მიღება იმიტომ, რომ ეს შენ მიმართ საზოგადოების ინტერესს ამძაფრებს. ხალხი კითხულობს – ვინ არის ეს, რატომ არაფერი მსმენია მის შესახებ? ზუსტად ეს ხდება ახლა ნათიას თავს – მიუხედავად იმისა, რომ ვერ გახდა საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორი, უამრავ ადამიანს აინტერესებს, ვინ არის ნათია აბრამია. ეს ის ქალია, რომელზეც ინგლისელები ვამბობთ – ის შორს წავა...“

ნათია აბრამიას როლში  
გვ. 26



ნინო ჩიხაქაძე

თბილისი-სტამბული-თბილისი – ჩემი საყვარელი შემსრულებლის გამო მასში მეორედ გავივლი ამ მარშრუტს. პირველი U2 იყო, ამჯერად Depeche Mode-ისთვის დავირაზმეთ მე და კიდევ ლამის ნახევარი თბილისი: „უი, ჩემი მეგობრებიც მოდიან მანდ!“, „მეც მინდა და იმედია, მოვახერხებ“ – კვირა არ გავა, მსგავსი ფრაზები არ მოვისმინო ნაცნობებისგან. სამაგ და ოთხმაგ ფასს ვიხდით იმაში, რომ საყვარელ ჯგუფს ცოცხლად მოვუხმინოთ. აბა, აქ ასეთ მუსიკოსებს მარტო სიზმარში, ან ინტერნეტში თუ ვნახავთ.

დეკემბერში Chinawoman-ის თბილისში ვიზიტმა და Ozoni Live-ის ახალმა წამოწყებამ ყველას იმედი ჩაგვისახა, რომ ალტერნატიული მუსიკის მსოფლიო რუკაზე, საქართველო თეთრ ლაქად აღარ დარჩება და თუნდაც მიკროსკოპით, მაგრამ მაინც გამოჩნდება მასზე. პროდიუსერებო, ბიზნესმენებო... to whom may it concern... იქნებ, დროა, დაფიქრდეთ, რომ მსოფლიო მასშტაბის მუსიკოსების ჩამოყვანა თბილისშიც შეიძლება და თანაც ისე, რომ ყველა მხარემ სარგებელი ნახოს: მელომანებმა – მუსიკით, სპონსორებმა და სახელმწიფომ კი – ტურიზმით! იქნებ, მოვახერხოთ და ჩვენი პოპ-ვარსკვლავებად ქცეული პოლიტიკოსები ნამდვილი ვარსკვლავებით ჩავანაცვლოთ?

Chinawoman – ექსპერიმენტი,  
რომელმაც გაამართლა  
გვ. 56

აქტიურებს თქვენს ბუნებრივ სილამაზას

# მე ვაჩ ბანსახუთხაბუდი



მეჩის სპეციალური დრაჟე  
გლუვი ხანი, მგონივრა თმა

უნიკალური კომბინაცია  
და მბაივა ფრჩხილები





გვ. 66



გვ. 68



გვ. 70

**გიორგი რუხაძე**

**მხატვარი**

გიორგის ნამუშევრებში ყველაზე ხშირად ფანჯარას და მის მიღმა არსებულ რეალობას დაინახავთ. სიმყუდროვე, რომელსაც ფანჯრის აქეთ, დამთავლიერების მხარეს დარჩენილი სივრცე ქმნის, გაძლევს საშუალებას, უფრო სიღრმისეულად დააკვირდე მის მიღმა არსებული რეალობის მძიმე და რთულ სურათს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ჩაკეტილი ფანჯრები ორ სამყაროს შორის არსებულ მკვეთრ ზღვარზე მიგვიბრუნებენ. მიუხედავად რამდენიმე განსხვავებული სერიისა, მის ნამუშევრებში ინტერიერში ჩასმულ ფანჯარას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, რომელიც კიდევ უფრო დიდი და განსხვავებული „ჩემი ფანჯარა პერიოდის“ სერიიდან იწყება. ფანჯარის მანქანების, მილების და მატარებლის ფასადების გარდა, სერიას ფანჯარის ფანჯრები კრავს, რომლის არსს თავად მხატვარი ასე ხსნის:

„ადამიანი შეიძლება იმ მომენტამდეც მივიდეს, რომ მას სული დაეფანგოს, რაშიც, პირველ რიგში, ემოციურ მდგომარეობას ვგულისხმობ. მხატვრის და სტუდენტის როლებით თანაცხოვრება მარტივი ნამდვილად არ არის. ფინანსური სირთულეების გარდა, ამ დროს შეიძლება იფიქრო, რომ ველარაფერს ვერ ქმნი და შინაგანად „იფანგები“. როდესაც ნამუშევარს ქმნი, გინდა, რომ ამის

რეალიზება მოახდინო. სულ უნდა ფიქრობდე იმაზე, თუ რამდენად არის სხვებისთვის ისეთივე საინტერესო ის, რასაც აკეთებ“.

„ფანჯრების“ სერიიდან ერთ ნამუშევარს გამოარჩევს. მასზე გამოსახულია „ფანჯრის“ ქილა, რომელიც ფანჯრის რაფაზე დევს. დაორთქილი ფანჯრების მიღმა კი სამეწარმეო ქარხანა მოჩანს: „ეს ორი სამყაროს კავშირია. „ფანჯრა“ ჩვენი ყოველდღიური მოხმარების საგნების სიმბოლოა, რომელსაც უკვე იმდენად ბუნებრივად აღვიქვამთ, რომ შეიძლება, არცკი ვიცოდეთ სად მზადდება ის. მეტალებითა და მართკუთხედებით შექმნილი ქარხნის კომპოზიცია სწორედ ჩვენთვის უცნობი სამყაროს სიმბოლოა, გარემოსი, რომელზეც არ ვფიქრობთ და ვერ ვხედავთ“, – ამბობს გიორგი ამ ნამუშევრის შესახებ.

ზეთის საღებავებით ტილოზე შექმნილი ნახატები განსაკუთრებული მასშტაბებით გამოირჩევა, რასაც გიორგი, ნამუშევრის აღქმისთვის საჭირო ერთ-ერთ არსებით დეტალს უწოდებს. ამბობს, რომ თუ ნამუშევრის მასშტაბი და კომპოზიცია ერთმანეთს არ შეესაბამება, მაშინ იდეაც იკარგება. გარდა ამისა, ცდილობს, რომ ხატვისას იდეა რაღაც კონკრეტულ მოტივს არ გადააყლოს, რადგან მისი აზრით, როდესაც ნახატს რალაციისთვის, თუნდაც პროტესტისთვის იყენებ,

ის პირვანდელ ღირებულებას აუცილებლად კარგავს.

მიუხედავად იმისა, რომ იდეა მისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, არაფერს ამბობს ინსპირაციებზე: „ეს შუუქცევადი ფიქრის პროცესია, როდესაც ერთ ნამუშევარზე მუშაობ, ფიქრობ დანარჩენებზე, რომლებზეც მანამდე მუშაობდი ან სამომავლოდ იმუშავებ. ერთ ნახატში გამოყენებულმა დეტალმა, შეიძლება დიდი ნამუშევრის შექმნა განაპირობოს“.

გიორგი რუხაძე რამდენიმე ახალგაზრდა ქართველ მხატვართან ერთად გერმანიაში, შტუტგარტის სამხატვრო აკადემიაში კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსზე სწავლობს. სტუდენტზე მორგებული საუნივერსიტეტო გარემო და ხშირი სტუმრობები ხელოვნების მუზეუმებში მის შემოქმედებით ცხოვრებას კიდევ უფრო საინტერესოდ აქცევს, ძველი სერიების გაველნით კი, ახალ და სრულიად განსხვავებულ ნამუშევრებს ქმნის.

ვიდრე ის ქართველი დამთავლიერების წინაშე ახალი გამოფენით წარდგება, მისი ნამუშევრების ნახვას „ფეისბუქის“ გვერდზე და რამდენიმე უცხოურ ვებგვერდზე შექცობთ:

Facebook/Giorgi Rukhadze  
<http://fineartamerica.com/profiles/giorgi-rukhadze.html>

GSF  
საბავშვო სპორტული ცენტრი



ყველაზე სწრაფი  
საბავშვო სპორტული ცენტრი

Start

სიჩქარე  
5 მბ/წმ

20  
ლარი

Drive

სიჩქარე  
10 მბ/წმ

27  
ლარი

Super  
Drive

სიჩქარე  
22 მბ/წმ

30  
ლარი

Turbo

სიჩქარე  
40 მბ/წმ

40  
ლარი

Formula 1

სიჩქარე  
100 მბ/წმ

100  
ლარი



2 100 100

www.silknet.com

**Silk** Internet

ოპტიკური ტექნოლოგია

„სხელი შოკოლადის“ ქართული ფილმების კრებული

# „ტარიელ მკლავაძის მკვლელობის საქმე“ მელოდრამა სოსიალური ქვეყანებით

ავტორი ლავით ბუხრიძე

კინოს წარსულში ქექვა-ძიება საინტერესოა, რადგან ყოველთვის შეიძლება გადაწყვეტილება რაიმე უცნობ და მოულოდნელ ფაქტს. „ცხელი შოკოლადის“ პროექტი „ქართული ფილმების კრებული“ ამგვარ ძიებაში ჟურნალის მკითხველს დაახლოებით ერთი წელია მიუძღვება.

ივანე პერესტიანის ფილმი „ტარიელ მკლავაძის მკვლელობის საქმე“ 1925 წელსაა გადაღებული. იმ დროისათვის, პერესტიანი უკვე ცნობილი იყო ერთ-ერთი პირველი ფილმით „არსენა ჯორჯიაშვილი“, რომელსაც აშკარა იდეოლოგიური განწყობისა და არცთუ სანიმუშო ესთეტიკის მიუხედავად, დღევანდელი გადასახედიდან, ისტორიული მნიშვნელობა აქვს. გარდა ამისა, ეს ფილმი იშვიათი შემთხვევაა ქართული კინოს ისტორიაში, როცა სალონური მელოდრამის ჩარჩოები დარღვეულია საკმაოდ მძაფრი სოციალურ-ფსიქოლოგიური თემებით.

ფილმს საფუძვლად უდევს ეგნატე ნინოშვილის მოთხრობა „ჩვენი ქვეყნის რაინდი“, რომლის სცენარი შალვა დადიანმა დაწერა. მახვილი კინემატოგრაფიული მზერა კი, სახელოვან მწერალს პერესტიანის ფილმშიც აღმოაჩენს, რომელიც ეპიზოდურ როლს თამაშობს.

სცენარის ავტორია კლასიკოსი მწერალი და დრამატურგი შალვა დადიანი, ხოლო ოპერატორი – იმდროინდელი კინოტექნიკის პიონერი, ალექსანდრე დიდმელოვი, რაც „ტარიელ მკლავაძის მკვლელობის საქმეს“ მნიშვნელოვან მხატვრულ განზომილებას ანიჭებს.

ლეგენდარული ფილმის – „ჩემი ბებია“, რეჟისორი კოტე მიქაბერიძე, რომელიც საკმაოდ ახოვანი კაცი იყო, ტანმორჩილი სოფლის მასწავლებლის, სპირიდონ მცირიშვილის როლს თამაშობს. მას პარტნიორობას უკვე ვარსკვლავად აღიარებული ნატო ვაჩნაძე უწევს (დესპინე), რომლის დრამატული ტალანტი ფილმის მეორე ნაწილში გაცილებით თვალსაჩინოა. შედარებით უცნობი მსახიობი მიხეილ ქადაგიძე ტარიელ მკლავაძის როლს თამაშობს, მედუქნე სამორას – ახალგაზრდა მიხეილ



კალატოზიშვილი, რომლის არცთუ მდიდარი აქტიორული შემოქმედება რამდენიმე ფილმით შემოიფარგლება. სამაგიეროდ, მისი რეჟისორული ტალანტი, მოგვიანებით, რამდენიმე გენიალურ ფილმს გასწვდა.

ერთგვარი მხატვრული „დაძაბულობით“, სასპენსით გამოირჩევა სცენა სადგურის მახლობლად, დუქანში, სადაც აზნაური ტარიელ მკლავაძე, დესპინეს თვალწინ, სპირიდონს ფიზიკურ შეურაცხყოფას მიაყენებს. ეს ფაქტი მგრძობიარე დესპინეზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს, რომელიც მალე დაავადდება და კვდება. ფინალური შურისძიება (სპირიდონ მცირიშვილი სადგურზე ტარიელ მკლავაძეს გადაყრება და კლავს) მაყურებელში გაამყარებს „სამართლიანობის“ გრძნობას; რომ უსამართლოდ დაჩაგრულ „პატარა“ კაცს ღირსების გრძნობა დაკარგული არა აქვს...

რეჟისორ ივანე პერესტიანის კარიერის დასაწყისი რუსულ კინოსააქციო საზოგადოება „ხანჟონკოვსა და კომპანიას“ უკავშირდება; კერძოდ, ფილმს „ნუ ერეკები მეტლე ცხენებს“. 1917 წელს საკუთარი სცენარით გადაიღო კომედია „თხები, ბეკეკა, თხები“. მუშაობდა რუსეთის სხვადასხვა კინოსტუდიაში. 1921 წელს ჩამოვიდა საქართველოში და განათლების სახალხო კომისარიატთან არსებულ კინოსექციაში დაიწყო მუშაობა. 1926-1928 წლებში ოდესის კინოსტუდიაში გადაიღო „ზვავი“ და „ჭორი“. 1930 წლიდან კინონარმოება „არმენკინოს“ ხელმძღვანელობდა, სადაც გადაიღო ფილმები „ზამალუ“ და „ანუში“.

რეჟისორის შემოქმედების ყველაზე ნაყოფიერი პერიოდი მაინც საქართველოს და კერძოდ, „სახკინმრეწვს“ უკავშირდება. სწორედ აქ შექმნა ფილმები „არსენა ჯორჯიაშვილი“ (1921), „სურამის ციხე“ (1922), „წითელი ეშმაკუნები“ (1923), „სამი სიცოცხლე“ (1924), „სასჯელი“ (1926), „ორი მეგობარი“ (1937).

# ეკოლოგიურად სუფთა ჰაერის და კაპაროლისგან



- ეკოლოგიურად სუფთა - წყლის ბაზაზე
- სწრაფადშრობადი
- მაღალი ელასტიურობის მქონე
- ცვეთამედეგი
- საწმენდი საშუალებებისადმი მედეგი
- შესაძლებელია სათამაშოების დაფარვა  
- DIN EN 71-3





„კარმენი“, სარა ბარასი

## 6 მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც არ უნდა გამოტოვოთ

ავტორი სალომე აფხაზიშვილი

### კინო

#### „გათავისუფლებული ჯანგო“ თბილისის კინოთეატრებში

**სად:** კინოთეატრები „რუსთაველი“ და „ამირანი“, „აპოლო“ (ბათუმი)

კინოსამყაროს ერთ-ერთმა ყველაზე ხული-განმა და თამამმა რეჟისორმა – კვენტინ ტარანტინომ კინომოყვარულებს მორიგი ფილმი შესთავაზა, რომელმაც მსოფლიო ეკრანებზე გამოსვლისთანავე ყველა ტაბლოიდური გამოცემის კრიტიკოსის მოხიბვლა შეძლო. რეჟისორის რიგით მერვე ფილმი – „ჯანგო“ ყოფილი მონის, ჯანგოს ისტორიას გვიყვება, რომელიც ტყვეობიდან თავისუფლდება და თავისი ცოლის დასახსნელად, კრიმინალებზე მონადირე გმირთან ერთად სამხრეთ ამერიკის პლანტაციებში მიდის. ფილმის შეფასებისას კრიტიკოსები ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს უსვამენ ხაზს, როგორცაა – მონობა და რასიზმი. ამერიკელი კრიტიკოსების შეფასებით, „ჯანგო“ – ეს არის ტარანტინოს კინომემკვიდრეობის ყველაზე სახალისო ნამუშევარი „Pulp Fiction“-ის შემდეგ“.

ტარანტინოს ამ ფილმის სამსახიობო გუნდი ისეთი მსახიობებისგან შედგება, როგორებიც არიან – ლეონარდო დიკაპრიო, სემუელ ელ-

-ჯექსონი, ჯეიმი ფოქსი, კრისტოფერ ვოლცი და კერი ვოშინგტონი.

„გათავისუფლებული ჯანგოს“ მნიშვნელობა უკვე აღნიშნეს ოქროს გლობუსის დაჯილდოებაზე, სადაც მან საუკეთესო სცენარისტის და ასევე მამაკაცის მეორეხარისხოვანი როლის საუკეთესო შესრულებისთვის (კრისტოფერ ვოლცი) ოქროს გლობუსი მიიღო. ფილმს წარმატებას „ოსკარზეც“ უნინასწარმეტყველებენ, სადაც ის 5 ნომინაციაშია წარდგენილი. მათ შორის აღსანიშნავია საუკეთესო ფილმისა და საუკეთესო სცენარის ნომინაციები.

#### „ანა კარენინას“ მე-11 ეკრანიზაცია

**სად:** კინოთეატრები „რუსთაველი“ და „ამირანი“

1997 წლის შემდეგ, ლევ ტოლსტოის ამ უკვდავ რომანს ინგლისელი რეჟისორი ჯო რაითი დაუბრუნდა, რომელმაც ეკრანიზაციების ისტორიაში ერთ-ერთი დასამახსოვრებელი ფილმი – „სიამავე და ცრურწმენა“ გადაიღო. „ანა კარენინას“ რაითისეული ვერსიის პრემიერა 2012 წლის 7 სექტემბერს ლონდონში შედგა. პრემიერის შემდეგ, „გარდაღის“ მიმოხილველმა ფილიპ ფრენჩმა, სხვა კინომომხილველების მსგავსად რეჟისორს ამბის

თხრობის სტილს უწუნებს და მას „ზედმეტ თეატრალურობაში“ ადანაშაულებს.

ფილმში ანა კარენინას როლს კირა ნაითლი ასრულებს. მასთან ერთად აღსანიშნავია – ჯად ლოუ და აარონ ტელიორ ჯონსონი.

#### მორიგი ფილმი „ქართული ფილმების კრებულში“

DVD-ის პრეზენტაცია და ფილმის ჩვენება

**სად:** კინოთეატრი „ამირანი“

**როდის:** 29/1

**დასაწყისი:** 20:00

**მისამართი:** კოსტავას ქ.№36

ჟურნალი „ცხელი შოკოლადისა“ და „ქართული ფილმის“ ერთობლივი პროექტი „ქართული ფილმების კრებული“ მორიგი ფილმის ჩვენებით გაგრძელდება. ამჯერად, მაცურებელი ივანე პერესტიანის რეჟისორობით 1925 წელს გადაღებულ ფილმს – „ტარიელ მკლავადის საქმეს“ იხილავს. ფილმი რეჟისორმა ეგნატე ნინოშვილის მოთხრობის – „ჩვენი ქვეყნის რაინდის“ მიხედვით გადაიღო. ეს არის ერთ-ერთი პირველი ქართული სოციალური მელოდრამა, რომელშიც ისეთი ცნობილი ქართველი მსახიობები მონაწილეობენ, როგორებიც არიან – კოტე მიქაბერიძე, ნატო ვაჩნაძე,



შალვა დადიანი, შალვა ხუსკივაძე, დიმიტრი ყიფიანი და ასევე, ქართველი რეჟისორი – მიხეილ კალატოზიშვილი, რომელიც მსახიობის როლში, პირველად სწორედ ამ ფილმში მოგვევლინა.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში, ივანე პერესტიანი, როგორც რეჟისორი უკვე მეორედ მოხვდა. პროექტის სპონსორების – „ბანკი კონსტანტას“, „ავერსისა“ და „კაპაროლ ჯორჯიას“ დახმარებით გაციფრულებული რვა ფილმს შორის, ერთ-ერთი სწორედ ივანე პერესტიანის მიერ გადაღებული „არსენა ჯორჯიაშვილი“ გახლავთ. DVD-ის სახით, მაყურებელმა უკვე იხილა შემდეგი ფილმები – „გოგი რატანი“, „ქრისტინე“, „კომუნარის ჩიბუხი“, „ელისო“, „დაკარგული სამოთხე“ და „საბა“. დაინტერესებულ ადამიანებს მორიგი ფილმის შეძენა ჟურნალი „ცხელი შოკოლადის“ ახალ, თებერვლის ნომერთან ერთად და ასევე, 29 იანვარს, კინოთეატრ „ამირანში“ შეეძლებათ, სადაც ფილმის ჩვენებაც გაიმართება.

**თეატრი**

**ბერძნული მითის სახეცვლილება კინოსახიობთა თეატრის სცენაზე**

**სად:** მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინოსახიობთა თეატრი

**როდის:** 9.02,17.02

**დასაწყისი:** 19:00

**მისამართი:** აღმაშენებლის გამზ.№164

ბერძნული მითოლოგიის ერთ-ერთი გმირის, იკაროსის ამბავი, ქართველ მაყურებელს რეჟისორმა ნუგზარ ბაგრატიონ-გრუზინსკიმ ლიტველი დრამატურგის იუსტინა მარცინკაივიჩუსის პიესის მიხედვით წარუდგინა. ბერძნული მითის მიხედვით, იკაროსი დედამამის შვილია, რომელიც მამასთან ერთად ტყვეობაშია. გათავისუფლების მიზნით, დედამამის თავისთვის და თავისი შვილისთვის სანთლისგან ფრთებს შექმნის, თუმცა იკაროსს, ფრთის დროს, მზის სიმბურვალე ძალიან გაიტაცებს, ფრთები დაუდნება და მიწაზე დაცემა. რეჟისორის ვერსიის თანახმად კი სპექტაკლში როლები შეცვლილია: დედამამის




ნაცვლად, ფრთებს იკაროსი ამზადებს, თუმცა მიზნის განხორციელებაში მას ბევრ წინააღმდეგობას უქმნიან. ამის მიუხედავად, ის მაინც ახერხებს გაფრენას და გათავისუფლებას, ხოლო მამამისი, დედამამისი, გაფრენის მცდელობისას მიწაზე ეცემა.

ბერძნული მითოსური სამყარო თეატრის სცენოგრაფიაშიც აისახა, რომლის ავტორი ნუგზარ მეტრეველი გახლავთ. კოსტიუმები კი სოფო-მარიამ ქორიძეს ეკუთვნის. სპექტაკლში მონაწილეობენ მსახიობები: ანრი ბიბინიშვილი, რეზო თავართქილაძე, ანა მატუაშვილი, მაკა ცინცაძე, ნატო შენგელაია, ნიკა წერეთლი, ბექა ჯუმუტია, ანა-მარია გურგენიშვილი, ბექა სტურუა, ვაჟა მღებრიშვილი, რეზო გიორგობიანი და სხვები.

**ორი ორთქლმავლის სიყვარულის ისტორია**

**სად:** მარიონეტების თეატრი

**მისამართი:** შავთელის ქ.№13



მარიონეტების თეატრმა მაყურებელს ახალი სპექტაკლი – „რამონა“ წარუდგინა, რომლის რეჟისორი რეზო გაბრიაძე გახლავთ. თავისივე სცენარის მიხედვით განხორციელებულ დადგმაში რეჟისორი ორი ორთქლმავლის სიყვარულის ისტორიას აღწერს. ორთქლმავალ რამონს მივლინებით შორეულ მხარეში აგზავნიან. მისი მეუღლე კი პროვინციული რკინიგზის სადგურზე რჩება... დრო და მანძილი უამრავ თავგადასავალს, ფათურაკებსა და გრძნობებს აერთიანებს. სხვა სპექტაკლების მსგავსად, რეზო გაბრიაძის ახალი დადგმა ხილული სენტიმენტებითა და უხილავი სევდითაა სავსე, რომელშიც სამამულო ომის შემდგომი ხანის საბჭოთა ყოფის კონტურები იკვეთება. სპექტაკლში ექვსი მეთოჯინე მსახიობი მონაწილეობს.

სპექტაკლის პრემიერა მოსკოვში, 2012 წლის დეკემბერში გაიმართა, რომელსაც დაემთხვა რეზო გაბრიაძის ნამუშევრების გა-

მოფენა პუშკინის სახელობის ხელოვნების მუზეუმში. ქართველმა მაყურებელმა კი „რამონა“ 2013 წლის იანვარში, რეზო გაბრიაძის მარიონეტების თეატრში იხილა.

**სხვადასხვა**

**„კარმენის არსებობის აუცილებლობა“**

**სად:** ევროპის სახლი

**როდის:** 26/02

**დასაწყისი:** 18:00

**მისამართი:** შ. დადიანის ქ.№2

კარმენის არსებობის აუცილებლობა ის საკითხია, რომლითაც ფილოსოფოსი, ჟურნალისტი და თანამედროვე ბალეტის მკვლევარი ხათუნა მზარელია პროექტის „ერთი და მრავალსახოვანი ევროპა XX და XXI საუკუნეების ბალეტის ფონზე“ ახალ სეზონს გახსნის. მოხსენების ავტორი ესპანელი მოცეკვავისა და ქორეოგრაფის სარა ბარასის და ცეკვებისა და სიმღერების ერთი გამოთქმული „კარმენის“ შესახებ ისაუბრებს, რომელშიც მთავარი როლი, თავად სარა ბარასმა 42 წლის ასაკში შეასრულა.

ფრანგი მწერლის, ისტორიკოსისა და არქეოლოგის, პროსპერ მერიმეს მიერ 1845 წელს დაწერილი მოთხრობის „კარმენის“ საოპერო ვერსია პირველად, 1875 წელს ფრანგმა კომპოზიტორმა ჟორჟ ბიზემ შემოგვთავაზა, თუმცა 2007 წელს, სარა ბარასის მიერ გაცოცხლებული „კარმენი“ არა ბიზეს მუსიკის, არამედ ცნობილი ესპანელი კომპოზიტორისა და გიტარისტის პაკო დე ლუსიასა და ხავიერ რუბიალის კომპოზიციების მიხედვით შეიქმნა.

მეამბოხე ახალგაზრდა ქალის – „კარმენის“ ფენომენმა ბიზესა და ბარასის გარდა, შემოქმედებითი ძიებებისკენ სხვა ხელოვანებსაც უბიძგა, რაც გენიალური დადგმებით დასრულდა და ჩაინერა „კარმენის ისტორიაში“. მათ შორის აუცილებლად უნდა აღინიშნოს ფრანგი ხელოვანი, როლან პეტი, რომელმაც „კარმენის“ საბალეტო დადგმა საზოგადოებას 1949 წელს შესთავაზა, ასევე ფლამენკოს დიდოსტატი ანტონიო გადესი, რომელმაც 1983 წელს ესპანელ კინორეჟისორ კარლოს საურასთან ერთად, ფილმი „ფლამენკო“ გადაიღო. 1992 წელს კი, „კარმენის“ უაღრესად შთამბეჭდავი დადგმა შედგმა ქორეოგრაფმა მატს ეკიმ შემოგვთავაზა.

„კარმენის“ თავბრუდამხვევი ვერსიებიდან ხათუნა მზარელია ევროპის სახლში მხოლოდ სარა ბაროსის დადგმას და მის განხილვას შემოგვთავაზებთ. ცნობილია ისიც, რომ ლექციაზე „კარმენის“ ერთ-ერთი ყველაზე მგრძობიარე დადგმის კადრებსაც უჩვენებენ.

# სალამი, „ნახვამდის“-ს

ავტორი თამარ კინიკაძე



ფოტო-კაფე-სტუდია NAXVAMDIS; ერეკლე მეორის ქუჩა №7; აქვს wi-fi  
პარკინგი: მანქანის გაჩერება შესაძლებელია ლესელიძეზე.



შეგრძნება, თითქოს, სარესტორნო ინდუსტრია, რომელსაც თავისი სუპერ-ვარსკვლავები ჰყავს, თავისი მსოფლიო პრემიერები და „ოსკარები“ აქვს, ისევ ჩვენი რეალობის მიღმა იყო, დღემდე არ მტოვებს. მიკ ჯაგერივით სახელგანთქმული შეფ-მზარეულები სადღაც ჩვენს მიღმა რეალობაში ქმნიან ახალ გემოებს და ხსნიან ახალ რესტორნებს ნოვატორულობისა და შემოღობის ზღვარზე მქონე კონცეფციებით. ყველამ ვიცით, რა არის ამის მიზეზი – ეკონომიკური მდგომარეობა და კულტურა... აი, სწორედ ეს კულტურა იცვლება ჩვენ თვალწინ, ნელ-ნელა. თბილისის სარესტორნო ინდუსტრიაში თითქოს უკვე მრავალფეროვნება იგრძნობა. გვაქვს: სასაუზმეები, დუქნები, მაღალი კლასის რესტორნები... და მათ შორისაა ბოლო დროს, მომრავლებული პატარა კაფე-რესტორნები, რომლებიც ერთმანეთს ეჯიბრებიან ყველაზე შინაურული გარემოს შექმნაში.

კაფე-რესტორანი „ნახვამდის“ სწორედ ამ ნიშიდანაა. თუ ყველაზე მეტი შინაურულობა კრიტერიუმი, ამ რესტორნის ერთი უდავო უპირატესობა ზღურბლზევე დევს – რესტორანში მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხვდებით, თუ ორსართულიანი სახლის კარზე დარეკავთ ზარს.

რესტორანს, ექვსი სხვადასხვა ზომის მაგიდით, სულ ერთი სასადილოსხელა ოთახი უჭირავს. მზარეული იმავე ოთახში, ბარით გადატვირთულ, ვინრო მართკუთხედში საქმიანობს. იქვე პლასტმასის კალათებით ბოსტნეული აწყვია. დაუდევრადაა გამოდებული თითქმის პირთამდე სავსე სანაგვე ყუთიც. ეს ბუნებრივად მონყობილი სახლის გარემო სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს. ახდენს იქამდე, ვიდრე ტაფაზე ამიშხინებული ზეთის სუნი თმის ძირებში შეაღწევდეს – ამ დროს

ფიქრობ – რესტორანს „მეზობლის სამზარეულოში“ კატლეტების შეწვის ეფექტი რომ ახლავს, ნამეტანია. ვწყნარდები მხოლოდ მას მერე, რაც ჩვენი მთავარი კერძი Astronaut Dream-ი („მეჩტა ასტრონავტა“) მოაქვთ და მას ზეთის გემო არ აქვს. დიდი გაფორმებით ვერ დაიკვებინს – თევშზე ხორცის ნაჭრები და სოკოებია მიმოფანტული, კარამელიზებულ ხახვთან და თითქმის სულ შემწრალ ღვინის სოუსთან ერთად. სამაგიეროდ, გემრიელია; მარილიც კი ისე აქვს – ოდნავ მეტი – როგორც შინ, სამსახურის მერე, ნაჩქარევად შებრანულ „ოჯახურს“ შეიძლება ჰქონდეს.

Astronaut Dream-ი („მეჩტა კასმანავტა“) ერთადერთი ორენოვანი კერძი არაა მენიუში. მენიუში ყველაფერი მხოლოდ რუსულ-ინგლისურად წერია. უცხო ენა ლიმონისმომგვრელი პასაჟების შექმნის საშუალებას კი იძლევა ტექსტში (მაგალითად, ერთ-ერთ ვეგეტარიანულ კერძს ასე ჰქვია: *herb(ан)емясо*), მაგრამ როგორ ფიქრობთ, მენიუ ქართულად საჭირო არაა?

თუ შენიშნეთ, მენიუზე საუბარი მთავარი კერძით დაიწყო. არც სუპი და სალათი – პირდაპირ მთავარი კერძი, რადგან ჩვენც ასე არეულ-დარეულად მოგვიტანეს შეკვეთა. ჩვენი მთავარი – Astronaut Dream-ი უკვე მონღლების გზას ადგა, როცა მიმტანმა გოგონამ მაგიდის შუაგულში ჩადო საუზმეული – შავი პურის ნივრით შესუნელებული ტოსტი, ხახვმოყრილი ქაშაყის ნაჭრები, კიტრის პიკული და თხლად დაჭრილი სალა (ათბალიანი სისტემიდან +10 – ამ სასუსნავს). ასე გვახელით ჯერ მთავარი კერძი, მერე სტარტერი და მერე მეორე მთავარი კერძი – China Chicken – შებრანული ქათმის ნაჭრები ბოსტნეულით (აი, ამ კერძის გასინჯვისას კი გამახსენდა ზეთის სუნი – ზედმეტად ცხიმოვანი იყო, თუმცა, ძალიან არომატული)...

„ნახვამდის“-ში ფასები ძალიან დაბალია. 7 ლარიც კი შეიძლება ღირდეს კერძი. მენიუ არა მარტო იუმორისტული ნიუანსების გამოა საინტერესო, არამედ კულინარიული თვალსაზრისითაც. აი, ვფიქრობ, ვფქრობ და ზუსტი სახელი ვერაფრით დამირქმევია იმ მიქსისთვის, რასაც მათ მენიუში ქმნის საზღვრების მოშლა სხვადასხვა ქვეყნის სამზარეულოებს შორის – იაპონური ტემპურა სულგუნისა; ინდური ქათმის კარი ყველით, მექსიკური ტორტიით და ბოსტნეულით; ისევ იაპონურიდან აღებული ბლინები ორაგულის, კიტრის და მდნარი ყველის სატენით (სხვათა შორის, ის ამ კაფეში ჩემი ფავორიტი გახდა) და ამ ეკლექტიკის ფონზე – უკრაინული „დერუნიები“ .

მოკლედ, თუ აქაურობას მაღალი კლასის რესტორნის ხარისხს არ მოსთხოვ და მეგობრის სამზარეულოში წარმოიდგენ თავს, შეიძლება, ძალიანაც გაგიტაცოს ამ კულინარიულმა სიჭრელემ, წარმოსახული მეგობრის დედას კი ბევრი კომპლიმენტიც უთხრა საოცარი ფანტაზიის გამო. ასე რომ, ჩემი რჩევა – იცოდეთ, სად მიდიხართ – ეს აზრსმოკლებულ პრეტენზიებს აგაცილებთ თავიდან. „ნახვამდის“-ში მოგიწევთ შიგადაშიგ აიტანოთ ოთახის კუთხიდან წამოსული ზეთის სუნი, ხმამაღალი მუსიკა, ქართულის არმცოდნე მიმტანები, სამაგიეროდ ისიამოვნოთ: იაფფასიანობის ფონზე საკმაოდ კრეატიული კერძების გასინჯვით, კინოსენსებით, რომელსაც კვირაში ერთხელ აწყობენ და... მწვანე კარზე ზარის რეკვით.

P.S. არ ვიცი, როგორ დამემართა, არ მიკითხავს, რატომ ჰქვია კაფე-რესტორანს „ნახვამდის“. იქნებ, ეს თქვენ გააკეთოთ, თან მათი კერძები გასინჯოთ და თავად მიხვდეთ, არის ეს თქვენი განწყობის რესტორანი თუ არა.



## HP Z Workstations

წარმოგიდგენთ **HP**-ის ინოვაციურ სამუშაო სადგურებს, რომლებიც მუშაობენ **multi-core Intel® Xeon®**-ის პროცესორზე. მაქსიმალურად კრეატიული პლატფორმა, ვიზუალიზაციის სწრაფი სიჩქარე, მეტი მოცულობა ინფორმაციის ხანდო და უსაფრთხო შენახვისთვის, ასევე მრავალი სხვა ფუნქცია თქვენი პროფესიული საჭიროებისთვის! რადგან სილამაზე და შესრულების ხარისხი მნიშვნელოვანია!

<http://hp.com/zworkstations>



კომპანია MBC  
"Multimedia & Business Computers"  
საქართველო, თბილისი, შევჩენკოს ქ. 5  
+995 32 299 77 12  
+995 32 299 86 96



<http://www.mbc.ge>





# „[აარონ შვარცის ხსოვნას]“

ზურა ჯიშყარიანი

„კოპირაითი შეიქმნა იმისთვის, რომ დაერეგულირებინა წარმოებითი ურთიერთობები, მაგრამ დღეს ეს ყველაფერი სულ სხვანაირად ხდება; კოპირაითს მივყავართ დრაკონულ კანონებამდე, რომლებიც ზღუდავენ ყველას და თითოეულის შესაძლებლობებს“, – წერს ცნობილი ანტიკოპირაიტერი და პროგრამისტი, რიჩარდ სტოლმანი. ის ამბობს: [დღეს ამერიკის შეერთებული შტატები იყენებს ყველა იმ მეთოდს, რითაც საბჭოთა კავშირში ზღუდავენ ტექსტების არალეგალურ გავრცელებას].

„ინფორმაცია ძალაუფლებაა. და, როგორც ხშირად ხდება, არსებობს ხალხი, ვისაც ეს ძალაუფლება თავისთვის სურს. მსოფლიოს მეცნიერული და კულტურული მემკვიდრეობა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ქვეყნებოდა წიგნებისა და ჟურნალების სახით, მუდმივად ციფრულდება, თუმცა ჩაკეტილია და ეკუთვნის მხოლოდ რამდენიმე კორპორაციას. გსურს, წაიკითხო ნაშრომები მეცნიერებათა ყველაზე ცნობილი მიღწევების შესახებ? შენ მოგიწევს უამრავი თანხის გაგზავნა გამოცემლებისთვის“, – ასე იწყება აარონ შვარცის მანიფესტი, რომელშიც, პრინციპში, ერთ წინადადებაშია ჩამოყალიბებული ინფორმაციაზე კორპორაციული კოპირაითის პრობლემის არსი.

იმ ეპოქაში, სადაც ინტერნეტი შეუქრებელი მდინეა წინ, აბსოლუტური ღიაობისკენ, ერთგვარი ციფრული ანარქო-სოციალიზმისკენ, სადაც უკვე გაჩნდა თავისუფალი სემპლინგის, უფასო უნივერსიტეტებისა და რემიქსების კულტურა,

სადაც ცენტრალიზებული, ცალმხრივი ინფორმაციული ნაკადის ნაცვლად, იქმნება და წარმოებს იმდენი ინფორმაცია, მრავალმხრივი კომუნიკაციები და აზრთა გაცვლა, რამდენი ვარსკვლავიცაა ცაზე, საშინელ, მოუქნელ დინოზავრად გამოიყურება კოპირაითი, რომელიც რამდენიმე კორპორაციის ავტორიტეტსა და ფულს ემსახურება.

ამ თემაზე ფიქრისას, ხშირად, ქართული ზღაპრები მახსენდება. ხომ გახსოვთ, წყაროს ან ნაკადულის სათავეს გველეშაპი რომ ეპატრონება და თავის კოპირაითს ადებს იმას, რაც იდეაში ყველასა და უფასო. გველეშაპი მულტიმილიონერი მონოპოლისტი ხდება, სოფლებები კი ისე ეჩვევიან მისგან წყლის წვეთ-წვეთად მიღებას, რომ ეს ყველაფერი სწორი და ბუნებრივი ჰგონიათ, უფრო მეტიც, ხშირად თავად იცავენ გველეშაპს.

კოპირაითის სწორედ ამ ისტერიას შეენირა აარონ შვარცი, 26 წლის ამერიკელი ინტერნეტ აქტივისტი, ერთ-ერთი ბრწყინვალე ადამიანი მათგან, ვისაც მიაჩნდა და მიაჩნია, რომ „ინფორმაციას სურს, იყოს თავისუფალი“.

მის მიერ JSTOR-ის, შებენიანი წვდომის მონაცემთა ბაზებიდან ჩუმად დაქაჩული და უფასო, ფართო მოხმარებისთვის გამოქვეყნებული მილიონი სამეცნიერო პუბლიკაცია, სასამართლომ მილიონ დოლარად და 35-წლიან პატიმრობად შეაფასა. როგორც ერთი ჭკვიანი კაცი ამბობდა, სისტემა ყველაზე მეტად იქ ძალადობს, სადაც მისი სუსტი წერტილია.

შედეგად, აარონმა თავი მოიკლა... ჩემი აზრით, ეს ამბავი კიდევ დიდხანს

იქნება დავის საგანი და ასევე მნიშვნელოვანი მიზეზი იმისთვის, რომ კოპირაითის ცნების ტოტალური გადახედვა მოხდეს. ეს ანაქრონიზმების კრებული, იმის გარდა, რომ კლავს კრეატიულობას, როგორც ჩანს, კლავს ადამიანებსაც...

კიბერპანკ ლიტერატურაში ხშირად აღწერილი ინდივიდების ბრძოლა ყოვლისშემძლე და ყოვლისმშთანთქავი კორპორაციების წინააღმდეგ, ხშირად ბრძოლა ინდივიდების დამარცხებითაც სრულდება, რადგან კიბერპანკი მანც პესიმისტური და ბნელი ჟანრია. თუმცა, ზოგჯერ ეს ინდივიდები მანც იმარჯვებენ კორპორაციებზე, უერთდებიან გლობალურ ქსელს და ავრცელებენ რაიმე ინფორმაციას, რომელიც ძალიან სჭირდება ხალხს...

ბოლო წლებში კიბერპანკ ჟანრის პოპულარობამ ძალიან იკლო და ამის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება ისიც იყოს, რომ 1980-90-იან წლებში ეს ჯერ კიდევ ფუტურისტული ლიტერატურული ჟანრი ჩვენს რეალობად იქცა. კორპორაციები სულ უფრო ძლიერდებიან და ხშირად ნაციონალურ პოლიტიკასაც განსაზღვრავენ. „გლობალურ სოფელში“ კი, სისტემის შავი ხერხელებით ჩნდებიან მათთან დაპირისპირებული ჯგუფები თუ ადამიანები, როგორც მონობა იმის, რომ კიბერპანკმა ფურცლებიდან და მონიტორებიდან ყოველდღიურობაში გამოიყონა... ახლა ერთადერთი, რაც დაგვრჩენია, არის იმ მხარის არჩევა, რომლის დასაცავადაც დადგება ჩვენი სოციალური ავატარი. ყოველ შემთხვევაში, ეს კიბერპანკ ლიტერატურის ერთ-ერთი საყვარელი სიუჟეტური სვლაა“.

D'oliva  
ბოლონია

AHAVA  
აჰავა

ENVITA  
ენვიტა



სამედიკინო ხარისხიანი



ავერსი-ჯანმრთელობა და სულიერი სიბუვიდა!

საინფორმაციო სამსახური 2 967 227

[www.aversi.ge](http://www.aversi.ge)



# ოქროსფერი „ე“

მაია სარიშვილი

წლების წინ, სტუდენტობის დროს, ლიტერატურის ინსტიტუტის ერთ მიტოვებულ ოთახში შტაბი მქონდა და მოწყობილი. სახლიდან გავზიდე ჩემი ბლოკნოტები, ნახატები, რამდენიმე თოჯინა და ამ ოთახის მაგიდებში შევინახე. ლექციების შემდეგ, და ხშირად ძალიან გვიანობამდეც, ამ ოთახში ვიჯექი და ვწერდი, ან ვხატავდი, ან ფანჯრიდან ვიყურებოდი საათობით. არ ვიცდი, რატომ არასდროს არავის აღმოუჩინებიათ აქ. ერთხელ, როსტომ ჩხეიძე მახსოვს ამ ოთახში შემოსული და მეორედ – ნათელა ონაშვილი. მეტი არავინ. დიდად არც მათ გაჰკვირვებიათ, მგონი, ჩემი იქ დაბანაკება. თითქოს ვიღაცამ გააფრთხილა ყველანი. პირველ სართულზე სასადილო იყო. ძალიან მიყვარდა ეს სასადილო. ვყიდულობდი ჩაის, ვჯდებოდი ჩემთვის და ჩუმად უსმენდი რას ლაპარაკობდნენ ჩემთვის ნაცნობი თუ უცნობი ლიტერატორები. ერთხელ, ვიღაც ორი ახალგაზრდა კაცის ლაპარაკს მოვკარი ყური, ჩემზე ეკითხებოდნენ ერთმანეთს – ვინ არისო. ერთმა თქვა, რა საყვარელი სახე აქვსო და ისე გამიხარდა, კინალამ ადგილზე მოვკვდი. გავნერვიულდი, არ გამომელაპარაკონ-მეთქი და წასვლა დავაპირე, მაგრამ, ამ დაძაბულობისგან, ცხელ ჩაის გავკარი ხელი და ჭიქა იატაკს დაასკდა – დაიფშვნა ათას ნაწილად. დავიწყე ამ ნაფშვენების აკრეფა, ეს ახალგაზრდა კაცებიც მომეხმარნენ. ჩვენ გარდა არავინ იყო სასადილოში. ხმა არ გაუციათ, მხო-

ლოდ მიღიმოდნენ და დაბნეული ნა-  
მოვბოდიადი სახლში. მეორე დღეს  
ისევ წავედი. ვიფიქრე, ვიდრე რაიმე

**ერთხელ ორი  
ახალგაზრდა კაცის  
ლაპარაკს მოვკარი ყური,  
ჩემზე ეკითხებოდნენ  
ერთმანეთს – ვინ  
არისო. ერთმა თქვა, რა  
საყვარელი სახე აქვსო  
და ისე გამიხარდა,  
კინალამ ადგილზე  
მოვკვდი. გავნერვიულდი,  
არ გამომელაპარაკონ-  
მეთქი და წასვლა  
დავაპირე, მაგრამ, ამ  
დაძაბულობისგან, ჩაის  
გავკარი ხელი და  
ჭიქა იატაკს დაასკდა  
– დაიფშვნა ათას  
ნაწილად.**

შარში გავხვეულვარ, წამოვიღებ ჩემს  
ნივთებს და აქ აღარასოდეს დავბრუნ-  
დები-მეთქი, მაგრამ ოთახში ისეთი  
სიჩუმე იდგა და იმხელა შუქი, რომ  
ვერაფრით შეველიე იქაურობას და

ისევ სასადილოში ჩავედი, ჩაი ვიყიდე.  
ვხედავ, გვერდით მაგიდასთან მანანა  
დუმბაძე ზის და ალელვებულები, რაღაც  
ამბავს ჰყვება. ზუსტად ვერ ვიხსენებ.  
მგონი, რომელიღაც უცხო ქვეყნიდან  
მისი ბიჭის მეგობარი გოგონა ყოფილა  
სტუმრად ჩამოსული: გუშინ წავიდა.  
სევდიანები რომ ვისხედით სახლში,  
უცებ, სკამის კიდეზე მისი გრძელი,  
ბრჭყვილა თმის ღერი დავინახე და  
კინალამ ავტირდიო... მანანას არც  
ახლა ვიცნობ და არ ვიცდი, ახსოვს თუ  
არა ან ეს გოგო, ან როგორ ჰყვებოდა  
ამ ისტორიას ლიტერატურის ინსტი-  
ტუტის სასადილოში, მე კი, ამდენი წე-  
ლია არ დამინწყებია, რაღაც კინოკა-  
დრივით ჩამოწა მხსიერებაში სკამის  
კიდეზე დაკიდული პატარა გოგოს  
გრძელი და ბრჭყვილა თმის ღერი...  
ერთი თვის მერე, ჩავყარე ჩემი ბარგი-  
ბარხანა უშველებელ პარკებში და წა-  
მოვედი იქიდან, მომბეზრდა რაღაც...  
გარეთ რომ გამოვედი, ვხედავ, ინსტი-  
ტუტის აბრას ცვლიან, ჩამოუყრიათ  
ძველი ასოები და ახალს აკრავენ. და-  
ვიხარე ჩუმად და ერთი ასო წამოვი-  
ღე. სახლში მისულმა, ვნახე, რომ ასო  
„ე“ ყოფილა... ჩემს – რაღაც დღიუ-  
რებით, ლექსებითა თუ სხვადასხვა  
უცნაურობით საესე – რომელიღაც  
პარკში დღესაც აგდია ეს სასაცილო  
ოქროსფერი „ე“, როგორც გაცეცხის  
გამომხატველი შორისდებული, რო-  
მელიც იმ უამრავ ამბავს მახსენებს,  
რომელიც ლიტერატურის ინსტიტუტ-  
თანაა დაკავშირებული, მაგრამ ასე  
სახალხოდ ვერ მოყვები ვერაფრით...



SINCE 1884

**SARAJISHVILI**

სარაჯიშვილი



# წერილი საკუთარ თავს

რადი ჯარბულიშვილი

ამ წერილს სპონტანურად გწერ, მორიგი თეთრად გათენებული ღამის შემდეგ, ამიტომ, მაპატიე, თუ ჩემი ემოციები ზედმეტად შიშველი მოგეჩვენა.

ბოლოს, რომ ვისაუბრეთ, ერთი საყურადღებო რამ მითხარი – შეიცვალეო. ამ ცვლილებას მეც ვამჩნევ ჩემს თავს და შენმა სიტყვებმა ის მხოლოდ დაადასტურა. ნეტა, რა მოხდა ჩემს ცხოვრებაში ისეთი, რომ ასე შევიცვალე? მე ხომ შინაგანად ყოველთვის თავისუფალი არტისტი ვიყავი, ცხოვრება კი თეატრად წარმომედგინა, სადაც იმპროვიზაციისა და როლების არჩევის უსაზღვრო საშუალებაა. ზოგჯერ მასხარა ვიყავი, ზოგჯერ – შეყვარებული პიერო, ზოგჯერ კი... თვით დემიურგი. თეატრი ამის შესაძლებლობას იძლევა. და თუმცა ეს პირობითი სამყაროა, მას აქვს თავისი ფილოსოფიური სიმყარე. ბოლოს და ბოლოს, ცხოვრებაც საკმაოდ პირობითია, თანაც – საოცრად არასანდო. ...და უცებ, ასეთი დასერიოზულება! ასეთი სასონარკვეთა!.. მოკლედ, ჟანრის ნამდვილი კრიზისი. შედეგად კი, საკუთარი თავისგან გაუცხოება და ცხოვრების ზეიმის (რომელიც სევდასაც გულისხმობს), ცხოვრების – ერთ უსასრულო პანაშვიდად გადაქცევა! საინტერესოა, რას დავტყობ ასე? ნუთუ სიცოცხლეს, რომელიც სულ ახლახან მთელი არსებით მიყვარდა? მაგრამ, განა რამე შეიცვალა? არა. მხოლოდ – მე. და იცი, რატომ? – შენ დაგემსგავსე. ჰო, შენი ფართოდ დახუჭული თვალებით

დავინახე ყველაფერი. ეს თვისება ყოველთვის მქონდა – იმ ადამიანს ვემსგავსებოდი, ვინც ჩემ გვერდით აღმოჩნდებოდა; მისი ბუნებით ვიმსჭვალებოდი, მისი სულის თანაზიარი ვხდებოდი. ეს, ერთდროულად, ღირსებაცაა და წყევლაც. გახსოვს, ბრედბერის „მარსის ქრონიკებში“ – ტომი? აი, მეც სწორედ ეგრე ვარ. ასე რომ, შენი კარგად მესმის. შეიძლება, იმაზე უკეთესადაც კი, ვიდრე შენ თვითონ – მე ხომ გვერდიდანაც შემიძლია დაგინახო. თანაც, ეგეც რომ არ იყოს, ჩვენ ხომ ერთი ქალის გულს ვიყოფთ. თუმცა შენ, მგონი, სულ არაფერში გჭირდება მისი გული. არ გაბრაზდე, ვიცი, რომ არ გიყვარს ამ თემაზე საუბარი. არც მე მაქვს სურვილი, ზედმეტად შევებო ამ აბლაბუდასავით ფაქიზ ძაფებს. ერთი კია, ჩვენს დამოკიდებულებას ყოველთვის განსაზღვრავდა ეს ფაქტორი. შენ ჩემთვის ჩვეულებრივი ადამიანი არასდროს ყოფილხარ. მართალი გითხრა, კარგა ხანია, უშედეგოდ ვცდილობ რამე სახელი მოვუძებნო ჩვენს ურთიერთობას. რა არის ეს, მეგობრობა? მაგრამ, მეგობრობა ცალმხრივი არ არსებობს. შენთვის კი მე ყოველთვის უცხო ვიყავი, გაუგებარი. არ იფიქრო, რომ გასაყვედურობ. უბრალოდ გეუბნები. აი, მე კი ყოველთვის მინდოდა შენისთანა მეგობარი – მოაზროვნე, მაგრამ არა რაციონალისტი, მგრძნობიარე, მაგრამ არა სენტიმენტალური, გარეგნულად მშვიდი, მაგრამ შინაგანად მღელვარე, მარტოსული სიმრავ-

ლეში, მაგრამ მრავალი სიმარტოვეში, ჩემგან ასეთი განსხვავებული... და ასეთი მსგავსი. მაგრამ, შენ არ ხარ ეს ადამიანი.

ზოგჯერ მგონია, რომ საერთოდ არც არსებობ და ჩემი სიზმრებიდან გამოგინმე, როგორც ბედისწერის, თუ განგების ნების მაუნყებელი. არ შეგეშინდეს, ჭკუიდან არ გადავსულვარ. უბრალოდ, არარსებულ საზრისს ვიგონებ, რომ ჩავებლაუჭო. შენ არ იცი, რა მტკივნეულია, როცა სიყვარული შენთვის ყველაზე ძვირფასი ადამიანის სულს გპარავს; მთელი სამყარო თავზე გენგრევა და რომ არ გამხეცდე, ისლა დაგრჩენია, წმინდანი გახდე. თუმცა, იმიტომ არ გწერ, რომ ეს რაღაც, სიგიჟესთან წილნაყარი აზრები გაგიზიარო. ეს ჩემი ტკივილია და მის შემსუბუქებაში შენ ვერ დამეხმარები. ახლა მხოლოდ ის მინდა — და ალბათ სწორედ ამიტომაც გწერ ამ უცნაურ წერილს – რომ გ ა დ ა რ ჩ ე! ამას იმიტომ არ გთხოვ, რომ სიცოცხლე რამით მგონია სიკვდილზე უპირატესი, – ორივე მაგარი ბითურობაა და ერთი გაცვეთილი მონეტის სხვადასხვა მხარეა მხოლოდ... მაგრამ შენ არ გაქვს უფლება, ადამიანს, რომელსაც უყვარხარ, ტანჯვა მიუსაჯო. ან დაუდასტურე გრძნობა, ან გაათავისუფლე ამ სიყვარულის ტყვეობისაგან!

რაც არ უნდა მოხდეს, მე მას არასდროს მივატოვებ. მაგრამ, საუბედუროდ, უძლური ვარ ბედნიერი გავხადო. ეს მხოლოდ შენ შეგიძლია.





სხალი  
შოკოლადი  
**98.5 FM**

☎ 2 985 985  
✉ radio@shokoladi.ge  
🌐 radio.shokoladi.ge



	ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა
<b>07:50</b>	სანდროს ზღაპრები	სანდროს ზღაპრები	სანდროს ზღაპრები	სანდროს ზღაპრები	სანდროს ზღაპრები		
<b>08:00</b>							
<b>09:00</b>							
<b>10:00</b>							
<b>11:00</b>							ღვინის გზამკვლევი
<b>12:00</b>						ტაჩუკო	ნიგნები
<b>13:00</b>	ღვინის გზამკვლევი	ტაჩუკო	ცხელი შოკოლადის ისტორიები	არტ ჰაუსი	ნიგნები	არტ ჰაუსი	ცოცხალი ზონა
<b>14:00</b>				ღიალუბი ცენზურაზე		ცხოვრების საუნდტრაკი	ღიალუბი ცენზურაზე
<b>15:00</b>							
<b>16:00</b>							
<b>17:00</b>			ღიალუბი ცენზურაზე				
<b>18:00</b>	ტაჩუკო	ცხელი შოკოლადის ისტორიები	არტ ჰაუსი	ნიგნები	ღვინის გზამკვლევი		
<b>19:00</b>	ლიბერალი	ლიბერალი	ლიბერალი	ლიბერალი	ლიბერალი		
<b>20:00</b>				ცოცხალი ზონა	ცხოვრების საუნდტრაკი	ცხელი შოკოლადის ისტორიები	
<b>21:00</b>						სანდროს ზღაპრები	სანდროს ზღაპრები
<b>22:00</b>							
<b>23:00</b>							
<b>00:00</b>							
<b>01:00</b>							
<b>02:00</b>	ლიბერალი	ლიბერალი	ლიბერალი	ლიბერალი	ლიბერალი		
<b>02:30</b>	ტაჩუკო	ცხელი შოკოლადის ისტორიები	არტ ჰაუსი	ნიგნები	ღვინის გზამკვლევი		
<b>03:15</b>			ღიალუბი ცენზურაზე	ცოცხალი ზონა	ცხოვრების საუნდტრაკი		

კვირის პროგრამა

● LIVE / ჩანადერი ● განმეორება ● მუსიკა და ახალი ამბავი



# ნათია აბრამიას როლში

ავტორი მანია ნიკლაური  
 ფოტო: მარიკა ქორიანაშვილი

რამდენიმე წუთში „პირველი არხის“ პირდაპირი ეთერით საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორის შესარჩევი კენჭისყრა უნდა დაიწყო. რაც უფრო ახლოვდება კენჭისყრის დრო, „ინტერნოსის“ საკონფერენციო ოთახში მით უფრო მატულობს დაძაბულობა.

ნათია აბრამია, რომელიც მაუწყებლის დირექტორობის ერთ-ერთი კანდიდატია, დიდ, ოვალურ მაგიდას უზის და მეგობრებთან ერთად, ხმამაღლა მსჯელობს Facebook სტატუსის ტექსტზე. ყველაზე ხშირად ირაკლი იმნაიშვილის ხმა ისმის, მისი გამოსახულება კომპიუტერის ეკრანზე ჩანს. ის ლონდონიდან, ბი-ბი-სი-ს „ნიუსრუმიდან“ ერთვება. ნათია მის რჩევებს ითვალისწინებს და საბოლოო თანხმობის შემდეგ ტექსტს სოციალურ ქსელში, მისი კანდიდატურის მხარდამჭერ გვერდზე ტვირთავს.

მიუხედავად იმისა, რომ ირაკლის თავიდანვე არ ხიბლავდა ნათიას იდეა, ჩაბმულიყო საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორის შესარჩევი კონკურსში, გადწყვეტილების მიღების შემდეგ ის მისი ყველაზე დიდი მხარდამჭერი და მთავარი გულშემმატკივარი გახდა. ირაკლი ლონდონში იყო, თუმცა ყოველი საჯარო გამოსვლისა და მნიშვნელოვანი დებატების წინ ნათიას ის ამზადებდა: ირაკლი სვამდა ყველა იმ შესაძლო მწვავე კითხვას, რაც შეიძლებოდა თავში მოსვლოდათ სამეურვეო საბჭოს წევრებს.

„ბუსა, კარგია, რომ შენს ძლიერ მხარეებზე და გამოცდილებაზე ამახვილებდი ყურადღებას! კარგია, რომ შენს საუბარში იგრძნობოდა ალტკინება და ჟინი, შეეცადე, უფრო მოკლე პასუხები გასცე, სათქმელი 15 წამში ჩაატე“, – ირაკლის ამ შეტყობინებას ნათია წითელ გარეკანიან აიპადში კითხულობს, წინა კაკაბაქსთან რადიოგადაცემაში სტუმრობიდან რამდენიმე წუთში.

ნათია აბრამიამ თავბრუდამხვევი „წინა-

საარჩევნო კამპანია“ მოაწყო. სპონტანური, მაგრამ სწორი კომუნიკაციის ხარჯზე ის ძალიან სწრაფად და ეფექტურად მოექცა საზოგადოების ყურადღების ცენტრში. ყველა დისკუსიაში, ყველა ინტერვიუში ნათია ყურადღებას საკუთარ უპირატესობაზე ამახვილებდა, არასდროს საუბრობდა კონკურენტებზე და არც მათ სუსტ მხარეებზე ხარჯავდა დროს. სამაგიეროდ, მოახერხა, კონკურენტებს ესაუბრათ მასზე, დათანხმებოდნენ ნათია აბრამიას მოსაზრებებს და მისი ნათქვამი საკუთარი სათქმელის ჩამოსაყალიბებლად გამოეყენებინათ.

„საზოგადოებისთვის სიმპათიური იყო არა თვითონ ნათია აბრამია, არამედ მისი სახით, ვიღაც ახალი, რომელმაც იცის, ადგილზე რა ხდება, იცის, როგორი სტანდარტებია დასავლეთში და შეუძლია გადოს ხიდი, ჩამოიტანოს ის, რაც შემდეგ აქ მოიკიდებს ფეხს“, – ამბობს ნათია საკუთარ თავზე.

ლონდონიდან საშობაო არდადეგებზე ჩამოსული, ბი-ბი-სი-ს მომხიბვლელი, თავის შესაძლებლობებში დარწმუნებული, კომპეტენტური პროდიუსერი კონკურსის ყველაზე საინტერესო მონაწილედ იქცა.

„დღეს თბილისში მთელი დღე პრემიერის პრესკონფერენციაზე კი არა, ტელევიზიის დირექტორობის კანდიდატებზეა საუბარი. ამდენი სიმპათია, რაც ნათია აბრამიამ დაიმსახურა, არცერთი თანამდებობის პირზე არ გამოიგია“, – წერდა Facebook-ის ერთ-ერთი მომხარებელი 24 დეკემბერს.

სამეურვეო საბჭოსთან ნათია აბრამიას გასაუბრების ვიდეო ინტერნეტში 4 ათასამდე ადამიანმა ნახა. ნათიას მხარდასაჭერად შექმნილი გვერდი „ჩემი ხმა ნათია აბრამიას“ სოციალურ ქსელ Facebook-ში 3 ათასამდე ადამიანმა მოიწონა.

ნათია აბრამიას ამ ეფექტიანი საარჩევნო კამპანიის ერთ-ერთი მთავარი პრომოუტერი ირაკლი იყო. დროდადრო, ხან თავის, ხან კი ნათიას მხარდამჭერ გვერდზე, ჯერ



მომღერალ ქეთი მელუას, შემდეგ კი ინგლისის ნაციონალური ბალეტის პრინა ბალერინას, ელენე გლურჯიძის მხარდამჭერ რეკომენდაციებს აქვეყნებდა.

საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორის შესარჩევ კონკურსში ნათია აბრამიას მონაწილეობა სუფთა ჰაერის ჩასუნთქვას ჰგავდა. ამ მოსაწყენ და კონიუნქტურულად პროგნოზირებად კონკურსს მოულოდნელად აზრი მიეცა.

საინტერესო ხედვით, კონკრეტული გზავნილებით, საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენით ნათიამ საზოგადოების ნაწილის გარდა, სამეურვეო საბჭოს წევრების მოხიბვლაც მოახერხა.

„გაინტერესებთ, რა შთაბეჭდილება დატოვა თქვენთან გასაუბრებამ? – ჰკითხა ინტერვიუს დასასრულს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრმა ბაკურ სულაკაურმა ნათია აბრამიას, – ძალიან ვნანობ, რომ პირველ ტურში ხმა არ მოგვცით, მეორე ტურში აუცილებლად მოგვცემთ!“

„ვინ არის ეს ნათია აბრამია?“ – სხვადასხვა ფორუმებზე დასმულ კითხვას ზოგიერთი ასე პასუხობდა: „ეს ის გოგოა, „რუსთავი 2“-ზე რომ მუშაობდა. მგონი, „კურიერი“ მიჰყავდა ადრე, ასევე – გადაცემა „ხალხის პირისპირ“. ეს იყო უცხოური პოპულარული ტელევიტორინის ქართული ვერსია, რომელშიც კონკურსანტი ეთამაშებოდა მაყურებელს.

გადაცემა „ხალხის პირისპირ“, დოკუმენტურ ფილმებთან ერთად, ნათია აბრამიას ერთ-ერთი ბოლო ქართული სატელევიზიო პროექტი იყო.

6 წლის შემდეგ ნათიას დაბრუნება ქართულ მედიაში ძირითადად მხოლოდ პროფესიულ წრეში შენიშნეს. ინტერნეტ-პორტალი Mzera.tv., რომლის ხელმძღვანელიც ნათია აბრამია გახდა, 2012 წლის 19 სექტემბერს ჩაეშვა და დაახლოებით ერთ თვეში, არჩევნების შემდეგ დაიხურა.

ეს ინტერნეტ-ტელევიზია საპარლამენტო არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე, ეკონომიკის ყოფილი მინისტრის, დიდ ბრიტანეთში პოლიტიკური სტატუსით მცხოვრები ბიზნესმენის ვანო ჩხარტიშვილის ინვესტიციებით შეიქმნა.

ინტერნეტ-ტელევიზიის ახალი რედაქცია თავის ვებგვერდზე აუდიტორიას სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლას უახლოეს მომავალში ჰპირდებოდა და ამბობდა, რომ მოვლენებს მიუკერძოებლად და დაბალანსებულად გააშუქებდა.

„ბოთლზე დასმული მედია“ – ეს ნათია აბრამიას ერთ-ერთი პირველი პოსტი იყო Mzera.Tv-ზე, რომლის პროდიუსერი და ლონდონის ბიუროს ხელმძღვანელიც თავად იყო. ნათია ამ ტექსტში აღწერდა, თუ როგორ ცდილობდა „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ხელისუფლება „რუსთავი 2“-ის სარედაქციო საქმიანობაში ჩარევას:

„ჩემ თვალწინ ჩემს პროფესიას ყოველდღიურად აყენებდნენ შეურაცხყოფას. ერთხელ ნაცმოძრაობის „პიარშიკს“, რომელიც მანვებოდა, ტყუილი თქვიო, ასე ვუპასუხე: ჟურნალისტი იმას თუ არ ამბობს, რასაც ხედავს და იმას იმეორებს, რაც ხელისუფალს უნდა, ეს მას ისევე შეურაცხყოფს, როგორც რელიგიურ ადამიანს ხატზე შეფურთხება-მეთქი. კარგი რა, შენ

ხომ არ ხარ რელიგიური, რა ღირებულეზზეა ლაპარაკიო, — ასე მიპასუხა..“

საპარლამენტო არჩევნებიდან ორ დღეში, როდესაც უკვე ცხადი იყო, რომ საქართველოში ხელისუფლება შეიცვალა, ვანო ჩხარტიშვილმა ნათია აბრამიასთან უკვე გამზადებული კონტრაქტის ხელმოწერაზე უარი განაცხადა. ოქტომბრის ბოლოს დაითხოვეს ნათიას მიერ შეკრული გუნდიც, რომელმაც Mzera.tv-ის აწყობა და არჩევნების გაშუქება მოასწრო.

„მივხვდი, რომ დამოუკიდებელი მედია-სამუშაოება დიდი ფუფუნებაა. საქართველოში, კერძო მედიაში ისეთი ადამიანები დებენ ფულს, რომლებსაც სხვა ინტერესები აქვთ. ეს სხვა კი ყოველთვის ეჯახება დამოუკიდებელ ჟურნალისტიკას“, – ლიმილით ამბობს ნათია აბრამია, პროექტზე, რომელზეც დიდ იმედებს ამყარებდა.

საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის შესარჩევ კონკურსში დამარცხებას, ინტერნოსში შეკრებილებს შორის, ყველაზე განონანსწორებულად თვითონ ნათია აბრამია შეხვდა. სამეურვეო საბჭოს 13 წევრიდან მას მხარი მხოლოდ სამმა დაუჭირა. წევრთა უმრავლესობამ მიიჩნია, რომ ნათია აბრამიას არ ჰქონდა ფინანსების მართვის სათანადო გამოცდილება, საზოგადოებრივი მაუწყებლის მსგავსი რთული და დიდი ორგანიზმი რომ ემართა.

„მე შედეგზე ორიენტირებული ადამიანი ვარ“, – მითხრა ნათიამ რამდენჯერმე, ჩვენი შეხვედრებისას. დამარცხებიდან რამდენიმე წუთში კი, გულდანყვეტილი მეგობრების დამშვიდების შემდეგ, მან უკვე იმაზე დაიწყო ფიქრი, თუ როგორ გამოიყენებდა ამ პროცესში მიღებულ გამოცდილებას.

ნათია აბრამიას მთავარი რეკომენდატორი და მისი მფარველი, ბი-ბი-სი-ს ყოფილი თანამშრომელი, ამჟამად კი სატელევიზიო პროდიუსერი და მედიაკონსულტანტი, მაიკლ დელაჰეი მწერს: „ხშირად, სამსახურში არმიღება ისევე სასარგებლოა, როგორც მიღება, იმიტომ, რომ ეს შენ მიმართ საზოგადოების ინტერესს ამძაფრებს. ხალხი კითხულობს – ვინ არის ეს, რატომ არაფერი მსმენია მის შესახებ? ზუსტად ეს ხდება ახლა ნათიას თავს – მიუხედავად იმისა, რომ ვერ გახდა საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორი, უამრავ ადამიანს აინტერესებს, ვინ არის ნათია



აბრამია. ეს ის ქალია, რომელზეც ინგლისელები ვამბობთ – ის შორს წავა...”

როდესაც ნათიამ საზოგადოებრივ მაუწყებელზე გამოცხადებული კონკურსის შესახებ გაიგო, ბარგი უკვე ჩალაგებული ჰქონდა და რამდენიმე საათში ლონდონში მიფრინავდა. ყველა ეუბნებოდა, რომ კონკურსის ბედი გადაწყვეტილი იყო. მიუხედავად ამისა, ბილეთი გადაცვალა და სამეურვეო საბჭოსთან გასაუბრებისთვის მზადება დაიწყო. თითოეული მისი პასუხი დასაბუთებული უნდა ყოფილიყო. „მე გამოვინვიე საკუთარი თავი და არა მაუწყებლის საბჭო“, – ამბობს ნათია.

ამ კონკურსში ნათიას სპონტანურ ჩართვას შეეძლო, მისი ცხოვრება რადიკალურად შეეცვალა. მისი სამუშაო ადგილი ბრიტანეთის ნაცვლად საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი ხდებოდა, საცხოვრებელი ადგილი კი – თბილისი, ლონდონის ნაცვლად, სადაც მისი მეუღლე ირაკლი იმნაიშვილი და 13 წლის შვილი ანა-მარია ცხოვრობენ.

ბოლო პერიოდში ირაკლიმ და ნათიამ საკუთარი ბინა თბილისში, საქველმოქმედო ორგანიზაციას დაუთმეს, რომელიც ჰეპატიტით დაავადებულ ადამიანებს ეხმარება. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ირაკლის C ჰეპატიტის დიაგნოზი დაუსვეს. ჰეპატიტი ნათიას და ირაკლის ცხოვრებაში ყველაზე რთულ პერიოდში გაჩნდა. დაავადება 2006 წელს ზაფხულში აღმოაჩინეს, როდესაც საქართველოს დასატოვებლად ემზადებოდნენ.

„ირაკლიმ დაიჯერა, რომ მალე კვდება, ამიტომ ჩვენი ურთიერთობის აზრს ვეღარ ხედავდა. „მე შენთან ყოფნა იმიტომ მინდოდა, რომ ჩვენ ერთმანეთი გავგვხალისებინა და არა იმისთვის, რომ შენ ჩემთვის მოგველო“, – ეს ჯერ თბილად მითხრა, მერე დაჟინებით, მერე აგრესიულად...“ – წერს ნათია თავის ბლოგზე, რომელიც ორი კვირის წინ შექმნა. პარალელურად, ანალოგიური ბლოგი ირაკლიმაც გააკეთა – ეს C ჰეპატიტთან ბრძოლის ერთი ისტორიის ორი ვერსიაა.

ირაკლიმ და ნათიამ ერთმანეთი რვა წლის წინ, თბილისში, საზოგადოებრივ საქმეთა უნივერსიტეტში გაიცნეს. ნათია ლექტორი იყო, ირაკლი მისი სტუდენტი. ამ დროს ნათია „რუსთავი 2“-ზე მუშაობდა, ირაკლის ტელეკომპანია „მზეზე“, რომლის დამფუძნებელიც ვანი ჩხარტიშვილი იყო,

ტოქ-შოუ – „არჩევანის ზღვარზე“ მიჰყავდა.

2005 წელს, როდესაც ირაკლიმ პირდაპირ ეთერში გააშუქა, თუ როგორ დაშალა პოლიციამ დაპატიმრებული მოქიდავების მხარდამჭერთა საპროტესტო აქცია და იმ დღის მოვლენები 9 აპრილს შეადარა, პარლამენტარმა გიგა ბოკერიამ მას მისივე გადაცემის ეთერში უთხრა, რომ ნებისმიერ სხვა ქვეყანაში, პოლიტიკური შოუს ნამყვანს ასეთი არაპროფესინალური კომენტარის გამო სამსახურიდან დაითხოვდნენ. ამ განცხადებიდან მეორე დღეს ირაკლის გადაცემა დახურეს. რამდენიმე თვით ადრე, ირაკლის, ხელისუფლების წარმო-

**საზოგადოებრივი  
მაუწყებლის  
დირექტორის  
შესარჩევ კონკურსში  
ნათია აბრამიას  
მონაწილეობა სუფთა  
ჰაერის ჩასუნთქვას  
კვავდა. ამ მოსაწყენ  
და კონსენსუსულად  
პრობნოზირებად  
კონკურსს  
მოულოდნელად  
აზრი მიეცა.**

მადგენლები იმის გამოც აკრიტიკებდნენ, რომ მის გადაცემაში გამართული დებატებისას, პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების ოფიციალური ვერსია ეჭვქვეშ დააყენეს. მას შემდეგ, რაც იმერეთის გუბერნატორმა ერთ-ერთი სატელევიზიო ეთერის შემდეგ ირაკლი იმნაიშვილს დაარტყა, უფლებადამცველმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა ეს ფაქტები მედიის თავისუფლების შეზღუდვის მაგალითად შეაფასეს.

ირაკლი ამბობს, რომ მთელი ამ თვეების განმავლობაში მას უთვალთვალებდნენ და ხელისუფლების წარმომადგენლები ემუქრებოდნენ.

არამართო ირაკლის პრობლემების, არამედ სამსახურში გაჩენილი ჟურნალისტუ-

რი დილემების გამო, ნათიასაც სულ უფრო უჭირდა საქართველოში ცხოვრება და მუშაობა. ბრიტანეთში, კარდიფის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ის საქართველოში საკმაოდ ცხელ პერიოდში, 2003 წლის ზაფხულში დაბრუნდა. საპარლამენტო არჩევნების წინ ქვეყანაში პოლიტიკური დაძაბულობა პიკს აღწევდა, შევარდნაძის მმართველობის დეპრესიული და მძიმე წლების შემდეგ საზოგადოება ცვლილებებს ელოდა. ტელეკომპანია „რუსთავი-2“ ერთდროულად იყო ოპოზიციის მთავარი ტრიბუნა და იარაღი.


„მე დისკომფორტი მქონდა იმ ზედსართავი სახელებისა და აღფრთოვანებული ტონის გამო, რომლითაც „რუსთავი 2“-მარევილუცია გააშუქა. რევილუცია მართლა ხდებოდა, მაგრამ „რუსთავი 2“ ამას ხელს უწყობდა, ჟურნალისტებს უხაროდათ, რომ „ძველები მიდიან“ და „ახლები მოვლენ“. როდესაც კრიტიკულად ვინცები ფიქრს, საკუთარ თავს ვარწმუნებდი, რომ ვცდებოდი. მაშინ შეცდომა დაუშვი, პროფესიული სტანდარტის სანინაღმდეგოდ გადავიხარე. ამას აღარასდროს გავაკეთებ. მაშინ ვერ ვგრძობოდი ვერც საკმარის ძალას, ვერც პროფესიონალიზმს და ვერც გამოცდილებას, რომ წინ აღვდგომოდი ამ ყველაფერს“, – ამბობს ნათია.

ამ პერიოდში, ირაკლიმ ბრიტანეთის საბჭოს სტიპენდია მოიპოვა და გადაწყვიტეს, ლონდონში ერთად წასულიყვნენ. ნათიას უკვე მეორედ უნებდა თბილისში ანა-მარიას დატოვება.

„ვდარდობდი, არ ეფიქრა, რომ რადგან ტოვებს ის დედას არ უყვარს, თუმცა ორივეჯერ სწორედ იმიტომ წავედი ლონდონში, რომ ჩემი შვილისთვის მნიშვნელოვანი იყო მქონოდა განათლება, არ გამჭირვებოდა ჩემი ღირებულებების დაცვა და საკუთარი თავის პოვნა. ახლა ჩემი ეს არჩევანი ანა-მარიას ძალიან მოსწონს“.

ნათიამ პირველად წლინახევრის ანა-მარია მაშინ დატოვა, როდესაც ბრიტანეთის საბჭოს სტიპენდიით 2002 წელს კარდიფის უნივერსიტეტში საერთაშორისო ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე მოხვდა.

კარდიფის უნივერსიტეტში წარსადგენ რეკომენდაციაში ბი-ბი-სი-ს ჟურნალისტი მაიკლ დელაჰეი წერდა: „ნათია არის ადამიანი, რომელსაც ისეთი პოზიტიური დამოკიდებულება აქვს ცხოვრებისადმი, ნებისმიერ სიტუაციაში მისი შესაძლებლო-



ბის მაქსიმუმს გააკეთებს“. სწორედ ამის შემდეგ დაიჯერა ნათიამ საბოლოოდ, რომ შეეძლო, ნებისმიერი სისუსტე ძლიერ მხარედ ექცია, შეცდომებზე ესწავლა და ყველაფრისთვის მიეღწია, რასაც კი დაისახავდა მიზნად.

ეს ხასიათი გარკვეულწილად ოჯახის გავლენითაც ჩამოუყალიბდა. ნათია დედასავით მკაცრია და დისციპლინირებული, მომთხოვნი საკუთარი თავის და სხვების მიმართ. დედის გავლენით საკუთარ თავზე მუშაობა და თვითკრიტიკა ისწავლა. მამის ხასიათის გავლენა კი ისაა, რომ ყველა საკითხს ძალიან მსუბუქად უყურებს. მამის

თხოვნით ისწავლა უცხო ენები, 17 წლიდან ინგლისური ენის თარჯიმნად მუშაობდა, მოგვიანებით კი სინქრონულ თარგმანსაც აკეთებდა.

„მამას თუ რამის გაკეთება უნდა, ამბობს: მოდი აბა, ვცადოთ, გავაკეთოთ. მეც ასე ვარ, მარტივად ვუყურებ ყველაფერს, მათ შორის პრობლემებსაც“, – ამბობს ნათია.

2001 წელს, „ინტერნიუსში“ BBC-ის ტრენინგზე, წესით, ნათია არ უნდა მოხვედრილიყო, თუმცა ყველაფერი ისე გააკეთა, რომ საბოლოოდ ის მაინც დაუშვეს მაიკლ დელაპეის სემინარზე. ნათია იხსენებს: „კურსი უკვე დაკომპლექტებული იყო, მა-

გრამ პროექტის ხელმძღვანელი იმდენად შევანუხე, რომ ერთ დღესაც დამირეკა და მითხრა – „მეცხრე არხის“ ჟურნალისტი ვერ ახერხებს ტრენინგზე მოსვლას, თუ გინდა მონაწილეობა, წერილი უნდა მოიტანო, რომ მუშაობო. იმ დროს არსად ვმუშაობდ, მაგრამ დაკიდა თუ არა ტელეფონი, „მეცხრე არხის“ ოფისში გავიქეცი. ვიკითხე დირექტორი, რომელსაც შემახვედრეს. ვუთხარი – მომეცით წერილი, ვითომ აქ ვმუშაობ, ამ ტრენინგში აუცილებლად უნდა მივიღო მონაწილეობა-მეთქი!“

ამ ტრენინგზე გაიცნო ნათიამ მაიკლ დელაპეი, რომელმაც ჯერ ჟურნალისტი-

კის გრამატიკა ასწავლა, შემდეგ კი, როცა სტუდენტი ნათია ლონდონში ცხოვრებას იწყებდა, მაიკლ დელაპეიმ მეუღლესთან ერთად შვილივით იზრუნა მასზე.

კომუნიკაციის კარგი უნარი და გაბედულება ნათია აბრამიამ 2001 წელს „რუსთავი 2“-ში მუშაობის დასაწყებადაც გამოიყენა. „ნიკა ტაბატაძეს მისაღებში დავხვდი და ვუთხარი, შეხვედრა გვაქვს დანიშნული-მეთქი. იმდენად დამაჯერებელი ვიყავი, ნიკა კი – იმდენად დალლილი, რომ ყურადღება არ მიუქცევია იმისთვის, რომ მანამდე არაფერზე შევთანხმებულვართ“.

ნათიამ იმ დღეს ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ში სამსახური იშოვა.

უკვე მეშვიდე წელია, ნათია, ირაკლი და ანა-მარია სამხრეთ ლონდონში ცხოვრობენ, ვატერლოოს ხიდთან ახლოს, მე-13 სართულზე. ფანჯრიდან ბიგ-ბენის ხედი ჩანს. წელს ანა-მარიას სახელოვნებო სასწავლებელში ჩაბარება უნდა, სადაც ცნობილი მომღერლები ქეთი მელუა და ადელი სწავლობდნენ. ძალიან უყვარს თეატრი და ხატვა. დადის იაპონურ ცენტრში, სადაც ენასთან ერთად, იაპონურ კულტურასაც სწავლობს.

დასვენების დღეებს შინ, ან მეგობრებთან ერთად ატარებენ. ნათიას სამაგიდო თამაშების კოლექცია აქვს, ხანდახან, შაბათ-კვირას სამივე ერთად თამაშობს, ან სახლთან ახლოს ფერმერების ბაზრობაზე დადიან. ლონდონში რამდენიმე ქართულ ოჯახთან მეგობრობენ და, როგორც წესი, მხოლოდ მათთან ერთად ისვენებენ.

ირაკლიც და ნათიაც ბრიტანეთის სამაუწყებლო კორპორაციის თანამშრომელია. ირაკლი კვირაში 5 დღეს მუშაობს, ნათია – 3-ს და მისი თითოეული სამუშაო დღე 12 საათს გრძელდება, ხანდახან სამსახურში ღამითაც უწევს დარჩენა. მას მერე, რაც BBC-ში მისაღები ტესტი ჩააბარა, 6 წელი გავიდა და ახლა მსოფლიოს ახალი ამბების პროდიუსერია. ნათია BBC-ის ინტეგრირებულ ნიუსრუმში სხვადასხვა მულტიმედია პროექტებს აკეთებს. ერთდროულად მონაწილეობს გადაცემების – Newshour, World Update, Outlook, Newsday, ასევე – World Have Your Say-ის მომზადებაში.

მისხნის – „შემქმნი სრული დატვირთვით მეტუშავა ერთ კონკრეტულ პროგრამაზე, მაგრამ მე მიდგომა – Across All Platforms ავირჩიე, რაც იმას ნიშნავს, რომ

სხვადასხვა პროგრამაზე შეგიძლია იმუშაო და სხვადასხვა გამოცდილება დააგროვო... ამ გრაფიკის მიხედვით, ნათიას სხვადასხვა ფუნქციის შესრულება უწევს, რაც ტელე, რადიო და ონლაინ პლატფორმებისთვის სიმულტანურ მუშაობას გულისხმობს. გარდა ამისა, ერთ დღეს თემის მკვლევარია, შემდეგ – ფაქტების გადამოწმებელი, ან პროდიუსერის ასისტენტი, პროდიუსერი, გადაცემის სტუდიაში გამყვანი, რედაქტორი, გადაცემის სოციალურ ქსელებში ინტეგრირების პროდიუსერი, ან პოდაკატების რედაქტორი.

სიამაყით მიყვება, როგორი მონონება დაიმსახურა მისი პროდიუსირებით სა-

**„მიუხედავად იმისა, რომ ვერ გავხდით საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორი, უამრავ ადამიანს აინტერესებს, ვინ არის ნათია აბრამია? ეს ის ქალია, რომელზეც ინგლისელები ვამბობთ – ის შორს წავა...“**

ქართველოს პირველ ლედისთან სანდრა რულოვსთან ჩანერილმა ინტერვიუმ სმოლენსკის ტრაგედიის გაშუქებისას.

„მე-3, თუ მე-4 დღე იყო ტრაგედიიდან, როდესაც მარია კაჩინსკას ცხედარი უნდა გადაევენებინათ პოლონეთში. თითქმის არ ვიცოდით, რაღა უნდა გავაკეთებინა ახალი. რუსული კვალი გავაკეთეთ, პოლონური ელიტის ერთ დღეს დაღუპვა როგორ აისახება პოლონეთის მომავალზე – გავაკეთეთ, ვინ შეიძლება იყოს მომავალი პრეზიდენტი – ესეც გავაკეთეთ, ყველაფერი გავაკეთეთ... მოულოდნელად სოციალურ ქსელში აღმოვაჩინე, რომ სანდრა რულოვსი და მარია კაჩინსკა ერთმანეთს იცნობდნენ და საერთო ინტერესებიც ჰქონდათ“. იმ დღეს გადაცემა სანდრა რულოვსთან

ჩანერილმა ძალიან ემოციურმა ინტერვიუმ გახსნა, საქართველოს პირველი ლედი მისი და მარია კაჩინსკას პირად ურთიერთობაზე ჰყვებოდა. ნათიას მიერ დაგეგმილი ინტერვიუ იმდენად პოპულარული გახდა, რომ დღის განმავლობაში ის სხვა გამოშვებებშიც რამდენჯერმე გამოიყენეს.

როგორც ქართველი, თანამშრომლობს BBC-ის იმ სამსახურთანაც, რომელიც საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის რეფორმირების პროცესშია ჩართული. აძლევს მათ რეკომენდაციებს და ისმენს მათ მოსაზრებებს ქართული საზოგადოებრივი მაუწყებლის განვითარებაზე. მიუხედავად იმისა, რომ ლონდონში თავს კარგად გრძნობს, უნდა, რომ თავისი გამოცდილება საქართველოშიც გამოიყენოს. არ გამოიციხავს, კიდევ ერთხელ სცადოს საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორის შესარჩევ კონკურსში მონაწილეობა – იმ დროისთვის უფრო მეტი გამოცდილებით.

„ნათიას სამი ისეთი გამორჩეული თვისება აქვს, რაც ყველა კარგ ფურნალისტს სჭირდება. ესაა ენთუზიაზმი, ცნობისმოყვარეობა და პრინციპულობა. მას შეუძლია ერთდროულად იყოს გუნდის წევრი, რიგითი მოთამაშე და, როცა საჭიროა, ლიდერი, კაპიტანი. იშვიათია იშვიათად ადამიანი, რომელიც ორივე როლს ასე კარგად ირგებს“, – ამბობს მაიკლ დელაპეი.

BBC-ში ყველაზე დიდი მიღწევა მისთვის საგამოძიებო გადაცემა „ჰანორამაში“ მუშაობა იქნებოდა, სადაც ბრიტანული სტანდარტებითაც კი ყველაზე მაღალ პროფესიულ დონეს და გამოცდილებას ითხოვენ.

ნათიას, 35 წლის ასაკში, ინგლისის სტანდარტებით, მთლად დამწყები არა, მაგრამ კარიერის მაინც საწყის ეტაპზე მყოფი პროფესიონალი ჰქვია. საქართველოში კი მის უნარებს და გამოცდილებას მეტი მნიშვნელობა აქვს.


ეს თვითონაც კარგად იცის. ამიტომ ვფიქრობ, მისი მთავარი ამბიციია და „ცხოვრების პროექტი“ „ბრიტანული სამოთხის საქართველოში ჩამოტანა“ უფროა, ვიდრე კარიერული მწვერვალების დაპყრობა ბრიტანულ მედიაში. მოგვწონს თუ არა ამბიციური და მიზანდასახული ნათია აბრამია, გავზიადებულია თუ არა მისი შესაძლებლობები, რატომღაც მგონია, რომ რახან მას ასე უნდა, ნათია აბრამიას შესახებ ისე მოგვინებს ლაპარაკი საქართველოში.





# ზამთარი გადატანილია

ავტორი ღვინო ბუხრიკიძე  
ფოტო: ხათუნა ხუციშვილი



„ცხოვრება ამტანობის შესამონმებელი ტესტების რიგია. ჩააბარეთ პირველი ტესტები, ჩაიჭერთ დანარჩენებში. გაიფუჭეთ ცხოვრება, მაგრამ ბოლომდე არა... დაიტანჯეთ, ყოველთვის იტანჯეთ. ყველა უჯრედით ტკივილის შეგრძნება უნდა ისწავლოთ. სამყაროს თითოეული ნამსხვრევი პიროვნულ ჭრილობად აქციეთ და მიუხედავად ამისა, სიცოცხლე გააგრძელებთ – გარკვეული დროის განმავლობაში მაინც. ნუ შეიზიზღებთ სიმორცხვეს, ოდესღაც მას შინაგანი სიმდიდრის ერთადერთ წყაროდ თვლიდნენ და არც ცდებოდნენ. მართლაც, სურვილისა და მოქმედების დაშორებისას საინტერესო ფსიქიკური მოვლენები შეინიშნება. ადამიანი, ვისთვისაც ასეთი დაშორება უცნობია, ცხოველს უფრო უახლოვდება...“

ვერ ავხსნი რატომ, მაგრამ მიშელ

უელბეკის პუბლიცისტური ტექსტი, თითქოს გადაძახილია გურამ ნიბახაშვილის მიერ მოთხრობილ ფოტოისტორიასთან. პროექტში „IX ბლოკი“ „პერსექტოიკასა“ (1986) და ნავთობსადენს (2000) შორის მოქცეული საქართველოა, რომელიც კონტრასტულად ასახავს, თუ როგორ ცხოვრობდნენ ახალგაზრდები, პენსიონერები, მხატვრები, მუსიკოსები, პოლიტიკოსები... და მათი მაგალითით ქვეყნის დაახლოებით ოცნლიანი ავტობიოგრაფიული პორტრეტი იოლად შეიძლება წარმოიდგინოთ.

ჩემთვის ნიბახას „IX ბლოკი“ 90-იანი წლების საქართველოსა და გაზრდით „7 დღეში“ გატარებული დროის სიმბოლოა. ნერვული სიტემა თითქმის არასოდეს მღალატობდა, მაშინაც კი, როცა გენერატორის კვამლი ხვამლის ქუჩაზე მდებარე მთელ რედაქციას თი-

თქმის ყოველდღე წამლავდა. და როცა ის განუწყვეტილად თრახთრახებდა, ეს ნიშნავდა, რომ ქვეყნის საამაყო მეცხრე ბლოკი დუმდა.

„7 დღეში“ 1992 წლის თებერვალში მივედი. პოლიტიკური სიგიჟე უკვე ჩამცხრალი იყო, თუმცა ტოტალურად გამეფებულ და პირგამეხებულ დეპრესიას ბიძო (მაცაშვილი), ზვიად ქორიძე, ნიბახა (ნიბახაშვილი) ხათუნა მაისაშვილი, გელა გურგენიძე, მათ (გოგოლაძე), გიოსანაია, ლია ტოკლიკიშვილი, შორენა ლებანიძე აზბესტის ლუმელის სპირალზე მოდულებული ყავით „მკურნალობდნენ“. ხათუნა – ანატოლვაზე, ჰენრი ჯეიმსსა და ამერიკაში მცხოვრებ ჩილელ დრამატურგზე, არიელ დორფმანზე ჰყვებოდა, მათ გოგოლაძე – გოგოლზე გიჟდებოდა და პარალელურად, გიორგი სანაიას ნიკო ლორთქიფანიძის ნოველე-

ბის წაკითხვას ავალეხდა. ასე, მოკლედ წერას ისწავლიო...

თავიდან ეს ყველაფერი სიგიჟედ მეჩვენებოდა, მაგრამ მალე მივხვდი, რომ სინამდვილეში სწორედ – მუშაობა (ხშირად ფუჭი და კუპონ-ნარევი, მერე ოდნავ სასარგებლო და ლარით გამყარებული) იყო იმდროინდელი დეპრესიისგან თავდახსნის ერთადერთი საშუალება.

რამდენიმე წლით ადრე, ჯანდაბას გაგზავნილი საბჭოთა კავშირი ქართველთა მესხიერებაში ჯერ კიდევ იმდენად იყო „შედდეული“, რომ „მეორედ მოსული“ ედუარდ შევარდნაძე, თავდაცვის მინისტრის დანიშვნას ლამის ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მთავარსარდალს უთანხმებდა.

რატომღაც გვეგონა, რომ მოვლენებს ჩვენ ვქმნიდით, ან წინ ვუსწრებდით. ყოველი პარასკევის შემდეგ (სწორედ ამ დღეს გამოდიოდა ყოველკვირეული გაზეთის ნომერი), თათბირებს სერიოზული სახით ვმართავდით, რასაც მაია გოგოლაძე დაცინვით „ანალიტიკურ საათს“ უწოდებდა. მაგრამ პარასკევი მაინც მძიმე დღე იყო, რადგან დარბევა თუ არა, სულ მცირე, ტელეფონით დედის გინება გარანტირებული იყო. ედუარდს ქალბატონი-ლიდერის, „მხედრონის“ ფიცხი ბიჭების და მოგვიანებით ჩამოყალიბებული მოქ.კავშირის აქტივისტების შემოტევა სულ უფრო აგრესიული ხდებოდა.

კვარტალში ერთხელ დარბევაც გარანტირებული იყო, რასაც „სოროსის ფონდთან“ და კიდევ უფრო „მაღალი“ რანგის ევროპელებთან დამეგობრებული გია ნოდის ვიზიტები მოჰყვებოდა და ხოლმე. ისიც, პანაშვიდზე მოსული შორეული ნათესავებით ცოტა ხნით რედაქციაში შემოვიდოდა, ხელს ჩამოგვართმევდა, ოთახში რამდენჯერმე ნერვოულად წრეს დაარტყამდა და მიდიოდა. მერე სადღაც მოხსენებებში ინერებოდა, რომ თავისუფალი მედიის დარბევით საქართველოში დემოკრატიის იმიჯი ილახებოდა.

აფხაზეთის ომის შემდეგ რედაქცია სხვა შენობაში გადავიდა; ჩვენი და ქვეყნის ცხოვრება ერთდროულად შეიცვალა. რედაქციაში სამხედრო ფორმაში გამოწყობილები მოდიოდნენ, რომელთა შემზარავი გულწრფელობით მოთხრო-

ბილი ამბები ომზე დღემდე მახსოვს. 1993 წლიდან თბილისში ლტოლვილები გამოჩნდნენ, რომლებმაც მალე აულეს ალლო ახალ ცხოვრებას. ნიცშესი არ იყოს, ომმა ვინც არ მოკლა, გააძლიერა. სხვათა შორის, რედაქციის მახლობლად პირველებმა სწორედ ლტოლვილებმა აამუშავეს კაფე, სადაც მთელი ჩვენი რედაქცია დადიოდა.

ერთ დროს პოპულარულ, 90-იან წლებში კი სრულიად დაცარიელებულ გასტრონომ „ავრორაში“ დავით ჩიხლაძე და შოთა იათაშვილი თავიანთ ლექსებს კითხულობდნენ. მოგვიანებით, ეს აქცია „გასტრონომიული პოეზიის“ სახელწოდებით მოინათლა. 1994 წელს საჯარო ბიბლიოთეკის სააქტო დარბაზში „მარჯანიშვილის სახელოს-

**ზამთარი უკვე  
გადატანილია,  
სამაგიეროდ,  
ირაკლი სოცხალი  
ალარ არის. დარჩა  
ნიბახას ფოტოები,  
რომლებზეც „IX  
ბლოკის“ ეპოქის  
მთავარ ბარდს  
თითქოს სხვადასხვა  
სახე აქვს – როგორც  
თავად საქართველოს  
– განსხვავებული  
და დროსავით  
ცვალებადი.**

ნოს“ მხატვართა ჯგუფური გამოფენა მოეწყო. ლამის სიმბოლური (რომ არა ვთქვავთ, ცინიკური) სათაური – „ზამთარი გადასატანია“ – ნიშნავდა, რომ ახალ თაობას ბევრად უფრო მეტი სათქმელი დაუგროვდა, ვიდრე ერთ ზამთარში ჩაატევა. მხატვარი კარლო კაჭარავა – თაობის გამორჩეული პერსონა, ლიდერი და ინტელექტუალი, ამ გამოფენას ვერ მოესწრო, იგი უსინათლო დრომ, ანუ მეცხრე ბლოკმა შეინარა: როდესაც ურთულეს ოპერაციას უკეთებდნენ, სწორედ იმ დროს სინათლე გამოირ-

თო... არადა, რამდენი რამ შეეძლო მოესწრო და გაეკეთებინა...

ვიდრე 2000 წელს საამაყო ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობა დაიწყებოდა, კიდევ ბევრი რამ მოხდა: თბილისში დაბრუნდა 80-იანი წლებიდან საფრანგეთში გადახვენილი ოთარ იოსელიანი, რომელმაც სამშობლოში ახალი ფილმი გადაიღო; ერთ წელს გარდაიცვალნენ თენგიზ აბულაძე და სერგო ფარაჯანოვი, ნინო კირთაძემ პირველი სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი გადაიღო („ედუარდ შევარდნაძის სამი სიცოცხლე“), ხოლო ტატო კოტიტივილი – უკანასკნელი („ნოსტალგია“). მაგრამ სამშობლოს სიშორით გამონეველი სევდა აღარაფერს ნიშნავდა. უბრალოდ, ეს სამშობლო ნელ-ნელა კარგავდა კონტურებს, საზღვრებს, მნიშვნელობას.

1996 წლის ზაფხულში, ვაკის პარკში პირველი გრანდიოზული როკ-ფესტივალი „მარგარიტა“ გაიმართა, ხოლო პოპულარობის ზენიტში მყოფმა დათო ეგვენიძემ 1998 წელს სამეფო უბნის თეატრის მხარდასაჭერი კონცერტი გამართა (სახელწოდებით „მძიმე დღე“). 1998 წელი ჩემთვისაც საკმაოდ მძიმე იყო, რადგან შვიდწლიანი, არცთუ ამაო გარჯის შემდეგ, „7 დღის“ რედაქციიდან წამოვედი...

ირაკლი ჩარკვიანი, იმ დროისათვის, ჩვეულ ფორმაშია, უფრო ზუსტად, უკვე მეფეა. გურამ ნიბახაშვილმა ის ასობით ფოტოზე აღბეჭდა, ყველგან და ყველასგან განსხვავებულად ზემგრძნობიარე. 90-იანი წლების ბოლოს ის თითქოს საგანგებოდ გამოიკეტა პატარა, „მუსიკალური ეკოლოგიის“ უმფოთველ გარემოში, რათა ახალი მუსიკის კარიბჭე გაეხსნა. დამქანცველი კონცერტებისა და საღამოების შემდეგ, ის ქმნიდა უცნობ და საჭირო დისპარმონიებს, რათა ადამიანებს რაღაც დაეჯერათ, მაგრამ მიწელებული ტკივილი არ დაინწყებოდათ... მიშელ უელბეკიც ხომ ამაზე წერს!

ზამთარი უკვე გადატანილია, სამაგიეროდ, ირაკლი ცოცხალი აღარ არის. დარჩა ნიბახას ფოტოები, რომლებზეც „IX ბლოკის“ ეპოქის მთავარ ბარდს თითქოს სხვადასხვა სახე აქვს – როგორც თავად საქართველოს – განსხვავებული და დროსავით ცვალებადი.

# ბლოკი



მინდა, შემოგთავაზოთ, ერთი გამოუქვეყნებელი წიგნის პერსონალურ-ემოციური რეცენზია. „გურამ წიბახაშვილი თამარ ქარუმიძის წიგნში „მეცხრე ბლოკი“ – ესაა 500-გვერდიანი PDF-ი, რომელიც ქალაქში, ძალიან ვიწრო წრეში კონფიდენციალურად ვრცელდება, კომპიუტერიდან კომპიუტერში გადადის და გულგრილს ვერავის ტოვებს. ესაა წიგნი, რომლის დაბეჭდვისთვის კულტურის სამინისტრომ თანხა ვერ თუ არ მოიძია; როგორც კულტურის მინისტრის მოადგილემ წიგნის ავტორს, თამარ ქარუმიძეს უთხრა, სამინისტრო ვერ მისცემს უფლებას თავს, ფინანსურად ასეთი არამომგებიანი პროექტი განახორციელოს; და რომ სამინისტროს „მე-9 ბლოკის დაბეჭდვის არანაირი იურიდიული ან მორალური პასუხისმგებლობა არ გააჩნია“...

მინისტრის მოადგილეს წიგნის PDF-ში არც ჩაუხედავს და საერთოდაც ძალიან გულგრილად და განწყობილი, წიგნზე მუშაობა დასრულდება თუ არა. მე კი და-რწმუნებული ვარ, ეს წიგნი აუცილებლად უნდა დაიბეჭდოს.

აი, რატომ:

ქვირფასო მეგობარო, შენ თუ 90-იანებში დაიბადე, ალბათ, არ იცი, რა არის მოხეტიალე დენი. შეიძლება ჯავასკრიპტში გულაობდე, ფაიტონში მზითევს აწყობდე, მაგრამ ვერ ხვდებოდე, როგორ შეიძლება, იყოს დენი მოხეტიალე, რადგან მოხეტიალე იყო რობინ ჰუდის ძმაცაყი, მენესტრელი ალან ე' დელიცი.

მოხეტიალე დენის წარმოშობის ფიზიკური მიზეზი არ ვიცი, ბავშვობაში კი, ნათურაში შენითლებულ ვოლფრამის სპირალს თუ დავინახავდი, 220-ვოლტიან ნათურას ელვისებური სისწრაფით ვცვლი-

დი 12-ვოლტიანიო. სახლი ჩვეულებრივად ნათებოდა. დენი თუ დიდხანს რჩებოდა, შეგეძლო, პატარა ტელევიზორიც შეგეერთებინა და ღამე ფეხბურთისთვის გეყურებინა, გამთენიისას კი — ამერიკაში მიმდინარე კალათბურთისთვის. იმ დროს ფეხბურთს ევროპაში ვან ბასტენი-გულიტი-რიიკარდი თამაშობდნენ, კალათბურთს კი — ... (აბა, გამოიცანი, ვინ). მეერ, ოდესღაც, დენი მიდიოდა და რჩებოდა იმედი, რომელსაც მე-9 ბლოკი ერქვა.

ვილაცამ მითხრა, რომ მე-9 ბლოკი არ არსებობდა სინამდვილეში. ის „ერთგვობა“ მაშინ, როცა საქართველოდან ელექტროენერჯის ექსპორტი ფერხდებოდა და ელექტროენერჯია მოჭარბებით იყო. არ აქვს მნიშვნელობა, არსებობდა თუ არა, მე-9 ბლოკი ყველაზე პოპულარული ტექნიკური ტიპი იყო 90-იანებში.

„მე-9 ბლოკი“ ჰქვია თამუნა ქარუმიძის და გურამ ნიბახაშვილის წიგნი.

„არ შეიძლება, გურამ, ამდენი ფოტო თაროზე გედოს!“

„არ შეიძლება, გურამ, წიგნი გააკეთე!“

„არ შეიძლება, გურამ!“

„გურამ!“

ერთ დღესაც, გურამ ნიბახაშვილი ადგა და თამუნა ქარუმიძეს 8000-მდე ფოტო მიუტანა. გადაღებული – 1986 წლიდან დღემდე. ფოტოები და თან რა ფოტოები! ერის უჩინარი სულიერი მამები, ძმები, დები, რომლებსაც არ გაუმართლათ (ან იქნებ გაუმართლათ) და ყველაზე პროდუქტიული წლები უინტერნეტო ეპოქაში გაატარეს.

თამარ ქარუმიძე: „თავიდან ალბომის გაკეთებას ვფიქრობდით, ფოტოების შერჩევისას მივხვდით, რომ ბევრად მეტი რამ გამოდიოდა. ეს არ იყო უბრალოდ გურამ ნიბახაშვილის წიგნი, ეს იყო პერსონალური, სუბიექტური თვალთ დახახული საქართველოს უახლესი ისტორია. ფოტოები ყველაზე საინტერესო პერიოდიდან, რომელზეც ბევრი რამ არ არის ცნობილი. თავიდან 200-გვერდიანი ალბომის გაკეთება გვიჩნდა, მაგრამ 500 გვერდამდე ავედით. წიგნი ლოგიკურად, ქრონოლოგიური მონტაჟის პრინციპით ვითარდება.“

ერთხელ, ინტერვიუში რობერტ ფელმანმა (მუსიკოსი, The Orb და Palais Schaumburg-ის წევრი) მითხრა, ბედნიერები ვიყავით ინტერნეტის გარეშე იმიტომ, რომ არ ვიცოდით, ჩვენ გარეშე რა ხდებოდა და წინა დღეს რა გამოვტოვეთ. გურამ ნიბახაშვილს არაფერი გამოუტოვებია. ყველგან იყო კამერით და იღებდა. ყოველდღიურ ცხოვრებაშიც ისეთ სახასიათო ნიუანსებს ამჩნევდა, რომ 2000-იანებში დაბადებულთათვისაც ცხადი იქნება, მაინც რა დრო და მოვლენა იყო „ქართული 90-იანები“.

90-იანებში დაბადებულებო, რობერტ დე ნირო რომ იყო თბილისში, შვილთან ერთად, იცოდით? ან „მეათე სართულზე“ რა ხდებოდა, თუ იცით? ან პერესტროიკამ რა მოიტანა; ან სუზი კვატრო თბილისში – ეს თუ გაგიგიათ, ან მკაცრად ჩიწუა რომ ყველაზე ლამაზია?

...მამარდაშვილი რომ ფოსტის შენობაში საჯარო ლექციებს კითხულობდა? „ბაბუ“ რომ სუფსის ტერმინალის გახსნაზე ჩავიდა ორი ცინცხალი „მისოტი“? ნიკო

ცეცხლაძემ და ოლეგ ტიმჩენკომ კიროვის ბაღის „პაღუმეკაში“ მანეკენ-ინსტალაცია რომ გააკეთეს და მერე შუშა რომ გაამტვრიეს და ხალხს გული გაუხეთქეს? რუსთაველზე დამწვარი „ლაზები“ რომ ეყარა და პირველ სკოლას რომ ფასადი არ ჰქონდა... ჯეიმს ბიკერს უკან ჯაბა, თენგიზი, ელუარდი და კიდევ უამრავი ხალხი რომ უდგას, რომელთა უმრავლესობა შევარდნაძემ დაიჭირა; უტა ბექიას და ზალიკ ბერგერს, მგონი, 96 წლის მოდების ჩვენების სიუჟეტში, ტიტრად რომ „Dezigner“ უწერიათ?

ძალიან ზედაპირულ რალაცებს ვყვები, უბრალოდ ამინდის შესაქმნელად, თორემ წიგნს რომ ჩაუჯდებით, ერთი კვირა ვეღარც ადგებით და მერე იმ ხალხზე, ვისაც წიგნში შეხვდებით, ყველაფერს ნახავთ და ნაიკითხავთ. უჩინარ გენიოსებსაც გაიცნობთ, ალექსა მიქაძეს თუნდაც, რომელიც თითქმის არასოდეს აქვეყნებს თავის ფოტოებსა და ფილმებს, მაგრამ, ვინც ნახულობს, ყველა აღიარებს, რომ ალექსა არაა უბრალო კაცი.

წიგნში ფოტოთხრობა 1986 წლიდან იწყება – როცა საბჭოთა საქართველო უკანასკნელ საათებს ითვლის. თხრობა კალენდარული პრინციპით გრძელდება, წილიდან წლამდე თავმოყრილია ყველა მთავარი მოვლენა. გზის გაკვლევაში კი, ყოველი ახალი წლის დასაწყისში იმ წლის მთავარი მოვლენების მოკლე ჩამონათვალი მოგვხმარებათ. ეს ფაქტები მშრალად კი წერია, მაგრამ ფოტოები იმდენად დიდ ემოციას იწვევენ მნახველში, რომ მეტი არც გინდა. თუ სურვილი გაგიჩნდა მეტის მიღების, შეფასებების და შეხედულებების, მოგონებების, სენტიმენტების აქვეა. ზურაბ ქარუმიძის ვრცელ ესეში პოსტსაბჭოთა საქართველოზე და პოსტმოდერნიზმზე ლაპარაკი. ირაკლი ჩარკვიანის წერილი ბიძინა მაცაშვილის პირადი არქივიდან, ქართული ანდერგრაუნდის შესახება პირადი დაკვირვებებით და ზუსტი აქცენტებით და, მაგალითად, ასეთი კითხვით: „რატომ იღვენებოდა და დღესაც არ იწვევს მასობრივ სიმპათიას კონტრკულტურა?“ წიგნში შევიდა ანა კორძია-სამადაშვილის მოთხრობა „ნათლიას მოედანი“, ბიძინა მაცაშვილის ესე – „ფონი“, საუბარი ჩანერეს სერგი გვარჯალაძემ და ნიკა მაჩაიძემ; ირაკლი ჩარკვიანმა და ზაზა რუსაძემ; აქვე ნაი-

კითხავთ ნანყვეტს კარლო კაჭარავას დღიურებიდან, დათო ბარბაქაძის რომანიდან „ტრფობა ნამებულთა“, საუბარს გივი მარგველაშვილთან, მამუკა ჯაფარიძესთან, ნინო ჩუბინიშვილთან (ჩუბიკასთან); დაათვალიერებთ გაყვითლებული „შვიდი დღის“ დასკანერებულ ფურცლებს ბიძინა მაცაშვილისა, დავით ბუზრიკიძის და სხვების ძველისძველი სტატიებით; მაშინ – არაფერი, ახლა კი ოქროს ჰიტებივით უღერს ამ ტექსტების სათაურები. მაგალითად ეს: „...და მიცურავს გემი. პოლიტიკურად მშვიდი, სექსუალურად მხნე“; ანდა ეს: „პა-სეანსი პაპანაქებაში... დემოკრატიულ საწყისებზე“ (თავად გამოიცანით, ანდა წიგნში ნახეთ, რაზეა საუბარი)...

ერთი სიტყვით, წიგნი, რომელიც პირველი ჩანაფიქრით გურამ ნიბახაშვილის ფოტოების ალბომი უნდა ყოფილიყო, მუშაობის პროცესში თავისდაუნებურად იქცა საქართველოს უახლესი ისტორიის ბოლო ეტაპის ამსახველ უნიკალურ ანთოლოგიად. ფოტოების და წერილების ერთობლიობით შეიქმნა უნიკალური, სუბიექტური მოგონებებით დამონტაჟებული ქრონიკა, მთელი თავისი შინაგანი კონტრასტებით – ამ წიგნში, მაგალითად, ერთმანეთის გვერდი-გვერდ მოაბჯებენ ელუარდ შევარდნაძე, თავისი მეგობარი გენმერით და შიშველი, საბანქონო-საბანკო მამუკა ჯაფარიძე თავისი ხმაურიანი პერფორმანსით. წიგნი ამითაცაა მნიშვნელოვანი – ამკვეთრებს იმ წლების იმიჯებს, რომელთა შესახებაც ბევრს აღარ ვლაპარაკობთ. ვისაც არ ახსოვს, ვერც ილაპარაკებს, ვისაც ახსოვს და მას ხშირად ურჩევნია, ავიწყდებოდეს, შესაბამისად, საგულისხმო დეტალებიც ბუნდოვანდება.

... ეს წიგნი არავის დაამჩიებს. პირიქით, მასში ოფიციალურ და ანდერგრაუნდულ სხდომებს შორის არსებული კონტრასტები, რომელთაც ნიბახა ოც წელიწადზე მეტ ხანს აგროვებდა, იუმორისტულ პასაჟებსაც კი ქმნის. ამიტომ, მგონია, რომ „მე-9 ბლოკი“ უფრო ტკბილი და ზოგჯერ მწარე ლიმონების წიგნია. ის ყველას უნდა გვექონდეს, როგორც სარკე, რომელშიც ყველანი ვჩანვართ; ისინიც კი, ვინც იმ წლებში მხოლოდ ვიბადებოდით.




ლენინს რიგი მზრალი კანონის დროს





რობერტ ლა ნერო და მისი კალიფორნიელი თანატოლნი









ნიკო საყვარელიძე გარკვეული სახეობის



სული კვატრო თბილისში





9 აპრილი



ირაკლი მარაშვიანი



მოდების ჩვენება კლუბ „საფარულში“



მეჩაბა აბაბარაშვილი, 1930-1990



რეჟისორი მინაილ თუბანიშვილი





მსახიობი ზურა ყიფშიძე



ბუბა კოჭავიძე  
და მანანა არაბული



გორა კაპანაძე ფილმის „კასტინგზე“



ვალერი სოქოლოვი და მაკა ჩიჩუა



ნიკო ცხესლაძე და გორა ალავერდიანი





კანს ლიტრის გენერალი, პირველი ოფიციალური ვიზიტი შვედეთში ჩემოსვლის შემდეგ



გაგუკა ჯაფარიძის პერფორმანსი „წმ. სებასტიანი“




მონია ჩინაშვილი



ლალო გურდული და ირაკლი ჩარაშიანი



გურამ ნიზაშვილის მიერ გადაღებული ლევან ავაშიძის ზოლო ფოტო აფხაზეთის ომში ნახვალად



ირინა თევზაძის მოდების ჩვენება სასტუმრო „მადონაში“





ოლაბ ტიჩინაძის გამოფენა-გაყიდვა თბილისის ლეზბიანობის ბაზარში





როგო კოსმორტი უნივერსიტეტში. ბასილა და ჯგუფი „კონტრაბანდო“




ირაკლი ჩარკვიანი, ირმა ლეჟავა და დავით „კაკაბუ“ მაჭავარიანი



თამუნა ქარაშვილი



ბალაფრესტიანი „მანა“ ფილარმონიაში



გურამ ნიგაზუილი გადაღებაზე



სამსონ ლიშავას პანთა



ნინო კირთაძე მისი პირველი ფილმის გადაღებაზე



ელვარდ შვებარდნაძის მხარდამხარი სპარჩევნო მიტინგი



სატის ბაშოსკვენება ტორში



ნინო ჩუბინიშვილის მიუღბის ჩვენება „შისფარ ბაღურაში“

# CHINAWOMAN

## ექსპერიმენტი, რომელმაც გაამართლა

ავტორი ნინო ჩინაძე  
ფოტო გიორგი გოგუა



*Chinawoman* – იგივე მიშელ გურევიჩი – თავისი მელანქოლიური ბალადებით ცნობილი კანადელი ინდი შემსრულებელი, თბილისს 30 დეკემბერს სამკაცციანი ბენდით ესტუმრა. ეს კონცერტი მუსიკალური პროექტის *ozone Live*-ის ნაწილი იყო. *Ozoni Live Alter Vision* ჯგუფის ახალი პროექტია, რომელსაც მუსიკოსები და პროდიუსერები – აჩიკო გულედიანი და ვახო ბაბუნაშვილი ხელმძღვანელობენ. ისინი, მომდევნო 5 თვის მანძილზე, ყოველთვიურად გეგმავენ მსოფლიო მასშტაბის პოპულარული და საინტერესო მუსიკოსების საქართველოში ჩამოყვანას. სეზონი 2012 წლის მიწურულს *Chinawoman*-მა გახსნა.

ღრმა და ექსპრესიული მუსიკა; ალტერნატივის, პოსტ-პანკის და სლავური ბალადური სტილის უცნაური შეზავება; სასიამოვნო, დაბალი ხმის ტემბრი და

შესრულების საინტერესო მანერა, რომელიც ერთდროულად *Nico*-ს, ტანიტა ტიკარამს, *PJ Harvey*-ს და ლეონარდ კოენს მოგაგონებთ – ამ ყველაფრის წყალობით, *Chinawoman*-მა სულ რაღაც 5 წელიწადში მოახერხა, ქაოსურ თანამედროვე მუსიკალურ სამყაროში საკუთარი ნიშა ეპოვა. რუსული წარმოშობის მუსიკოსი, რომელიც კანადაში დაიბადა და გაიზარდა, უკვე 2 წელია, ბერლინში ცხოვრობს. ჩანერილი აქვს 2 ალბომი და რამდენიმე სინგლი. პირველი ალბომი *Party Girl* 2007 წელს გამოვიდა, მეორე *Show Me The Face* კი – 2010-ში. ბოლო სინგლი *To Be With Others* მუსიკოსმა 2012 წელს ჩანერა.

**თბილისი არც ისე განებივრებულია თქვენარი მუსიკოსების სტუმრობით. რატომ გადანყვიტეთ თბილისში ჩამოსვლა?**

აქ ჩამოსვლა დიდი ხანია მინდოდა, ინტერნეტით მქონდა ურთიერთობა აქაურებთან და სულ მაინტერესებდა თბილისში კონცერტის ჩატარება. რამდენიმე თვის წინ მოწვევა მივიღე და ძალიან გამიხარდა.

**მოგვიყევით თქვენს შესახებ: კანადაში გაიზარდეთ, მაგრამ წარმოშობით რუსეთიდან ხართ. როგორი იყო თქვენი ბავშვობა, რა გავლენები გაქვთ, უფრო რომელ კულტურას მიაკუთვნებთ თავს?**

ჩემი მშობლები სანკტ-პეტერბურგიდან არიან, 1975 წელს ისინი რუსეთიდან კანადაში გადავიდნენ საცხოვრებლად. მე, ტორონტოში დავიბადე და გავიზარდე; რა თქმა უნდა, თავს კანადელად მივიჩნევ, მაგრამ რუსული კულტურის გავლენაც ძლიერია, ოჯახში დღემდე ძირითადად რუსულად ვლაპარაკობთ.



**დედათქვენი, რამდენადაც ვიცი, ბალერინა იყო, ის იყო თქვენი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სიმღერის Russian Ballerina-ს ინსპირაცია?**

კი, დედა წლების მანძილზე ცეკვავდა კიროვის თეატრში, შემდეგ ქორეოგრაფადაც მუშაობდა იქ. ეს სიმღერა მას რამდენიმე წლის წინ, დაბადების დღეზე მიუძღვნენ. ეს ძალიან პერსონალური ჩანაწერი იყო და არც მიიქცია, რომ ასე პოპულარული გახდებოდა, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ჩემს მსმენელებს მოსწონთ ის და ეს ძალიან მახარებს.

**როდის და როგორ დაიწყეთ მუსიკის წერა? რამ მოახდინა გავლენა?**

არასდროს მნდომებია მუსიკოსობა. ისე მოხდა, რომ დაახლოებით 5 წლის წინ დავუშეგებრდი მუსიკოსებს, მერე ერთი სიმღერაც დავწერე და გადავწყვიტე გამეგრძელებინა ამის კეთება, ოღონდ ეს არ ყოფილა რაიმე სერიოზული გეგმა. მხოლოდ მას შემდეგ აღმოვაჩინე ის მუსიკალური გავლენები – რომლითაც გავიზარდე – რაც სიმღერების ჩაწერა დავიწყე.

**და რა იყო ეს გავლენები?**

ეს იყო რუსული 70-80-იანი წლების მუსიკა, ასევე ფრანგული და იტალიური ბალადები.

**თქვენს მუსიკას ხშირად ადარებენ Nico-ს Velvet Underground-იდან, ასევე ლეონარდ კოენს, PJ Harvey-ს... თუმცა ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობთ, რომ ალა პუგაჩოვას ადრეული სიმღერებიც იყო თქვენთვის ინსპირაცია. როგორ აკავშირებთ დასავლურ ალტერნატიულ მუსიკას და რუსულ ბალადებს ერთმანეთთან?**

Nico-ს შესახებ საერთოდ არ ვიცოდი, სანამ პირველი ალბომი არ დავასრულე, მაგრამ მომწონდა, მაგალითად, ისეთი ჯგუფები, როგორცაა Joy Division. ეს ალბათ, რაღაც ერთმანეთთან შერწყმული გავლენა იყო ალა პუგაჩოვას და Joy Division-ის მსგავსი მუსიკოსების.

**როგორც ვიცი, მუსიკაში კინოდან მოხვედით და ზოგადად, კინომ დიდი გავლენა მოახდინა თქვენზე. თქვენი მუსიკა და ტექსტები თავისი დრამატურაგით და ესთეტიკით, თითქოს მართლაც კინემა-**

**ტოგრაფიულია. რა გეგმები გქონდათ, ვიდრე მუსიკა გაგიტაცებდათ და რატომ გადანწყვიტეთ ყველაფრის ასე დრამატულად შეცვლა?**

ღიას, მე კინორეჟისორობა მინდოდა, ამას ვცდილობდი რამდენიმე წელი, ვმუშაობდი მემონტაჟედ, ვიღებდი პატარა ფილმებს. მაგრამ მერე აღმოვაჩინე, რომ ეს არც ისე კარგად გამოდებოდა. ერთხელაც, მონტაჟისას, ჩემი პირველი სიმღერა დავწერე, როგორც ექსპერიმენტი და უცებ გავანალიზე, რომ ეს ბევრად უკეთ გამოვივიდა, ვიდრე ნებისმიერი ფილმი, რომლის გადაღებაც მანამდე მიცდია. მალე დავასკენი, რომ უფრო ბენდიერი ვიყავი მუსიკის წერისას, ვიდრე ფილმის გადაღების ან მონტაჟის დროს. თუმცა, ბოლომდე დღესაც არ მოვწყვეტილვარ ამ საქმეს, youtube-ზე ატვირთული ჩემი სიმღერების ვიდეოებს თვითონვე ვამონტაჟებ.

**ალბომის Party Girl შემდეგ, მალე მოიპოვეთ პოპულარობა მსოფლიოს მასშტაბით, განსაკუთრებით კი ევროპაში. როგორც ვიცი, სოციალურმა ქსელმა Myspace-მა დიდი როლი ითამაშა თქვენს კარიერაში. როგორ მოახერხეთ ასე მალე თავის დამკვიდრება ამხელა სივრცეში, სადაც ყოველდღიურად უამრავი ნამუშევარი იღება, და ზოგადად, რას ფიქრობთ ინტერნეტის როლზე თანამედროვე მუსიკოსისთვის?**

ინტერნეტი და თანამედროვე ტექნოლოგიები რომ არა, მუსიკოსი ალბათ საერთოდ არ ვიქნებოდი. ისე მოხდა, რომ მე უბრალოდ ტექნიკური საშუალება მექონდა იმისთვის, რომ მუსიკა მეკეთებინა, რადგან მემონტაჟედ ვმუშაობდი და ჩაწერის საშუალება მექონდა. ჩემს შემთხვევაში ყველაფერი ძალიან სპონტანურად მოხდა: როცა პირველი ალბომი ჩავწერე, Myspace-ზე დავდე, ყოველგვარი პრომოუშენის გარეშე... მერე რაღაცნაირად ყველაფერი თავისით მოხდა. ალბომის გამოშვების შემდეგ, დაახლოებით 8 თვით სამოგზაუროდ წავედი, ცივილიზაციას სრულიად მონყვეტილი, დახეტიალობდი ტყეებში, მთებში. როცა დაებრუნდი ინტერნეტთან, გაცეცხული დაფრჩი გამომხმარებებით: საიდან უსმენს ამდენი ადამიანი ჩემს მუსიკას? როგორ იპოვეს? – ვფიქრობდი ჩემთვის. ასე

დაიწყო ყველაფერი. როცა მივხვდი, რომ საკმაოდ ბევრი და აქტიური მსმენელი მყავდა, გადავწყვიტე უფრო სერიოზულად მივდგომოდი ამ საქმეს. ინტერნეტი თანამედროვე არტისტებისთვის ძალიან კარგი საკომუნიკაციო საშუალებაა, მით უმეტეს, თუ კარგად იცი, სად, როდის და როგორ გაავრცელო საკუთარი ნამუშევარი.

**რამდენიმე წლის წინ კანადიდან ბერლინში გადახვედით საცხოვრებლად. რატომ გადანწყვიტეთ ეს, ფიქრობთ, რომ ევროპული აუდიტორია უფრო ახლოსაა თქვენს მუსიკასთან და ამიტომ ევროპაში უკეთესად გრძნობთ თავს?**

კანადაში ძალიან ნელა ვითარდებოდა მოვლენები. ვცდილობდი ჩანაწერები გამეგზავნა იქაურ სტუდიებში, მაგრამ პროცესი საშინლად ინელეობდა. ერთხელაც, „როლინგ სტოუნზის“ რუსულენოვან გამოცემაში მოვხვდი. მაშინ, ჯერ კიდევ, ტორონტოში ვცხოვრობდი და აღმოვაჩინე, რომ რაღაცები ჩემს თავს, ჩემგან დამოუკიდებლად ხდებოდა მსოფლიოს სულ სხვა ნაწილში – ვიღებდი მონვევებს პოლონეთიდან, რუმინეთიდან და სხვა ქვეყნებიდან. ზუსტად მაშინ ვიფიქრე, რას ვაკეთებ აქ? უკვე არის მსმენელი სამყაროს მეორე მხარეს. ასე გადავწყვიტე, წამოვსულიყავი და უფრო ახლოს ვყოფილიყავი ჩემს მსმენელთან.

**თქვენი მსმენელების დიდი ნაწილი აღმოსავლეთ ევროპიდანაა. როგორ ფიქრობთ, რა არის ამის მიზეზი? სლავური მუსიკის გავლენა თქვენს შემოქმედებაზე?**

არ ვიცი, თავიდან როგორ დაიწყო ეს. ძნელი სათქმელია. ვფიქრობ, აღმოსავლეთ ევროპელები გრძნობენ რაღაცას, რაც ახლობელია მათთვის, მაგრამ თან არც არის ბოლომდე ახლობელი და ეს მოსწონთ. მოსწონთ სლავურის და თანამედროვე დასავლური მუსიკის სინთეზი, ანუ მათთვის ეს არის განსხვავებული, მაგრამ ამავდროულად ნაცნობი და ალბათ ეს იზიდავთ.

**ბერლინზე რას იტყვიან? ეს მაინც უფრო ელექტრონული მუსიკის, კლუბების ქალაქია. რამდენად არის შესაფერისი ინსპირაციული გარემო თქვენთვის მუ-**

სიკის შესაქმნელად და ხომ არ მოახდინა გავლენა თქვენს შემოქმედებაზე ადგილობრივმა კულტურამაც?

ბერლინი ძალიან მომწონს. რაც აქ გადმოვიფიქრე, უფრო მეტი ელექტრონული მუსიკის სმენა დავინწყე და ჩემს მუსიკაშიც ცოტა უფრო მეტად შემოვიტანე ელექტრონული ფლერადობა. ბერლინში უყვართ კლუბები, წვეულებები, მაგრამ ასევე აქვთ კაბარეს ისტორია, მოსწონთ ე.წ. Dark მუსიკა, ურბანული მუსიკა. ასე რომ, საინტერესოა აქ ცხოვრება. თუმცა, ბევრ დროს არ ვატარებ ბერლინში, სულ დავდივარ, ვმოგზაურობ სხვადასხვა ქვეყანასა და ქალაქში. ბერლინში მხოლოდ 2-3-ჯერ თუ დავუკრავ წელიწადში.

**შეგიძლიათ, აღწეროთ, როგორ ემზადებით ცოცხალი კონცერტებისთვის? თუ გაქვთ რაიმე რიტუალები, განსაკუთრებული ჩვევები?**

კი, მიყვარს სიმშვიდე, რადგან კონცენტრირება უნდა შევძლო. რაღაც ალკოჰოლის შემცველსაც ვსვამ ხოლმე, და ჩემს თავს ვახსენებ, რომ ნოტებს არ აქვს დიდი მნიშვნელობა, მთავარი გრძნობები და სიტყვებია. ვცდილობ ხოლმე, მთელი არსებით სენტიმენტებზე ავეწყო. საერთოდ, ცოცხალი კონცერტები ძალიან მიყვარს, რადგან მსმენელთან ურთიერთობა მსიამოვნებს, იმ ადამიანებთან შეხვედრა, რომლებიც აფასებენ, რასაც ვაკეთებ. მაგრამ უნდა ვაღიარო ისიც, რომ შემოქმედებითი პროცესია ამ ყველაფერში ჩემი ყველაზე საყვარელი ნაწილი – როცა მარტო ვრჩები ჩემს თავთან, ყურსასმენებით და მუსიკას ვწერ.

**როგორ გარემოში გსიამოვნებთ მუშაობა? სად და რა დროს წერთ უფრო ხშირად მუსიკას და რა არის ხოლმე მთავარი ინსპირაცია?**

შთაგონებას ადამიანებთან ურთიერთობებით ვიღებ. მიყვარს ფატალისტური და სადღესასწაულო სენტიმენტების ერთმანეთთან შერწყმა, ბალანსი მელანქოლიასა და მხიარულებას შორის. რაც შეეხება გარემოს, შემძლია ყველგან დავწერო მუსიკა. ხშირად ვმოგზაურობ და ამიტომ, სულ განსხვავებულ გარემოში მიწევს მუშაობა.

**როგორია თქვენი ყოველდღიური ცხო-**

**ვრება? როგორია თქვენი, როგორც მუსიკოსის ცხოვრების სტილი?**

საკმაოდ დატვირთულად ვმუშაობ: ვწერ მუსიკას და ამავდროულად, თავად ვარ პროდიუსერიც, თავად ვზრუნავ შოუების დაგეგმვაზე, მუსიკოსების და ხმის ინჟინრების აყვანაზე და ა.შ. ვურთიერთობ აგენტებთან... ასე რომ, როკენ-როლური ცხოვრების სტილი – ნარკოტიკები და ა.შ. – ნამდვილად არ მაქვს. ყოველთვის ძალიან ბევრი საქმე მაქვს. თუმცა, შესაძლოა ეს მაღე შეიცვალოს და პროდიუსერის აყვანა მომიხდეს.

**ლიახ, მე  
კინორეჟისორობა  
მინდოდა, ამას  
ვსდილობდი,  
ვიღებდი პატარა  
ფილმებს. ერთხელაც,  
მონტაჟისას, ჩემი  
პირველი სიმღერა  
დავწერე, როგორც  
ექსპერიმენტი და  
უსაბ მივხვდი, რომ  
ეს ბევრად უკეთ  
გამოვივიდა, ვიდრე  
ნებისმიერი ფილმი,  
რომლის  
გადაღებას  
მანამდე მისდია.**

**როგორ არჩევთ მუსიკოსებს და რამდენად ხშირად იცვლით მათ? იგივე შემადგენლობა გყავთ ახლა, რაც 2 წლის წინ?**

როცა ბერლინში გადმოვიფიქრე, 6 თვეში ვიპოვე 2 ადამიანი, რომლებიც უკვე მეორე წელია, ჩემთან უკრავენ, ასევე – ხმის ინჟინერი. ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია ისეთი ადამიანების პოვნა, რომლებთანაც კარგად ვგრძნობ თავს, ჩვენ ახლა ერთი ოჯახივით ვართ. შესაძლოა, ზედმეტად სენტიმენტალური ვარ, მაგრამ მგონია, რომ ურთიერთ-

ბა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ის, შეუძლია თუ არა ჩემი ბენდის წევრს საოცარი სოლოს შესრულება. ვფიქრობ, ამ ურთიერთდამოკიდებულებას მსმენელიც გრძნობს, როცა ჩემს კონცერტზე მოდის.

**თქვენ ბევრ ქვეყანაში ყოფილხართ, შეგიძლიათ მსმენელები შეადაროთ? რით განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისგან?**

აუდიტორია გერმანიაში და ავსტრიაში უფრო თავშეკავებულია, სხვათა შორის – რუსეთშიც, რამაც ცოტა გამაკვირვა. მაგალითად, სერბეთში, პოლონეთში და თურქეთში უფრო გახსნილები და ემოციურები არიან. მათ შეიძლება ერთი სიტყვა იცოდნენ სიმღერიდან, მაგრამ ისე აცყვებიან, თითქოს მთელი სიმღერა ზეპირად ახსოვთ. გერმანიაში უფრო სერიოზული სახით და სკეპტიკური მზერით გიყურებენ. მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ეს კარგია, ან ცუდი, უბრალოდ, ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისგან.

**დაბოლოს, რას ურჩევთ დამწყებ მუსიკოსებს ისეთი პატარა ქვეყნებიდან, როგორც საქართველო? ვიცით, რომ მზა რეცეპტები არ არსებობს, მაგრამ მაინც, საკუთარი გამოცდილებით გვითხარით, რა უნდა ქნან მათ, რომ 21-ე საუკუნეში, ზღვა ინფორმაციის პირობებში, თავი დაიმკვიდრონ და მსმენელს მიაგნონ?**

ალბათ, ჯერ უნდა მიხვდე, რა არის შენი – პერსონალური და განსაკუთრებული. არ უნდა შეეცადო სხვების კოპირებას, საკუთარ თავს უნდა მიაგნო. წარმატების 50 პროცენტი ამაზეა დამოკიდებული, 50 კი – თავდადებულ შრომაზე. დასაწყისში თვითონვე უნდა იყო შენი თავის პროდიუსერი, შეფუთო და გაავრცელო შენი ნამუშევრები საჭირო დროს და საჭირო ადგილზე. უნდა მოახერხო, მარტივი ხერხებით მიანოდო პუბლიკას. აირჩიე საუკეთესო ჩანაწერები საკუთარი შემოქმედებიდან, განსაზღვრე, სად გიჯობს მათი განთავსება, კარგად შეარჩიე იმიჯი და ფორმები და გახადე ის ადვილად მოსაძებნი. არ ვიცი, სმგონი, ეს ზუსტად ისაა, რაც თავს გადამხდა.

სხადი

# შოკოლედი

ლიტერატურა

ესა

ზამზის ფესსაცმელი

გუსტავ შურინი

საავტორო

მომისმინე!..

ეკა ტომონიძე

პოეზია

ნიკა ჩერქეზიშვილი



# ზამუის ფესვსაშველი ქართული ისტორია

ავტორი გუსტავ მურინი  
იხმლისურილან თარბმნა მიხეილ ჩხიკვაძე.

საქართველოში მოგზაურობა ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე ველური თავგადასავალი იყო. მასპინძლებს სურდათ, შეუდარებელი სტუმართმოყვარეობა გამოეჩინათ ჩვენ მიმართ. ამ მიზნით, სპონტანურად გადწყვიტეს ჩვენი ექსკურსიაზე წაყვანა ქვეყნის ყველაზე გადაკარგულ ნაწილში, ოღორიოლო გზებით, ფრიალო კლდეებს შორის და, რაც მთავარია, უცნობი მიმართულებით. გზად ერთ პატარა დასახლებაში შევიჩერდით. მასპინძლებმა ცოტა ხნით დაგვტოვეს და თვითონ რაღაც დეტალების გასარკვევად გაემართნენ, ექსკურსია ღირსეულად რომ გაგვეგრძელებინა.

დღისით-მზისით, სადღაც უცნობი ქალაქის მოედანზე, ამ გაურკვეველ ლოდინში ფოტოების გადაღებით თუ შევიქცევდით თავს. მომლოდინე უცხოელისთვის ნერვების დასაწყნარებელ ერთადერთ საშუალებად ფოტოების გადაღება რჩება. ჩვენც მოვიმარჯვეთ ტურისტული ფოტოაპარატები და რწმენით, რომ დროს რაიმე სასარგებლოს კეთებით მოვკლავდით, ფოტოების გადაღება დავინწყეთ. იქვე, შორიახლოს, გადაქექილი ხის ძველი ქოხმახი შევნიშნეთ და ველარც მოვშორდით მას. გარედან ეწერა – „ფეხსაცმლის შეკეთება“. თუმცა, მხოლოდ ამ სანახაობას არ მიუქცევია ჩვენი ყურადღება. ჩვენ, უფრო, კარის ზღურბლზე მდგარ პატარა გოგოს და ძალღს ველარ ვწყვეტდით თვალს. დაგვინახეს თუ არა, ერთი შეგვათვალაიერეს და ბავშვური ცნობისმოყვარეობით სავსე მზერა აღარც მოუცილებიათ. სულ რამდენიმე ფოტოს გადაღება მოვასწარით, როცა, თითქოს არსაიდან, ქართული აქცენტით წარმოთქმული რუსული ფრაზა გავიგონეთ:

– სად არის ის სლოვაკი?

როგორ გამომარჩია სხვათაგან ამ უცნობმა ადგილობრივმა და როგორ

მიხვდა, რომ სლოვაკი ვიყავი, დღემდე არ ვიცი და, ალბათ, სიკვდილამდე ვერც გავიგებ. თუმცა კი, დაუძლეველი ცნობისმოყვარეობით აღსავსემ, მაშინვე ვუპასუხე, რომ მე ვიყავი.

ასეთ კაცებს უამრავ სხვა ქვეყანაშიც შეხვდებით. ისინი მთელ ცხოვრებას სოფლის ბირჟებზე ატარებენ. გაუთავებლად მასლაათობენ, სვამენ ჩაის და გარშემო მომხდარი ამბებიდან არაფერი გამორჩებათ. ერთი შეხედვით, სახიფათო ტიპების შთაბეჭდილებას არ ტოვებენ, მაგრამ ამ ქუჩურ თავყრილობებზე კი წარმოდგენილი გავლენა აქვთ. მაშინვე შეგნიშნავენ, ერთს აგათვალაიერ-ჩაგათვალაიერებენ და თუ თვალში არ მოუხვები, სჯობს საერთოდ აორთქლდე. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩემი საუბარი უცნობ, გაუპარსავ, გაცვეთილტანსაცმლიან კაცთან ყველაზე ცუდი სცენარით წარიმართა, რაც კი შეიძლებოდა წარმომედგინა. ჯიქურ მომიახლოვდა, თვალი თვალში გამიყარა და ხმამალა, გამომწვევად მკითხა:

– რატომ გადაულე სურათი ხეიბარს?

მივხვდი, ცუდად იყო საქმე. ქოხში, წარწერით – „ფეხსაცმლის შეკეთება“, ალბათ ხეიბარი იჯდა, მე კი არ დამინახავს; არცკი ვიცოდი, შიგნით თუ ვინმე იყო, მაგრამ მობოდიშებას აზრი არ ჰქონდა. ამ კაცს ღრმად სწამდა, რომ ჰქონდა უფლება, უცხოელისთვის ჭკუა ესწავლებინა და თან, თანასოფლელების მხარდაჭერის იმედიც ჰქონოდა.

ხეიბრები და ბავშვები ყველა ქვეყანაში ხელმეუხებლები არიან. მტრისას, რაც ელის უცხოელს, რომელიც შეცდომას დაუშვებს და ამ წესს დაარღვევს, თუნდაც უნებლიეთ მოუვიდეს ეს. და როგორც ასეთ ნუთებში ხდება ხოლმე, ადამიანები, რომლებიც წესით, უნდა დამხმარებოდნენ, მდუმარედ იდგნენ ჩემ გარშემო, უყუ-

რებდნენ სეირს და ელოდნენ, როგორ დასრულდებოდა ეს მოულოდნელად წარმოქმნილი კონფლიქტი.

უცნობი მამაკაცის სამეგობრომ ნელ-ნელა შემოგვარტყა წრე; გაფაციცებით გვისმენდნენ. ყველა სიტყვას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და ვხვდებოდი, ყველაფერი შემეძლო მეთქვა, ოღონდ ხეიბრების თემას არ შევხებოდი. ამით, უცნობს, საშუალებას მივცემდი, უცხოელების თავხედობასა და ქედმაღლობაზე წინასწარ მომზადებული ნოტაციები წაეკითხა.

ფრთხილად დავინწყე.

– იცით, რა, ძვირფასო მეგობარო, – დავინწყე და განწირული თვალეზით, ვიდრე რამე ჭკვიანურს მოვიფიქრებდი, საკუთარ ფეხსაცმელებს დავხედე – ჩემს საყვარელ ზამშის ფეხსაცმელებს და მუზაც მომივიდა, – მე გადავიღე თქვენი „ფეხსაცმლის შეკეთება“, ვინაიდან ჩვენთან ასეთი მომსახურება აღარ არსებობს.

– კარგი, რა, მართლა? – მკითხა ეჭვანურევი გაოცებით. იცოდა, მის დამარცხებას შეეძლებდი საუბრის სხვა თემაზე გადატანით.

– მართლა, აბა, რა! – განვაგრძე ისევ, – წარმოიდგინეთ, ჩვენთან აწარმოებენ ისეთი ცუდი ხარისხის ფეხსაცმელს, რომ მათ შეკეთებას აზრი არ აქვს. მხოლოდ ხელოვნური მასალისგან მზადდება. იძულებული ვართ, გადავყაროთ“.

– ვააჰ! – გაიკვირვა კმაყოფილი სახით. ქუჩის ბირჟების ლიდერებს ყოველთვის საიმოვნებთ, როცა აღმოაჩენენ ხოლმე, რომ რაღაცით უცხოელებზე მაღლა დგანან. პირველობას არც შემდეგ თმობენ, მაგრამ უფრო კეთილგანწყობილები კი ნამდვილად ხდებიან.

– ცუდ დღეში ყოფილხართ, – დაამატა მერე.

– ვართ! – მარდად დავუდასტურე.

– საით მიექანება ეს სამყარო, – გადწყვიტა დიალოგის გაგრძელება

კაცმა, თუმცა მერე იფიქრა, ჩხუბის შანსი ხელიდან როგორ გავუშვაო და ისევ საყვედურის ტონით მითხრა:

– მერედა, რატომ არ იღებ რამეს, რაც ლამაზია? – ხელით მანიშნა მოედანზე, სადაც ლამაზი ნამდვილად არაფერი იყო. ამ დროს შევნიშნე, ჩვენ გარშემო შეკრებილი სეირის მაცქერალნი მოწყენილი სახეებით გვტოვებდნენ. გამარჯვება მიღწეული იყო, მაგრამ მისი თავმოყვარეობის საბოლოოდ დაშოშმინება ლამაზ-ლამაზი სიტყვებით მაინც საჭირო იყო.

– კადრებს ვუფრთხილდებოდი, მოგვიანებით თქვენი მთები რომ გადამელო.

– ააა, ჩვენი მთები, – გაიმეორა უცნობმაც და გახედა გარშემო აღმართულ მწვერვალებს, თითქოს ამონებდა, დღესაც ისევე ლამაზები არიან, როგორც გუშინ იყვნენ თუ არაო. მერე კი, საქმიანი ტონით დასძინა:

– აქვე ვცხოვრობ, არაყზე გეპატიუები.

შინ დაბრუნებულმა, ეს ისტორია, რომელიც კონფლიქტით დაიწყო და მშვიდობით დასრულდა, ჩემს მეუღლეს მოვუყევი. ჩემი ინტერპრეტაციებით დიდად არ დაინტერესდა და ვერც ზამშის ფეხსაცმლით მოიხიბლა. მხოლოდ ეს მითხრა:

– ეს აუტანელი ფეხსაცმელები მართლა მთელი საუკუნეა გაცვია. ახლები უნდა იყიდო.

– ახალი ფეხსაცმელი? – გავიხადე ფეხზე და ბრაზიანად ვუბასუხე, – ეს ხომ პატოსანი შრომით, ხელით შეკერილი, გამძლე ფეხსაცმელების უკანასკნელი ნიმუშია!

უკეთ რომ გამეგებინებინა ჩემი ცოლისთვის, რასაც ვგულისხმობდი, ფეხსაცმელი ცხვირთან მივუტანე. მან კი, ყოვლისმცოდნე სახით, გააქნია თავი და ვიდრე საკუთარ გულუბრყვილობას შემატოვებდა, სასხვა-

თაშორისოდ მითხრა:

– თუ ეგრეა, ერთი კარგად დააკვირდი მაგ შენ გამძლე ფეხსაცმელს!

შევხედე და კინალამ ინფარქტმა დამარტყა. ორივე ფეხსაცმლის ძირი სულ მთლად გადატეხილი იყო. ალბათ, მაშინაც, როცა საქართველოში, “ფეხსაცმლის შეკეთების” ჯიხურის წინ ვიდექი, ჩემი საყვარელი ზამშის ფეხსაცმელი უკვე ამ მდგომარეობაში იყო... მაგრამ მაინც არ გავტყდი. იქვე, ჩემს უბანში მივიტანე ფეხსაცმელი შესაკეთებლად. იქიდან კი, კატეგორიული უარით გამომისტუმრეს: “საუკუნეა, ასეთი აღარაფერი გაგვიკეთებია. მხოლოდ ისეთ ფეხსაცმელებს ვიტოვებთ, რომელთა დაკერება, ანდა დაწებებაა შესაძლებელი. აბა, ქალაქის ცენტრში სცადეთ”.

ვცაღე ქალაქშიც. წარუმატებლად მოვიარე ბევრი “ფეხსაცმლის შეკეთება”. ბოლოს, ერთ-ერთ ასეთ ფარულში, დიდი გულისყურითა და მოთმინებით მომექცნენ. დახლს უკან მდგომმა ქალბატონმა ჩემი ფეხსაცმელი ჯერ უკანა ოთახში გაიტანა, მერე კი, იქიდან, მთავარ მენაღესთან ერთად დაბრუნდა. კაცმა გამოართვა ფეხსაცმელი, მენაღემ აიღო ხელში ჩემი ზამშის ფეხსაცმელი, მცოდნე სახით ბოლომდე გადატეხა დაზიანებული ძირები და მომისამძიმრასავით:

– ამას მთლიანი ძირის გამოცვლა სჭირდება, მაგრამ ჩვენ ვერ გავაკეთებთ. დაახლოებით ოცი წლის წინ დაგვანვევინეს ჩვენი ხელსაწყოები, ძველი ფეხსაცმლის შესაკეთებლად რომ იყო საჭირო. კომუნისტურ წლებში იმდენად გადაჭარბებით ვასრულებდით გეგმას და იმდენად მეტი ფეხსაცმელი ვანარმოეთ, რომ ფეხსაცმლის შეკეთება ეკონომიკურად არამომგებიანი გახდა.

მეც გამახსენდა ეს ფუტურისტული ხანა, მაგრამ დღეს ხომ უკვე კაპიტალიზმში ვცხოვრობთ. თუ არა?

– კარგი ფეხსაცმელია, – თქვა მენაღემ და მომანოდა მწუხარედ, – ასეთ ხარისხიან ნაწარმს დღეს სადღა იყიდით. ვერც ვერავინ შეგიკეთებთ ჩვენთან. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ...

– მე ვიცი, – ნამოვიძახე უცებ, – მე ვიცი, სადაც დამეხმარებიან!

წავედი სახლში და ჩემი საყვარელი ზამშის ფეხსაცმელი თაროზე შემოვდე.

ერთ დღესაც, უბრალოდ, საქართველოში დავბრუნდები!..



**გუსტავ მურინი** სლოვაკი მწერალი – რომანების, მოთხრობების კრებულების, სამოგზაურო ჩანახატებისა და ესეების ავტორი. დაჯილდოებულია მრავალი ლიტერატურული პრიზით. 2009 წელს იყო სლოვაკეთის ბესტსელერი ავტორი. მისი წიგნებიდან *წ აუდიოფორმატშია* გამოსული, *8 წიგნი ელექტრონული გამოცემაა*, ერთი კი, *ბრაილის შრიფტითაა* დაბეჭდილი. მურინის 270-ზე მეტი პუბლიკაცია თარგმნილია 49 ენაზე. ვებ გვერდი: <http://gustavmurin.webgarden.cz/biography>.

**FM**  
**სენტი**  
**98.0**







# მოქონება!

ავტორი ეპა ტოზონიძე  
ილუსტრაცია თათია ნადარეიშვილი

იქ როგორ მოვხვდი და... ჯერ იოგაზე მივედი. სულ მინდოდა. ბოლოს პირდაპირ ჩემი სახლის ქვეშ გახსნეს, იაფად. ქალი მასწავლებელი გვეყავდა და ჩვეულებრივად გვაგარჯიშებდა, აერობიკის და ხერხემლის თერაპიის ელემენტებით. მერე შეგვეცვალა. მოვიდა ახალგაზრდა კაცი უსიამოვნო ხმითა და ცუდი მეტყველებით, მაგრამ რალაცნაირი დამაჯერებელი ტონით. მის ლაპარაკს თითქოს ყურადღებას არ ვაქცევდი, მაგრამ მოგვიანებით აღმოვაჩინე, რომ ვუჯერებ: შეგწყვიტე ექვსის მერე ჭამა, დაიწყო მუცლით სუნთქვა და ვირნშუნე, რომ ძალა სიმშვიდეშია, სიმშვიდე კი, ისევ ჩვენში.

ერთხელ გვირჩია ჰაერზე გვევარჯიშა. აივნები აღარ ვიკმარეთ და ბუნებაში გავედით. სულ ველოდი, რომ მალე გაირკვეოდა, რომელ ჩვენგანს ეპრანჭებოდა, მაგრამ... იდგა და ვარჯიშობდა... სუნთქავდა, იდგა, ვარჯიშობდა... და ზოგჯერ რალაცას ამბობდა.

არ მახსოვს, საიდან ჩნდებოდა ეს თემები გაკვეთილზე, ძალიან ბუნებრივად იტყოდა ხოლმე: „კარგია, როცა ხარ გახსნილი, იღებ ყველაფერს, რასაც სამყარო გაძლევს! ცხოვრება ხომ იმას გვთავაზობს, რაც გვაკლია“... ან „ადამიანებს უნდა დავხმაროთ, ეს პირველ რიგში, ჩვენ გვჭირდება“...

ერთხელ გვკითხა, „სიყვარული როგორი უნდა იყოსო“. უანგარო-მეთქი, თავი გამოვიჩინე... შემომხედა და კარგა ხანს მიყურა. მართალიაო.

ერთხელ კიდევ თქვა: „ყველაფერი, რაც ჩვენ გარშემო ხდება ჩვენი ნაწილია, რაც გვემართება, ჩვენი ბრალია, ჩვენი შინაგანის გამოძახილიო“.

ადრე რალაც მსგავსი ფსიქოთერაპევტისგანაც მოვისმინე, რომ ჩვენი სიზმრები ჩვენ ვართ. მაგალითად, სიზმარში თუ ვინმე მომდევს, ან ძალადობს ჩემზე, ისიც მე ვარ! ანუ, ჩემივე თავი მომდევს და ძალადობს ჩემზე. მართლაც, ისეთს ვერაფერს დავისიზმრებ, რაც ჩემში არ არსებობს... სიზმარი ხომ ჩემი შემოქმედებაა.

ერთ დღეს მომეჩვენა, რომ ეს სიმართლეა – ყველა და ყველაფერი გარშემო საკუთარ ნაწილად აღვიქვი და თითქოს უფრო მივიღე. მომეჩვენა, რომ ასე უფრო იოლად შეიძლებოდა ადამიანების შეყვარება. თანაც უანგაროდ... როგორც საკუთარი თავის.

– თუ დრო და სურვილი გექნება, დაეხმარე... მოხალისეები სჭირდებათ, სიმბოლურ ხელფასსაც გადაგიხდიან. – სხვათა შორის მითხრა, მოგუდული, უსიამოვნო ხმით. არც ვიცი, ჩვენს ჯგუფში მე რატომ ამომირჩია.

ძლივს მივაგენი. ახალგაზრდობის ცენტრი იყო, ორსართულიანი. ვიფიქრე, ისე შევხედავ-მეთქი. ბოლოს და ბოლოს, ინვალიდები მხოლოდ ტელევიზორში მენახა. ჩვენთან

ხომ მათი ადგილი არაა... ყველა გადამალულია, შინ გამოკეტილი. ოლიგოფრენია, დემენცია – ეს სიტყვები პირველად გავიგე, დაუნი და ცერებრალური დამბლა ვიცოდი. უმრავლესობა აუტიზმით იყო დაავადებული, თუმცა დიაგნოზები არ დამიმასხოვრებია, რად მინდოდა?

ერთი ბიჭი იყო, ყველა ადამიანს ცხოველს ამსგავსებდა, ზოგს დათვს ეძახდა, ზოგს – ტურას, ძალს... მე რომ დამინახა, თქვა: „მელა!“ გამელიმა, მელა ხომ ლამაზია... ზღაპრებში მაინც.

ხატავდნენ და ძერწავდნენ. მეც შეეუერთდი. მოსაყოლად რთულია, მაგრამ რალაც დეტალები იყო, მაგალითად, მძივებით ვანყობდით ნახატს და რომ გამითავდა, ამ ბიჭმა თავისი მომცა... იქ დეტალებშია ყველაფერი...

მთლიანობაში კარგად მიმიღეს, უხაროდათ ჩემი იქ ყოფნა. ერთი ახალგაზრდა ქალი უცნაურ ხმებს გამოსცემდა, ხელებს იქნევდა, უცებ შემეშინდა, არ მომარტყას-მეთქი. გადავჯექი. ისე გამომაყოლა თვალი, შემრცხვა. მივხვდი, რომ ყველაფერი ესმით... გრძნობენ მაინც. იმ ოთახიდან, მოგვიანებით, მეორეში გამიყვანეს, ყველაფერი დამათვალისწინეს. კედლები ნახატებითა და აპლიკაციებით იყო სავსე, თაროები – ხელნაკეთებით. ერთ-ერთ ინვალიდ გოგოს დაქუცმაცებული ფურცლები გადმოეყარა პარკიდან. მივედი და შეგროვება დავიწყე, მაგიდას რომ მოვრჩი, მერე იმის აკრეფას შევუდექი, რაც ამ გოგოს ზედ ეყარა. შარვალზე სისველე ვიგრძენი. ხელები გამიშეშდა. ისედაც მუქ ნაჭერზე უფრო მუქ ლაქად ეტყობოდა რალაც. იქნებ საღებავია-მეთქი, ვიფიქრე... მერე მივხვდი, რომ... ეტყობა ის ჰქონდა... ხო ხედები? სახლში გამოორჩათ ალბათ, ან იქვე მოუვიდა... ხმაც ველ ამოვიღე, ისე გავეცალე. ამ გოგომაც გამჭოლად შემომხედა ელამი თვალებით, თითქოს ყველაფერს მიხვდა და მე ისევ შემრცხვა საკუთარი რეაქციის.

პირველ ოთახში რომ დავბრუნდი, ბიჭმა თქვა: „კატა!“ უცებ მენყინა, თითქოს ჩამომაქვეითეს... იქნებ სულაც კატა უფრო ლამაზია, მაგრამ რა ვიცი... შეიძლება ის მენყინა, რომ ვერ მიცნო... რა სისულელეა?! პატრონს ვერ ცნობენ ზოგჯერ...

მეორე დღეს, სანამ თვალს გავახედდი, ლოგინშივე გამახსენდა ჩემი ხედვის ახალი კუთხე, რომ ყველაფერი, რაც ჩემ გარშემოა, მე ვარ და უცებ გამიკვირდა – ამდენი უნარ-შეზღუდული როგორღა ვყოფილვარ?! არც ვი ვიციოდი...

იქნებ, ამ აკვიატების ბრალია, რომ იქ ისევ მივედი. აბა, თუ ყველა ის ადამიანი მე ვარ, ჩემს თავს ხომ არ მივატოვებდი?! თან რატომღაც დამინტერესა, ბოლოს და ბოლოს, კატა ვიყავი თუ მელა. ამ ბიჭს საშა ერქვა, ლურჯი თვალები

## მოთხრობა

ჰქონდა და თხელი, სლავური ნაკეთები. თავჩახრილი ქვემო-დან იყურებოდა, ნიკოლსონივით აქაჩული წარბებით. ქუჩაში ან სადმე კაფეში რომ მენახა, ალბათ, ვერ მივხვდებოდი, თუ რამე სჭირს. ან ეს ახლა მეჩვენება ასე, როცა უკვე თვალი შევაჩვიე... თვალიც და ფიქრიც.

ადამიანს რომ რაღაც ბავშვური აქვს გარეგნობაში, სისუფთავის, უცოდველობის ასოციაციას იწვევს. ამათ ვუყურებ და ვხედავ, რა გულისამრევი შეიძლება იყოს ორმოცი წლის კაცის ამდენად უმნიკვლო გამოხედვა! ეს გულუბრყვილობა და სიმსუბუქე საშინლად ნერვებისმომშლელია. რაებს ვლაპარაკობ? ესენი ხომ ავად არიან...

საშამ აღარაფერი დამიძახა, აღარაფერს მიმამსგავსა. ის მაინც გამიხარდა, რომ ჩემი დაწყებული გასაფერადებელი მას დაუმთავრებია. მომეჩვენა, რომ თვითონაც უხაროდა, როცა ქალბატონი ნათია ნამუშევარს მაჩვენებდა.

უცნაური ისაა, რომ ამასობაში იოგასაც შევეშვი, დრო აღარ მრჩება. დილიდან სალამომდე იქ ვარ, გზაშიც ბევრი მჭირდება, თემქაზეა. ის ხალხი ჩემი ნაწილია. იქ მისვლა ისე

აღარ მიხარია, ხანდახან ძალიანაც მწყინდება, მაგრამ ველარაფერს ვიზამ.

რა ვიცი... თითქოს ყველაფერი რიგზეა... მაგრამ მაინც მინდოდა ვინმესთვის მომეყოლა. დედაჩემს ვერ ვეტყოდი. ელოდება, რომ სადმე პრესტიჟულ ადგილზე დავინყებ მუშაობას და იამაყებს. მეგობრებს კიდე, რა ვიცი... ხომ იცნობ ზოგს... ყველა თავისი დეპრესიითაა გატაცებული.

შენ მისმენ მაინც... თან შენ უნიკალური ხარ!

\* \* \*

ფერადი ცარცებით სახელებს ნერდენ და საშამ ჩემი სახელი დანერა. იქ მეორე წინოც არის, პრინციპში, მესამეც... მაგრამ დარწმუნებული ვარ, მე დამწერა.

იოგადან დამირეკეს, აღარ აპირებთო სიარულს?.. რისთვის უნდა ვიარო! ლოტოსი და ხიდი გავაკეთე, თავზე დამდგომი მე არა ვარ... ის კაცი კიდეც დგას, ვარჯიშობს, დგას, სუნთქავს...

უაზრობაა ეს ყველაფერი.

დღეს მამაჩემმა მორიგი სისულელე თქვა და არ გავბრაზებულვარ. მალე ალბათ აღარაფერზე გავბრაზდები. იქ ვინმემ ასეთი რამ რომ თქვას, ტაშს დაუჟურავთ! იქ ერთი გადაბმული, აზრიანი წინადადებაც კი დიდი ამბავია! ნეტა სახლში რომ მიდიან, ვენატრებით? შაბათ-კვირას მოწყენილები არიან უჩვენოდ? მე ველოდები ხოლმე მათთან შეხვედრას. კვირის დღეებში ზოგჯერ გაძლებაზე ვარ, მაგრამ მერე მაინც ველოდები ორშაბათს.

დღეს პირველად დამტოვეს ამათთან მარტო. ჩათვალეს, რომ უკვე შემიძლია და ჯგუფი ჩამაბარეს. უჩვეულოდ ვიგრძენი თავი ქალბატონი ნათიას გარეშე. თითქოს პირველად დავრჩით პირისპირ. თავისუფლების გრძნობამ დამიარა ფეხებში, სასიამოვნოდ ამოყვა ხერხემალს და კეფაზე გამეფანტა თმაში. მთელი დღე მხიარულად გავატარეთ. ამათაც უხაროდათ. ყრუ ჯემალმა ისეთი კალათა ააწყო, გადავირიე! თან ძალიან იაფი მასალისგან, გაზეთის ქაღალდებს ვახვევთ, ვანებებთ – გრძელი, წვრილი ჯოხები გამოდის და მერე იმისგან ათას რამეს ვაკეთებთ. ბოლოს ვლებავთ. მიხვდი, როგორც? იმ კალათას აუცილებლად გავიტანთ გამოფენაზე, ერთ თვეში გვექნება. ხო, რას მიყურებ? ვიცი, რომ ვერ მოხვალ.

ერთი ახალი გოგო მოიყვანეს, გონებრივად ყველაფერი რიგზე აქვს, უბრალოდ ვერ დადის, თან ძალიან გაჭირვებულია. საშამ რომ დაინახა, თქვა: „კატა“! არ მესიამოვნა, მაგრამ იქვე გადავწყვიტე, რომ მე მელა ვარ, თავი დავიმშვიდე. ეს გოგო მართლა ჰგავს კატას, დიდი მწვანე თვალები აქვს, წყლიანი.

მე ვგავარ კატას?

ფისო არ მითქვამს! ნუ იცი ხოლმე ასე! ხომ შემპირდი, რომ სერიოზულად მომისმენ! რისთვის ვარ აქ?

\* \* \*

თავისუფლების და მხიარულების ნიაფი აღარ უბერავს. ჰაერი დამძიმდა. ახლა ვხვდები, რომ ქალბატონ ნათიასთან ერთად ბევრად იოლი იყო. ვიღლები. დღეს ერთმა ალები-

## ბალერა



გიორგი რუხაძე

Weißer Balkon . Aus der Serie - Meine geröstete Periode. Leinwand, ÖI 90X60 2011

ნა სადილოს მერე. ყველაფერი დასვარა. „კატის“ დახატული მთებიც გააფუჭა. „კატას“ რეაქცია არ ჰქონია. დამლაგებელი ვერსად ვიპოვე. დავრბოდი წინ და უკან დერეფნებში, სანამ არ მივხვდი, რომ ყველაფერი ჩემი გასანმენდია...

ჩაგეძინა?

\* \* \*

არ შეიძლება, რომ ჯერ მომისმინო და მერე... რატომ ვე-  
ლარ იზამ? ეგეთს რას ვყვები, რო?.. ჰო, კარგი...

რომ ვეხმარები, ვასწავლი, ვუხსნი, ვუსწორებ, ესენი ან ზედ არ მიყურებენ, ან ჩემ მიღმა გასცქერიან რალაცას, ან მაგიდას ჩაშტერებინან. უნებლიეთ იკლაკნებიან, ტოკავენ, უაზროდ იცინიან. კბილები ყველას ჩაყვითლებული აქვს, წლობით მოუფლელი! დღეს ჯაგრისები მივიტანე. ტუალეტში გამყავდა სათითაოდ და ვაიძულებდი გაეხეხათ. ზოგმა მგონი პირველად სცადა. ძირითადად ჩემი ხელით მიწვედა. ზოგი მენინააღმდეგებოდა. ზოგი იმასაც ვერ ახერხებდა, რომ პირში წყალი გამოეველო.

ნეტაი ქალბატონი ნათიას სიმშვიდეს... როგორ ახერხებენ ადამიანები იყვნენ მშვიდები, მაგრამ არა ზერელები?

საშამ ჯაგრისს უკბინა. ვერ მივხვდი, მეთამაშებოდა თუ რა?... მე გავიცინე, თვითონ – არა. კბილები გაუშვა და ისევ ის უმეტყველო სახე მიიღო. ამ დაწესებულებაში თითქმის ყველას ეს სახე აქვს, გათიშული. თუ გინდა, თავი მოიკალი მათ თვალწინ!

არ ვიცი, როდემდე გავუძლებ... მისმენ?

\* \* \*

სად ვიყავი და არ მეცალა... ჰო, არ მიხდება? ზოგჯერ მანც თქვი რაიმე სასიამოვნო. რა მოგივა, რომ მითხრა, გიხ-დე-ბა! ზრდილობა ელემენტარული! რატომ შევიჭერი და... რა ვიცი... ჩემი სურვილით არა! ერთი მაიაა, ძალიან ვუყვარვარ. ნუ, ძალიან როგორ? როგორც შეუძლია... რა-  
ლაცას ვაკეთებდით, მე გიორგის ვეხმარებოდი დაქუცმაცე-  
ბული ქალაღღებისგან პატარა ბურთულების დაგორგვლაში, რომელსაც მერე მოზაიკად ვიყენებთ, ნახატებს ვანყობთ. თმა გაშლილი მქონდა და ამან აქედან უცბად მომაჭრა დიდი ნაწილი. ხელის მტევანი ისე აქვს დაგრეხილი, თითებს ძლივს ადებს ერთმანეთს და ეს როგორ მოახერხა, აზრზე არა ვარ. „კატა“ უყურებდა, როგორ მიმიზნებდა მაკრატელს და ხმა არ ამოიღო. ნამდვილად ვიცი, რომ ხედავდა, ისე გაენაბა ის თავისი მწვანე თვალები. რატომ არ მითხრა, აზრზე არა ვარ! თავიდან შოკში ჩავვარდი! ცრემლებიც კი წამომივიდა ჩემს ფეხებთან დაყრილი შავი ხვეულები რომ დავინახე, შეურაცხყოფილად ვიგრძენი თავი.

ახლაც ცუდად ვარ, რომ მახსენდება... ხომ იცი, სულ გრძელ თმას ვატარებდი, შენ მანც ხომ იცი... ამ მაიას კი ისეთი გახარებული სახე ჰქონდა, პირი დაელო, ჩემი ძალისხმევით გახეხილი კბილები გადმოეფინა და ჭყლონიებდა! დანარჩენებიც ახმაურდნენ, ყრუ ჯემალი მაგიდაზე ურტყამდა ხელებს. ისეთი ყოფილა ატყადა, გეგონება ყველამ ერთად გამოიღვიდა ამ მუდმივი, აუტანელი მთვლემარებიდან.

გარეთ გავვარდი. ტუალეტში ცოტა ვიტირე, მალევე და-

ვწყნარდი. მახსოვდა, რომ მარტოები არ უნდა დავტოვო... რომ შეგებრუნდი, ჩუმად იყვნენ, ისევ ისეთი გათიშულები, ვითომ საერთოდ არაფერი მომხდარიყო. ვითომ ჩემი შესვლაც ვერ შენიშნეს. მაიასაც კი აღარ ეტყობოდა წელანდელი ბედნიერების კვალი, აპლიკაციას უკორკიტებდა, ძლივს უმიზნებდა ნებოიან ფუნჯს ფურცელს. ერთადერთი „კატამ“ შემომხედა ცნობისმოყვარეობით. ალბათ ცრემლებს ეძებდა ჩემს სახეზე. ზოგჯერ ისე მიძულს იქაურობა! იქაური უძრაობა, ეს საშინელი უძრაობა უცაბედი, ბოროტი გამოსტომე-  
ბით...

\* \* \*

დღეს კარგ ხასიათზე ვარ. დილით ორი ინვალიდის მშობელმა გადამიხადა მადლობა, სიხარული შემოიტანეთ მათ ცხოვრებაშიო, ისე ელოდებიან აქ მოსვლასო... და შუადღეს საშამ გამიკეთა პლასტელინისგან მზე და ყვავილი. დღეს მეჩვენება, რომ წინა თვესთან შედარებით, ბევრად უკეთ ვარ. ბევრი რამე ისწავლეს და ბევრი პრობლემა დაძლიეს! ერთად დავძლიეთ!

ეგ რა ნათქვამია? „რას ვდემავგობ?“ ხასიათი თუ არ გამიფუჭე, ისე როგორ იქნება?! კარგად იყავი! რა უნდა გაპატიო, იდიოტი რომ ხარ?..

\* \* \*

მაიას დედა მოვიდა და მითხრა, რომ მაია წითელ ჯემპრს ჩემ გამო იცვამს, ჩვენს მასწავლებელს მიწადა ვგავდეთ... წარმოგიდგენია?..

ისე, ამ ბოლო დროს, აღარც ვუყურებ, რას ვიცვამ...

ძალიან კარგი, ბატონო, თუ შეამჩნიე! და შენთვის რა მნიშვნელობა აქვს? აქამდე არ განიტერესებდა ტანსაცმელი! არა, არ ვბრაზობ. უბრალოდ, მეორე ამბავს აღარ გეტყვი!

მაშინ ნუ მანყვეტინებ... კარგი, ჯერ მაიაზე დამამთავრებინე: მივხვდი, რომ თმაც მაგიტომ მომჭრა! დედამისისთვისაც უთქვამს, ახლა ჩემნაირად აქვსო... შემეცოდა... აღარ ვბრაზობ. თან ეს კარეც არაა ცუდი, ქუჩაში ვინც შემხვდა, ყველამ კომპლიმენტი მითხრა! შენგან განსხვავებით...

მეორე ამბავი ის იყო, რომ საშას მამიდან პარკში ჩადებული თმა მომიტანა. უცებ ვერც მივხვდი, რა იყო! საშას ნაუღია ის ჩემი დალალები (როგორც შენ ეძახი), წარმოგიდგენია?! და ჟაკეტის გარეცხვა რომ დააპირეს, ჯიბეში უპოვეს.

არაფერს არ დავფრინავ! თუ შენ არ შეგიძლია მათი გაგება, ეგ შენი პრობლემა!

შენს ძალს შეუძლია სიყვარული და იმათ არა?

\* \* \*

სიჩუმეს მხოლოდ ხრუტუნის არღვევს. ნატო ასე სუნთქავს. ისე დავიღალე, გამოფენა ახლოვდება და ბოლო სამი დღეა, არაფერი გავგიკეთებია. დასხდებიან მაგიდასთან და არიან გაშტერებული. მაია უცნაურად მოძრაობს, ფრინველივით იქნევს თხელ, დაგრეხილ მტევნებს, უხმოდ იცინის. თავიდან, ვიფიქრე, აბა, ვცდი და არ მივცემ მასალას, ადრე თუ გვიან ხომ მკითხავენ, სადაა ჩვენი ფურცლები, ჩვენი ნახატები, მძივები, საღებავები... ერთი დღე ველოდე. დამლალა ლო-

დინმა... მერე მეც გავერთე ფიქრებში და მათსავით გავითიშე. დავნებდი. შენ რომ არა, მგონი მეც დავმუხჯდებოდი. კარგი ქენი, რომ მაიძულე მოსვლა! ცოტა უკეთ ვარ...

იცოცხლე, რა მიჭირს ყველაზე მეტად? აი, დღეს რომ დაეხმარებოდა, ხვალ, ზეგ, მაზეგ... მეოთხე თვე დაიწყო, იქ ვარ და არაფერი! რაც გინდა, გააკეთე, რაც გინდა, მოიფიქრე! თუ გინდა, ყირაზე გადადი. არც კბილების გახეხვა შევლით და არც გამოფენისთვის მზადება... ხო ხვდები? თუმცა შენ თავიდანვე ხვდებოდი, ეს მე ვარ ასეთი სულელი...

ვერაფერს შეცვლი, ვერაფერს, საერთოდ ვერაფერს... უნდა დაეხმარო ყოველდღე... ყოველდღე თავიდან... ყველაფერი თავიდან... ღმერთო!...

დღეს აქ ხომ არ დავრჩე? არა... თუ რამე სხვა გეგმები გაქვს... დაივიწყე მოკლედ! ხო, გასაგებია... ნავედი.

\* \* \*

რატომ არ ვჩანდი და, არ მინდოდა. ლაპარაკი მინდოდა, მაგრამ სხვა არაფერი... შენ კიდევ ამაში მიცვლი მოსმენას. მეზარება ამდენი რალაციის გახდა, დანოლა... მერე ჩაცმა. ძალიან აცივდა. ცივია შენი სახლი.

ვიცი, შენ მაინც არ გწყინს, რასაც გეუბნები. შენთვის ყველაფერი სულერთია. სულერთია მე მინდა თუ არა შენთან. იქნებ სხვასთან მინდა სინამდვილეში?... კარგი, გავჩუმდი...

აი, ჩაი არაა სულერთი. ჩაი მართლა ყოველთვის განსაკუთრებული გაქვს... იოგა გამახსენდა! იქ ვსვამდით ზოგჯერ გაკვეთილის მერე კაქტუსის, ჯინჯერის და კიდევ რალაც უცნაური მცენარეების ჩაის. სასიამოვნოდ გვიღებოდა ნავარჯიშები სხეული. ნეტა რას შვრებიან ისინი, კიდევ დადიან? ჩემს სახლთანაა და ისე მივდი-მოვდივარ, ველარც ვამჩნევ. ზოგჯერ მომხვდება ხოლმე თვალში ლურჯი ნარწერა, მაგრამ ისეთი შორეულია ახლა ეს ყველაფერი...

შენს ჩაის მაინც სხვა გემო აქვს. შეხედე, ჩემს ჭიქაში ეს

ბალერია



გიორგი რუსადე

ASelbst Bildnis mit einem großen Fisch. Öl auf der Leinwand. 130X190. 2012

დიდი ფოთოლი ლამის პეპელას არ გაქვს? რომ ვურევ, ყველაზე ბოლოს ეს ილექება, ნელა დაფარფატებს ფარვანასავით.

იმათზე რა მოგიყვებ? შენ მაინც არ გაინტერესებს! თან ლოგინში რომ არ მინდა? მართლა არ შემიძლია... მაინც მომისმენ? ამის გარეშეც მომისმენ? კარგი... მაღლობა.

რა ვიცი, რა გითხრა? გამოფენისთვის ვემზადებით, ზეგაა შერატონში. დიდ დარბაზში იქნება და მერე ბანკეტიც გვაქვს! სხვათა შორის, დიდი შემონირულობა შემოვიდა ცენტრში მაგ დღისთვის და მართლა კარგი უნდა გამოვიდეს. სუფრა, მუსიკა, ნამდვილი after party და რამე...

ხომ გთხოვე, დღეს არ მინდა... შემეშვი.

\* \* \*

აქვე იყავი? არა, გამიკვირდა, რომ დამირეკე... ბარემ შემოსულიყავი, გამოფენაც გენახა! თუმცა უკვე ავალაგეთ... არა ვარ მთვრალი... ორი ჭიქა წითელი ღვინო რა არის? არ მინდა შენთან, სახლში წამიყვანე. კაი, გამიშვი სახეზე ხელი! ვერ იტან ხო მაკიაჟს? ვერ იტან, კარგად რომ გამოვიყურები... ჰა-ჰა!

ამ მანქანას აქ ხომ სარკე არა აქვს, სულ მავინყდება...

“ამათთვის გამოენყვე” – რა შეკითხვაა? ხო, დღესასწაულია და ჩავიცვი ახალი შავი კაბა, სრულიად სადა... გავიკეთე მაკიაჟი, ვიყავი სალონში, თმა ადამიანურად შევიჭერი! რა იყო მერე? ქალი რომ ვარ, დაგავინყვდა ჰა-ჰა-ჰა... არ ვარ-მეთქი ნასვამი!

იცოცხლე, რა? ყველას თავისი ზღვარი აქვს. და იცი... რალაციის მერე ყველანი ერთნაირები ვართ! გაიგე? შენ ხომ გგონია, რომ ყველაფერი იცი? აი, ეგ არ იცი! არ იცი, რომ მე, შენ, საშა და მაია ერთნი ვართ! გწყინს, გვიხარია, გვინდა, გვწყურია, გვაქვს თავმოყვარეობა, გვძულს, გვენატრება, გვჭირდება... ყველანი ვრეაგირებთ – მერე რა, რომ ისინი ცოტას, გვიან და საერთოდ ათასში ერთხელ?! მაინც ერთნი ვართ. ყველანი ჩემში ხართ! ეს ყველაფერი მე ვარ... რატომ უნდა გავჩუმდე? თუ არ გინდოდა, რას მოდიოდი? შენ თვითონ არ იცი, რა გინდა! გამიჩერე, გადავალ!

შენთან, იცი, დღემდე რატომ ვარ? იმიტომ, რომ უნიკალური ხარ – არასდროს ეჭვიანობ. ვიცი, რომ არ გიყვარვარ, მაგრამ ზოგი უსიყვარულოდაც ახერხებს... თუნდაც მე! შემიძლია არ მიყვარდეს, მაგრამ მაინც ვიეჭვიანო... არ მინდოდეს, მაგრამ მაინც გამიხარდეს, თუ მომეცა... არ მშიოდეს და ვჭამო ჰა-ჰა... რალაცა მარტო იმიტომ ვიყიდო, რომ ძალიანაა ჩამოფასებული ჰა-ჰა-ჰა!

რა უნდა მჭირდეს?! რას გადამეკიდე? მე მინდა სიცოცხლე! მეტი არაფერი! მინდა პასუხები კითხვებზე! მინდა პასუხები გრძნობებზე! მინდა რეაქცია! მე მინდა სიყვარული! მინდა დაკარგულად არ ვგრძნობდე თავს და რალაცას მოვეჭიდო, ვილაცას თუ არა, რალაცას მაინც... მე არ მყოფნის ჩემი საკუთარი თავი... არ ვტირი, გამანებე! ნუ მკიდებ სახეზე ხელს!

„რატომ აღარ მინდა შენთან“? არ ვიცი. იოგას გაკვეთილებით იყო... იყო, იყო, იყო... და რალა აზრი აქვს კიდევ? „აბა, რას აქვს აზრი“? არ ვიცი! – აი, ამათთან მეტი აზრია.

ესენი დუმან მაინც, არაფერს გაბრდებიან ტყუილად... ტყუილად არ გაიმედებენ სიტყვებით, თვალებით...

ასე სწრაფად ნუ მიდიხარ! სახლში ნამიყვანე-მეთქი, ხომ გთხოვე, რატომ ჩაუხვიე?

მარტო ჩაი? მართლა გინდა ჩემი მოსმენა? მხოლოდ მოსმენა? ვერ გცნობ... ახლა უცებ სხვანაირი ხარ. რამე ხომ არ მოხდა? იქ რამ მოგიყვანა მართლა? რამეზე ბრაზობ? ეჭვიანობ? შენ და ეჭვიანობა? რაა? გააჩერე მანქანა! „დებილებზე ვერ ვიეჭვიანებო“ – ეგრე იცი ვის ელაპარაკე?!.. არ ვიცი, ვის... მეზიზღები მაგ სიტყვებისთვის! როგორ გადავიღლება ადამიანების დამცირება! გამიჩერე, ვალებ კარს!

ცუდად რატომ ხარ? რას მაშინებ, რა გჭირს, გამაგებინე! კარგი, არ ვხტები მანქანიდან, მშვიდად დავიშალოთ, აჰა...

მარტო თხუთმეტი წუთით? იცოდე, საათს ვინიშნავ? კარგი, კარგი... გამიყვან მერე სახლში? კარგი...

„კაბაში პირველად მხედავ“? მართლა? არაა ეგეთი მოკლე, ახლა რომ ვზივარ, ამენია...


რა მოგიყვე? რა უნდა მომხდარიყო? ჰო, კარგი... ვიცი, რომ მიცნობ...

რად გინდა ეს ამბები? ადრე იძულებით მისმენდი. შეეჩვიე თუ რა? მე მსმენელი მჭირდებოდა, შენ... აღარ ვიტყვი, ვინც უფრო ჩუმი გოგო ვერავინ იპოვე? დავიჯერო, ვინმე ისეთი არ იყო, ვინც ინვალიდებით არ გაგებურლავდა ტვინს? თუ შენც შეჩვეული ჭირი გირჩევნია? ნუ მაჩუმებ ეგრე! კარგი, ჰო, მოგიყვები... შეურაცხყოფას არ ვართ! იცოდე, ოდნავი ირონია და ეგრევე ვდგები და მივდივარ! არ გემუქრები...

„პანტერა!“ – ასე მითხრა დარბაზში შესვლისთანავე. რაღა დაგიმალო, მესიამოვნა... მსუბუქი ჟრჟოლა ვიგრძენი... გამოფენამ ძალიან კარგად ჩაიარა, ხალხმა იყიდა ნამუშევრები. 12 თუ 13 ცალი დაგვრჩა. ნამდვილად არ ველოდით. ყველაფერი ორგანიზების ამბავია. თან რომ აშუქებდნენ... ხომ იცი, კამერებს მოჰყვება ხალხიც. კამერების წინ ქველმოქმედებენ. ერთმა ლიპიანმა და ოქროასხმულმა მითხრა, არაფრის ყიდვა არ მინდა და სადმე ყუთი არაა, რომ ფული ჩაგიგდოთ? შევნირო ან ჩავაგდოო კი არა, ჩა-გი-გდოთო... და შენ ამბობ, რომ ეგ ხალხი ამათ სჯობია? მარტო იმიტომ, რომ ხელები და ფეხები აქვთ და ეტლების გარეშე გადაადგილდებიან, თვლა იციან და ლაპარაკისას ენა არ ებმებათ? ფული იშოვეს და ყოვლისშემძლეები გახდნენ? ეჰ...

საშაზე რა გაინტერესებს? საშა კარგი ბიჭია. დღეს თვალს არ მაცილებდა. მეც ვუყურებდი და ვხვდებოდი, რომ რაღაც მომენტში ჩვეულებრივი მამაკაცია. მერე რა, რომ ყველაფერს შენსავით ვერ გააკეთებს?! რას ბრაზობ? ნუ შენსავით თუ სხვასავით... სიტყვაზე ვთქვი... იმასაც აქვს გრძნობა, გესმის? იმასაც შეუძლია, რომ ასში გამოგარჩიოს და მთელი სალამო შენ გიყუროს. ყვავილები გამოგიძერწოს და მოგიძღვნას, შენი თმა ჯობით ატაროს...

ბავშვებსაც არ შეუძლიათ დამოუკიდებლად ცხოვრება, მაგრამ ჩვენ ისინი ამის გამო არ გვძულს. პირიქით... და არ ვფიქრობთ, რომ სიყვარული არ შეუძლიათ... იქნებ ჩვენზე მეტადაც შეუძლიათ?! ეგ ვინ იცის? ან რომელი მეცნიერი იტყვის, რომ ამა და ამ დაავადების ადამიანებისთვის გა-



ტოკ-შოუ

ლიბერალი



სსსი  
შოკილი  
98.5 FM

ყოველ სამუშაო დღეს  
სალამოს 7 საათზე

რადიო „ცხელი შოკოლადის“ ეთერში

[www.facebook.com/TalkShowLiberali](http://www.facebook.com/TalkShowLiberali)

მორიცხულია გრძობა?! მე არ მჯერა ამის... დღეს კიდევ მეტად დავრწმუნდი...

რა დაგემართა?! თუ ნერვებს გიშლი, წავალ!!! „დღეს რაში დავრწმუნდი“? ჰო, გიყვები, მაცადე! რა მოხდა და არაფერი... ერთი ყლუპი ღვინო ჩემი ჭიქიდან დავაღვინე. ვიცი, რომ არ შეიძლება, მაგრამ ძალიან უნდოდა. ნუ მიყურებ ეგრე! სულ სამი ყლუპი დალია... სამი ყლუპი არავის არაფერს ავნებს.

რაა? „ვილაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა“? არა, არა, იქ გიყვები არიან. შენ არ გესმის! ესენი არ არიან გიყვები!

დარწმუნებული ხარ, რომ გინდა ამის მოსმენა? ჩაი ადულდა!

აივანზე გავედით. კანკალებდა. ვიფიქრე, რომ შესცივდა და მალევე შემოვბრუნდით. ლიფტს ვერ მონყვიტა თვალი. ხო იცი მეტეხის გამჭვირვალე ლიფტი... მივხვდი, რომ ჩაჯდომა უნდოდა, წავიყვანე. გავექანეთ ზემოთ. სიმალიდან დავყურებდით სასტუმროს ფოიეს, ეს შადრევნები და რაღაც დეკორაციები... ხომ იცი, როგორცაა... უხაროდა. თუმცა ისევ კანკალებდა. მიყურებდა და კანკალებდა. პანტიერა ხარო, გამიმეორა. საშა ძირითადად რუსულად ლაპარაკობს, არ ვიცი, ეს გითხარი თუ არა. ხო, მართალი ხარ, ამას არ აქვს მნიშვნელობა... უკან დავეშვით, ისევ მალლა ავედით, ისევ დავეშვით, ისევ ავედით... გული რომ იჯერა, ბოლო სართულზე გამოვედით და კიბეს ჩამოვუყვევით. საშას ფიზიკურად არაფერი სჭირს, მალალია და თხელი. ჩვეულებრივი...

კინობანას რატომ გეთამაშები? ეგ რა შუაშია? Rain-man-ი სხვა ამბავია... შენ არ გესმის!

რა გინდა, რომ გითხრა? ხო, ვაკოცე! სად და კიბეზე. რა მერე?...

ბალერა



გიორგი რუსადე  
Familie N901. Leinwand, Öl 170X200 2009

მინდოდა, რომ ხელები მოეხვია. მინდოდა სახეზე შემხებოდა, თმაზე... მაგრამ იდგა გაოგნებული. თითებს ათამაშებდა. როცა ლელავს, ასე აკეთებს. ნუ მალაპარაკებ ამეებს... აღარ გვინდა, გთხოვ, უბრალოდ ჩაი დავლიოთ... შენ რატომ არ სვამ?

...მე მოვეხვით. მივეკარი მთელი სხეულით და... ეტყობა პირველად განიცადა ეს... მუცელთან სითბო ჩამელვარა... ვიცი, ვერ გამიგებ... გიჟიარო, იფიქრებ... კი, ჩაიფსა და ეს ყველაზე დიდი რამე იყო, რაც შეიძლებოდა მომხდარიყო. ყველა „მიყვარხარზე“, „მინდხარზე“, „ერთადერთოზე“ მეტი! ასეთ მომენტში ხომ ძლიერი განცდაა მთავარი, ძლიერი ემოცია... აღიარება გვჭირდება... ჰოდა მე მივიღე, გესმის? საშას არასდროს ჩაუსვებელია შარვალში, არც მაშინ, ხანძარი რომ იყო და კვილ-წივილით დაგვაცლევინეს მეორე სართული და არც მაშინ, ლამურა რომ შემოგვიფრინდა შებინდებისას ოთახში... არ ვიცი, როგორ აგისხნა... მას არ შეუძლია მითხრას, რომ „ყველაზე და ყველაფერზე მნიშვნელოვანი ვარ“, მაგრამ ეს მისმა სხეულმა გააკეთა... ტუალეტში შევიყვანე, კაბა გავიხადე, ამოვრეცხე და ხელების საშრობზე გავაშრე. ვიცინეთ. საშა იცინოდა, როგორც ჩვეულებრივ ადამიანს ეცინება რომანტიკულ-კომიკურ სიტუაციებში. იყო ჯანსაღი და ნამდვილი. მერე თქვა „არ მინდა სა-სახლში“. სახლი არის მისი ცხოვრების ის ნაწილი, სადაც მე არ ვარ, გესმის? მეტი არაფერია მისი ცხოვრება... ხვდები?

იმასაც გავუშრე შარვალი. ხო გავხადე, აბა, საშრობს როგორ მივანვდენდი? მოიცა... რა იყო? რა დაგემართა? თუ არ გინდა, რას მყოლინებ? გამიშვი... ვაიში!... გამანებე თავი!!! გიჟი ხარ შენ! არ მინდა! დამეხა ტანსაცმელი!!! რას აკეთებს, გამიშვი!...

\* \* \*

ვიცი... ვიცი, რომ აღარ მელოდი. აღარ გეგონა, თუ კიდევ მნახავდი. ხომ ხედავ, ჩემი ფეხით მოვედი. „რა მოხდა“? რა და ბევრი რამ. უფრო სწორად არაფერი! საერთოდ არაფერი. საშას ის სალამო აღარ ახსოვს!

სამი დღე ველოდე. სულ ამაზე ვლაპარაკობდით, ვისხენებდით რამდენი ხალხი მოვიდა, როგორ მოენონათ ნამუშევრები, რა კარგი სუფრა იყო, გემრიელი საჭმელი, დიდი ტორტი... მერე ტელევიზორის ოთახში სიუჟეტის ჩანანერიც ვნახეთ. ყველა არ ჩანდა, მაგრამ „კატა“, ჯემალი და ნატო მსხვილი ხედით აჩვენეს. მაიამ იცნო და ააფართოხუნა ხელები. ისე კი გამიკვირდა, რომ იცნო... საშაც ილიმებოდა შიგადაშიგ. ორჯერ დავრჩით პირისპირ და ორივეჯერ მიყურებდა ახალშობილივით, თითქოს ახლა დაიბადა, აი, ამ წუთას მოველინა ქვეყანას და ყველგერი ახალია მისთვის! მეც პირველად მხედავს! ხელახლა მიმამსგავსა „კატას“. გესმის? „კატა“! არაფერი დარჩენია იმ სალამოდან. ის შარვალიც ისე გავუშრე, მამიდაც კი არ ჰკითხავდა სახლში, ჩაისველე, საშა? შეგეშინდა რამის? ბევრი ხალხის შეგეშინდა? მოხდა რამე?...

ყველაფერი გაქრა უკვალოდ! გინდ ყოფილა, გინდ არა! თავიდან უნდა ავუხსნა, როგორ განალაგოს დაგორგლილი ქალაქები ნებოიან ფურცელზე,

უნდა მივაცილო სასადილომდე, დავაღვიწყო შუადღეს წამალი... ისევე, როგორც ყველა დანარჩენს. იცი, ასე შეიძლება მეც გავგჳფდე! აი, ხომ ხედავ, მეც საშასავით მოვედი, ვითომც აქ არაფერი! ვითომ სამი დღის წინ ძალა არ იხმარე ჩემზე... აზრი ეკარგება მოვლენებს, გემის?... გამიშვი, ნუღა მეხები... არ მინდა ხელსახოცი, მაქვს. ...გესმის მაინც, ჩემი? თუ... თუ უბრალოდ ქალის ცრემლებს ვერ იტან?

არ მინდა ჩაი!..

დღეს მამიდამისმა ყვითელი ფანქარი და მაიას თმისსამაგრი მოიტანა, ბოდიშით, მოპარვა კი არ იცის, მაგრამ, რასაც ძირს დაინახავს, იღებს და ჯიბეში ინახავსო... ვუყურებდი ამ ქალს მშვიდ ცისფერ თვალებში, ნათელ შუბლზე და გული მაგრად მიცემდა. – როგორ შეგიძლიათ? – მინდოდა მეკითხა... – როგორ შეგიძლიათ? – მინდოდა მეფიქრა, მელრილა მთელ ხმაზე და არ ვიცი, რა ძალით შევიკავე თავი...

მშურს ყველასი, ვინც იცის, როგორ იცხოვროს. მშურს ამ ქალის, რომელმაც იცის, ზუსტად იცის, როგორ ადგეს ყოველ დღით, მოუაროს ავადმყოფ ძმისშვილს, ხელახლა ასწავლოს ჩაის დაღევა და კარაქიანი პურის ჭამა, თასების შეკვრა და ტუალეტში წასვლა, შეაქოს, წაახალისოს... ეს გააკეთოს იმ აზრით, რომ ხვალ ყველაფერი თავიდან ექნება დასაწყები, ყველაფერი თავიდან... სიყვარული მხოლოდ გასცეს, გასცეს და წამით არ იფიქროს დაბრუნებაზე... გესმის? დღეს იოგას ცენტრთან გოგო შემხვდა, რომელიც ჩემთან

ერთად იყო ჯგუფში. მომიკითხა, რატომ აღარ გამოჩნდიო. მასწავლებელზე მითხრა, ინდოეთში წავიდაო, ასე თქვა, მე ყველაფერი გასწავლეთ, არსი აგისხენით და დანარჩენი თქვენზეაო...

არ ვიცი... აღარც მეტირება, აღარც ვბრაზობ. შენთანაც აღარ ვაპირებ სიარულს. უბრალოდ, ახლა შემოგიარე... იცოდე, რომ გპატიობ! ვითომც არ ყოფილა... უფრო სწორად, იყო, როგორ არა, იყო!!! ეს მნიშვნელოვანია... იყო და გაპატიე.

ახლა წავალ, დავიძინებ, შუადღეს ბავშვობის მერე არ მიძინია. დავიძინებ დღიამდე და ხვლიდან ერთ რამეს ვეცდები: როცა სიყვარულს გავცემ, გავცე უანგაროდ. მე აღარ დაველოდები პასუხს. უანგარობა ხომ ნიშნავს ბოლომდე შეეგუო ცალმხრივობას.

დღეს სარკეში ვიყურებოდი და... არც კატას ვგავარ, არც მელას და მით უმეტეს, არც პანტერას... ერთი ჩვეულებრივი გოგო ვარ, გაუგებარი ვარცხნილობით... ჰა-ჰა... ეს თმაც გაიზრდება მალე, სად წავა... თუმცა მოკლესაც შევეჩვიე... ამ წვიმაში, ნახე, რა სასაცილოდ დაიხვია...

იცი, რა? საშა მთელი არსებით მძულდა იმ ამბის მერე. ეს ნიშნავს, რომ ჩემი თავიც მძულდა, მძულდა იმ ლიფტში, იმ კიბეზე, ტუალეტში შარდიანი კაბით... მერე უკაბოდ...

ახლა გამიარა. ყველაფერმა გამიარა, გესმის?

ვინცებ თავიდან.



ბათუმის რიბონი 31 (31 30 97), თბილისი რიბონი 2 (22 51 33), პატიოსანი 22 (22 02 76)  
 ბათუმის რიბონი 7 (43 89 39) ბათუმი, ბათუმის რიბონი 18 (422 222 7 20 13)



**ნიკა ჩარაბიშვილი**  
პოეტი

ნიკა დაიბადა თბილისში 1981 წლის 17 ივლისს. და-  
მთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტე-  
ტი, კომერციის და მარკეტინგის ფაკულტეტი. ამჟამად  
მუშაობს იუსტიციის სამინისტროში. დაოჯახებულია.  
ლექსებს აქტიურად აქვეყნებს, როგორც ინტერნეტში,  
ასევე ბეჭდურ პერიოდიკაში. გამოცემული აქვს ლექსე-  
ბის ერთი კრებული: „მივტრიალდეთ“.

პოეზია ჩემთვის მღვრიე მდინარეა, ათას განსაც-  
დელს რომ მოაგორებს, – ამბობს ნიკა, – რომ გახრ-  
ჩობს ყოველდღე. თითქმის ყველა ჩემი ლექსის საფუ-  
ძველი ტკივილია, იშვიათი გამონაკლისის გარდა. ისე  
გამოდის, რომ ძალიან შიშვლად ვწერ. მკითხველისგან  
მუდმივად ასეთი შეფასებები მესმის, – რომ ვარ ემო-  
ციური და გულწრფელი, და რომ მათ სათქმელს ვამბობ,  
მათ გრძნობებს გამოვხატავ. თვითონაც ზუსტად ასეთი  
წარმომიდგენია პოეზია – როცა წერ საკუთარ თავზე,  
ზედმეტი სამკაულების გარეშე, უბრალოდ, და ამას აქვს  
საზოგადო ხასიათი.

ავტორი ფიქრობს, რომ 21-ე საუკუნის პოეზია მიდის  
მინიმალიზმისკენ, – „დღეს, როცა ყველა დაძაბულია,  
კატაკლიზმების ეპოქაა, დრო საშინელი სისწრაფით გა-  
დის, ადამიანებს აღარ აქვთ იმის წერვები, ისხდნენ და  
დიდი მოცულობის ნაწარმოებები იკითხონ. მათ სჭირ-  
დებათ, უცებ მოითქვან სული“. ნიკა არ გულისხმობს  
აქ მხოლოდ მოცულობას – მას მიაჩნია, რომ პოეზიის  
რთული მხატვრული ენა, „შეუვალი“ მეტაფორულობა  
ჩრდილში მოექცა და ეს თავად თანამედროვე, დიგიტა-  
ლურმა, აჩქარებულმა ხანამ განაპირობა. ნიკა მიიჩნევს,  
რომ აუცილებელია წერა თანამედროვე ეპოქის მახასია-  
თებლების გათვალისწინებით, მაგრამ – ისე, რომ არც  
პოეზიის ენა დაზარალდეს – „მთავარი მაინც ის არის,  
ადამიანებს აიძულებდე, გრძნობდნენ“.

**ციკლიდან – BLUES**

არავინ მყავს და არავის ვყავარ,  
მივყვები მარტო ღამეულ თბილისს,  
ვიტრინის მიღმა წრუპავენ ყავას  
ვილაცები, ძალიან თბილი  
ღამეა, მე კი რატომღაც მცირა,  
ერთმანეთისკენ ინვეწ მხრები,  
ეს ქუჩა, ალბათ, სახლამდე მივა,  
სახლამდე, სადაც არ მოვიხრები  
ერთხელაც, მხოლოდ ვინვები ზურგზე,  
გულაღმა და მზე ბოლოჯერ ჩავა...  
ვიტრინის მიღმა გრძელდება ზღუზი,  
არავინ მყავს და არავის ვყავარ.

**დეკემბრის დამდეგი**

თოვს... რა გაათბობს ცარიელ ოთახს?  
თოვს არ აქვს შენი თითების გემო.  
და ხდება ხოლმე, ცივდება დროთა  
განმავლობაში გრძნობები, ჩემო.  
უხასიათოდ თოვს მთელი ღამე,  
სულერთი არის, ისე თოვს, დუნედ.  
(უფალო, იქნებ ამაღამ... ამინ!).  
თოვს არ აქვს შენი სხეულის სუნი.  
თოვს არ აქვს შენი მუხლები, მხრები.  
რა ვქნა, მე ამ თოვსს ვერაფერს ვუგებ.  
არ მინდა თოვდეს. არ მინდა ხლება  
ხელის. მე შენი შიშველი ზურგი  
მახსოვს და როგორ ვიყავით ერთად  
და მერე, მერე... მიხვდები, ვბოდავ...  
დგას ამ თოვაში შემკრთალი ღმერთი  
და ვეუბნები თვალებით – მოდი.  
და რაც არ უნდა ითოვოს დიდხანს,  
თოვლი თოვლია და მაინც დნება  
ოდესმე. ღმერთიც თავისთან მიჰყავს  
სხვას. მე კი შენი გაშლილი თმები  
სულ თვალწინ მიდგას. მე გავძლებ ცოტას,  
სულ ცოტას კიდევ, სულ ცოტას, ჩემო...  
თოვს... რა გაათბობს ცარიელ ოთახს?  
თოვს არ აქვს შენი თითების გემო.

**მუხლები**

ნინია ნადირაძეს

სიცოცხლე, რა თქმა უნდა, უსასრულოა,  
მაგრამ ჯინსებში და კედლებში  
მხოლოდ რამდენიმე ათეული წელიწადი გრძელდება.  
მე ჩემს ნამდვილ სახეს  
ჩემი პატარა შვილის თვალებში ვხედავ,  
როცა ვუყურებ, როგორ მორბის ჩემკენ  
და მეშინია, არ წაიქცეს.  
ადრე პოეზია საშინელი წინათგრძნობა მეგონა,  
ახლა აღარ მგონია,



დარწმუნებული ვარ, ზუსტად ეგ არის.  
 საოცარია,  
 ჯერ თუ წერა არ დავინწყე,  
 ვერ ვლოცულობ.  
 სიტყვებს მივყავართ ღმერთამდე და  
 არა სიჩუმეს.  
 სად მიდის მამა,  
 ვინც შუა გზაზე ერთადერთ  
 ქალიშვილს ტოვებს?  
 მე გეტყვი,  
 სადაც მიდის:  
 მუხლებზე დაიხედე,  
 შეუძლებელია ისინი გადაყვლეფილი  
 გქონდეს.

**შენ ერთი**

რალაცნაირი დღეა,  
 უგემური,  
 გადამნიფებული ნესვივით.  
 შეუძლებელია  
 ერთდროულად ახლოს არ იყო  
 ღმერთთან და სიკვდილთან.  
 რა მაქვს იმაზე ძვირფასი,  
 ვიდრე ეს სიახლოვეა?  
 მე ვტოვებ ამ ლექსს მაგიდაზე,  
 როგორც ერთ დროს  
 შენს მკლავებში დავტოვებ საკუთარ  
 სიცოცხლეს.  
 რა ადვილია შენი შეშინება.  
 შენ ცდილობ ჩემს შეცვლას,  
 მე კი  
 მინდა მოვიდე  
 და სიყვარულის ყველაზე მწუხარე  
 სიმღერა გიმღერო.  
 მე შემოიძლია  
 მთელი ჰაერი ჩავისუნთქო,  
 მე შემოიძლია  
 ხელში ავიყვანო და გათბე,  
 მე შემოიძლია თვალელები გიყურო და  
 გითხრა,  
 რომ არ მჭირდება მხედვედეს ვინმე,  
 შენს გარდა.

**სურვილი**

ეს სურვილი იმას ჰგავს,  
 კაცი ბენზინგასამართ სადგურზე რომ  
 მუშაობს  
 და საშინლად უნდა სიგარეტის მოწვევა.  
 ოცდახუთიოდე წლის ქვრივს,  
 ზაფხულის ჩახუთულ შუადღეს,  
 ქუჩის კუთხეში,  
 შვილი უზის კალთაში  
 და რალაც იდიოტურ ლიტერატურას

ჰყიდის.  
 როგორ შეიძლება  
 ამ დროს  
 მთელი დედამინა არ იყოს იდიოტური,  
 არათუ ლიტერატურა და მსგავსი...  
 ხვდები,  
 ბავშვის დამტოვებელი არ ჰყავს,  
 არც მარჩენალი,  
 პატრონი,  
 ვინმე...  
 და ძალიან გინდა,  
 მიხვიდე,  
 გამოელაპარაკო...  
 ჯანდაბა,  
 რომ (სხვა) არაფერი შეგიძლია,  
 რომ საკუთარი ოჯახის მიხედვა  
 გიჭირს.  
 ის ალბათ შავი თავშლიდან  
 ამოგხედავს,  
 უცნაურად,  
 ცარიელი თვალებით,  
 შენთვის გასაცემ პასუხს კითხვად  
 აქცევს  
 და ბავშვს შეეკითხება:  
 შვილო,  
 წყალი ხომ არ გინდა?  
 ზიხარ ახლა მაგიდასთან,  
 წერ ამ ლექსს,  
 ნვიძს მთელი საღამოა,  
 გადაუღებლად,  
 ჩამოიქცა ცა  
 და მაინც,  
 ერთი ყლუპი წყალი არ არის იმ  
 ბავშვისთვის.

\* \* \*

როცა სახლიდან გავდივარ,  
 ვინ რჩება ჩემს ოთახში?  
 ვინ დადის წინ და უკან, ერთი  
 კედლიდან მეორისკენ  
 და პირიქით, გაუთავებლად?  
 ვინ წვება იატაკზე გულაღმა და ჭერზე  
 ნვიძისგან დახატულ ჩიტებს  
 საკუთარი ქუთუთოების ქვეშ ვინ  
 ემალება?  
 როცა ამ სახლიდან სამუდამოდ გავალ,  
 შეძლებს კი ჩემს მაგივრობას?  
 შეძლებს?  
 შეძლებს აილოს ეს ყვითელი ფურცელი  
 და თუნდაც ერთი ასო მოხაზოს?

\* \* \*

როგორც ზამთრის ულონო მზე,  
 ისე მიღბობს გულს  
 ჩემი თანდაყოლილი სევდა.

\* \* \*

„როცა ადამიანები  
 ნელა და გულგრილად მიაბიჯებენ  
 ზამთრისკენ“.  
 თამაზ ბაძალუა

თავს რომ ცუდად იგრძნობ  
 და ქუჩაში გახვალ,  
 ადამიანებს კი არა, ხეებს რომ დაუწყებ  
 ძებნას,  
 როგორღაც იპოვი, შვებით  
 ამოისუნთქავ  
 და რომელიმე მათგანთან ჩახუტებულს  
 დატოვებ  
 ჯერ ისევ თბილ სხეულს.

...


სალამოს  
 გულივით შეიკუმშება შენი ოთახი,  
 რომ აღარ დაბრუნდები.

**მატარებლები**

თუ მატარებლები სადგურში დგანან,  
 ადამიანები როგორღა გვტოვებენ?  
 უცებ რომ მორჩეს ყველაფერი  
 და თვალეები აღარ იყოს თვალეები  
 და ხელეები აღარ იყოს ხელეები  
 და გული აღარ იყოს გული...  
 მე არავინ მყავს,  
 ვინც ადგილზე გაიყინება.  
 უცნაურია,  
 ბედნიერებაზე ვფიქრობ და  
 ის საღამოები მიდგას თვალწინ,  
 ჩემს ცხოვრებაში რომ არასოდეს  
 დადგება.  
 ვერცერთი ღამე გავიხსენე,  
 ვერცერთი დილა, -  
 შენი სუნით გაჯერებული.  
 რა მანერინებს ამ ყველაფერს,  
 რა არ მეშვება?  
 არ ვარ ის კაცი,  
 ვინც ცხოვრებას თავიდან იწყებს.  
 არც ის კაცი ვარ,  
 კატასავით ცხრა სული რომ აქვს.  
 მე თუ წავედი,  
 მატარებლით არასდროს წავალ.  
 მე თუ წავედი,  
 მოაჯირზე დავეკიდებ სხეულს.

# ასე გვხედავენ უსიტყვებო ენიდან

ბიორბი ლოხანიძე



„სანახევრო სამოთხე“  
ტომას ტრანსტრომერის  
გამომცემლობა „ინტელექტი“

მოხდა ისე, რომ ტომას ტრანსტრომერის ბიოგრაფიის წაკითხვამდე ჯერ მის ლექსებს გავეცანი და პირველი, რაც ვიფიქრე, ამ კაცს ალბათ თეოლოგიის ფაკულტეტი აქვს დამთავრებული რელიგიებისა და მისტიკის ისტორიის განხრით-მეთქი. ამ ფიქრის საფუძველს მაძლევდა მისი ღრმად რელიგიური პოეზია, სადაც „რელიგიურობა“ ერთი რომელიმე კონფესიის მიმდევრობის აღმნიშვნელი კი არა, სამყაროს სიღრმისეული კავშირების გაცნობიერების შედეგად მიღწეული შინაგანი მდგომარეობაა.

ამ კუთხით, ჩემთვის ტრანსტრომერის ის რამდენიმე ლექსი, რომელიც მაშინ წავიკითხე, თავისებურ ფსალმუნს დაემსგავსა, თანამედროვე დავითის მიერ დაწერილ ჰიმნებს, რომელიც სულ სხვა გოლიათის წინაშე დგას – ტექნოკრატიული ეპოქის პრაგმატული აზროვნების ძუძუთი ნაკვები ურჩხულისა, თავის ერთ-ერთ უპირველეს სამიზნედ სწორედ პოეზია რომ დაისახა და მიზანსაც მიაღწია: ისე გამოფიჭა პოეტური ფიქრი, რომ ლექსში სწორედ ამ სამყაროსეული

ღრმა შინაგანი კავშირების გაცნობიერება და, მით უფრო, სხვებისათვის ჩვენება ჯერ არამოდური, ხოლო მერე სულაც შეუძლებელი გახადა.

ტრანსტრომერი კი არა აგდებს მოდურ ტენდენციებს. მან თითქოს წინასწარ იცის, რა არის მთავარი და რადგან ამ მთავარს გულწრფელად ეძიებს, მისთვის შეუძლებელიც აღარაფერია: ახერხებს, თანამედროვე, სულიერი საკითხებისადმი სკეპტიკურად განწყობილი მკითხველი ჯერ პრობლემის მნიშვნელობაში დაარწმუნოს და მერე ტრანსცენდენტურის ძეგლშიც ისე აიყოლიოს, რომ უხერხულობის ანდა ნაძალადეობის განცდა არ შეუქმნას.

თუმცა „მოხერხება“ აქ სრულად მაინც ვერ გამოხატავს იმ ვითარებას, რის ხარჯზეც ტრანსტრომერის პოეზიაში ეს დამაჯერებლობა მიიღწევა. მისი სადა, ყოველგვარი ზედმეტი სამკაულისაგან თავისუფალი ფრაზა, სადაც, სახარების რჩევის თანახმად, ლამის „ჰო ჰოა და არა არა“, ისეთ გულწრფელობას გამოასხივებს, რომ პოეტის სიმართლეში დაეჭვება შეუძლებელია. ტრანსტრომერი მთელი თავისი სტილისტიკით მკვეთრად უპირისპირდება თანამედროვე პოეზიაში გავრცელებულ პათეტიკურობას, რასაც პოეტები, ძირითადად, საკუთარი სიცარიელის შესანიღბავად იყენებენ. ის არ არის ამბიონზე შემომდგარი მქადაგებელი. მეგობარივით გვიყვება თავის შინაგან გამოცდილებებს და ამ გამოცდილებათა მთელი დრამატიზმიც სწორედ არა პათეტიკით, არამედ ტონის სირბილით, ლამის ჩურჩულის ინტონაციით გამოიხატება.

მახსოვს, თავის დროზე, სწორედ ზემოაღნიშნულმა თავისებურებამ გამაკვირვა ყველაზე მეტად, როცა ერთ სპარსულ ჟურნალში ტრანსტრომერის ლექსების თარგმანები პირველად წავიკითხე. მაშინ ტრანსტრომერის პოეზია ყველაზე მეტად მივამსგავსე დიდი ირანელი პოეტის სოჰრაბ სეფეჰრის სტილს, თუმცა დავინახე არსებითი

განსხვავება: სეფეჰრი, ყველაფრის მიუხედავად, მაინც ვერ ელევა აღმოსავლურ ხატოვანებასა და პათეტიკურობას და ამ ორ თავისებურებაზე თამაშით, ხატოვანებისა და პათეტიკურობის რეგისტრების მონაცვლეობით ქმნის თვისებრივად ახალ პოეზიას. ტრანსტრომერი კი არც ერთს და არც მეორეს თითქმის არასოდეს მიმართავს. ის დუღუნებს და თითქოს არც ანაღვლებს, გაიგონებს თუ არა მის ბუტბუტს ვინმე. ოღონდ ამბობს ძალიან არსებითს და ამიტომაც გაიძულეს, ყური მუდმივად მომარჯვებული გქონდეს მოსასმენად, ერთი წამით არ გადაუნებს, რადგან რამე თუ გამოგრჩა, სამუდამოდ ამოვარდები მისი უაღრესად მნიშვნელოვანი სათქმელის მთელი კალაპოტიდან.

ამის შემდეგ, ცოტა ხანში უკვე ქართულადაც ვნახე ტრანსტრომერის ძალზე საინტერესო თარგმანები, ჩინებულად შესრულებული ზვიად რატიანის მიერ. ოღონდ სპარსული „დუღუნის“ ფონზე რატიანთან ალაგ-ალაგ გაჩენილმა სიმკვეთრემ ცოტა დამაბნია. ზვიადმა ზოგ ადგილას ტონი პათეტიკურად აწია და ამით ტრანსტრომერთან რამდენამდე გამაუცხოვა. თუმცა, ამის მიუხედავად, უკვე საბოლოოდ დავრწმუნდი იმაშიც, რომ საქმე მქონდა თანამედროვეობის უდიდეს პოეტთან.

2012 წლის ბოლოს, გამომცემლობა „ინტელექტის“ მიერ დასტამებული ტრანსტრომერის მოზრდილი კრებული „სანახევრო სამოთხე“ (რედაქტორი ნათია ორმოცაძე) კი, ჩემი აზრით, წლის ნამდვილ ლიტერატურულ მოვლენად იქცა.

თვითონ ძალიან კარგი პოეტის, მანანა კობაიძის მიერ დედნიდან, შვედურიდან შესრულებული ეს თარგმანი ჩვენ წინაშე არა მხოლოდ ტრანსტრომერის პოეზიის გენიალურობას, არამედ ქართული ენისა და პოეტური მეტყველების ახალ-ახალ შესაძლებლობებსაც გადაშლის.

ზემოთქმული ზოგად ფრაზად რომ

არ დარჩეს, შევეცდები, უფრო დავაკონკრეტო, რას ვგულისხმობ. საქმე ისაა, რომ თანამედროვე ქართულ პოეზიაში აღმსარებლობითი ნაკადის ნიმუშები ძალიან ცოტაა და თუ არის ისიც, ძირითადად, უაღრესად ეგოისტურია, სადაც ამა თუ იმ პოეტის პრევალირებული „მე“ ფარავს ობიექტურ რეალობას და ყველაფერს სუბიექტური განწყობების ქარგაში მოაქცევს.

ჩვენთან, თანამედროვე მსოფლიო პოეზიის ძირითადი მიმართულების კვლადაკვალ, პოეტისათვის მთავარია, როგორ ვხედავ „მე“ და არა ის, თუ რას წარმოვადგენ „მე“ თავისთავად. ცენტრი გადმონაცვლებულია „ჩემზე“ და არა იმ სინამდვილეზე, რომლის ნაწილადაც „მეც“, მთლიანად, მოვიაზრები.

ეს არის ხედვა შიგნიდან გარეთ, ტრანსტრომერთან კი მზერის კუთხე გარედან შიგნიდან ფოკუსირებული. შემთხვევითი არ არის მისი ერთ-ერთი პოეტური ლექსისა და მემუ-

არული ჟანრის წიგნის სათაური – „მოგონებები მხედავენ“. ეს ფრაზა პრინციპულად გვიხსნის მისი პიროვნებისა და პოეზიის თავისებურებას: დიდი შვედი პოეტისათვის მთავარია ობიექტური სიმართლე და არა ჩვენეული, თუნდაც სინამდვილესთან ძალზე მიახლოებული, ვერსიები სიმართლეზე. ამიტომაც „მოგონებები მხედავენ“ არამხოლოდ გაპიროვნების შესანიშნავი ნიმუშია, არამედ ამ ერთ ფრაზაში მთელი შემოქმედებითი და მოქალაქეობრივი პოზიციაა კონდენსირებული.

ეს პოზიცია კი განაპირობებს ტრანსტრომერის სტილის თითქმის ყველა არსებით ნიშანს: პათეტიკურობაზე უარის თქმას, პოეტური სამკაულების უგულვებლყოფას, წვრილმანზე, ერთი შეხედვით შეუმჩნეველ დეტალებზე კონცენტრაციას და მთავართან ამ ნაწილების შინაგანი კავშირების დანახვას. დუდუნს, რომელსაც ვერ გავარჩევ, რა არის, თუმცა ალაგ-

-ალაგ ეს დუდუნი მაინც უფრო ლოცვას ემსგავსება. ოღონდ არა სარტულალო ლოცვას, არამედ ადამიანის ვედრებას შემოქმედისადმი, თავისუფალს, ცხოვრებისეული გამოცდილებებიდან მომდინარეს, და არა დოგმათა თუ კონფესიური ვალდებულებით დაწესებულს.

ამიტომაც მასთან უფრო ღრმად ქვეტექსტი, ვიდრე ტექსტი. ტრანსტრომერის ფრაზა აზრობრივად თითქმის ყოველთვის დასრულებულია, მაგრამ ემოციურად დაუსრულებელი და ის მუდამ რამდენიმე დონიანი ინტერპრეტაციის საშუალებას გვთავაზობს.

პოეტი ბუნებრივად გაიძულეს მისი ფიქრი თვითონვე გააგრძელო და საკუთარი სულიერი განვითარების შესაბამისად განავრცო. ამიტომაც ობერტონი ტრანსტრომერის ძირითადი მასალაა, თუმცა მუსიკის ჩინებული მცოდნე და როგორც ამბობენ, თავის დროზე მუსიკალური კლასიკის ძალზე კარგი შემსრულებელი, კანთ



**წიგნის სახლი**  
BOOK & COFFEE HOUSE **ბახტრიონში**

თანამედროვე ქართული და უცხოური გამოცემები

საზოგადოებრივი სივრცე სალონური შეხვედრებისა და საღამოებისთვის

ცნობილი მხატვრების ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა

კაფე

Wi-Fi

ბახტრიონის 11<sup>ბ</sup>, ტელ: 2 33 28 18  
bookandcafe@gmail.com

გრძობს ტონებისა და ტონალობების ურთიერთმიმართებებს და ამ გამოცდილებას პოეზიაშიც ოსტატურად გამოიყენებს.

სასიხარულოა, რომ ეს ყველაფერი უდანაკარგოდ არის გადმოსული მანანა კობაიძის ქართულ თარგმანში. რაკი თვითონ შვედური არ ვიცი, ალბათ ჩემგან უხერხულია სრულყოფილებაზე ლაპარაკი, მაგრამ პოეზიასა და თარგმანზე ჩემი წარმოდგენიდან გამომდინარე, შემიძლია დაბეჭდვით ვთქვა, რომ ეს ერთ-ერთი ყველაზე კარგი თარგმანია, რაც კი წამიკითხავს.

მანანა კობაიძე არამხოლოდ ტრანსტრომერის შემოქმედებით თავისებურებებს გვაცნობს, არამედ ამ თავისებურებათა კვლადკვალ, ქართული პოეტური მეტყველების ახალ შესაძლებლობებსაც ამზერებს. ეს ეხება როგორც სიტყვათქმნალობასა და სიტყვათწარმოებას, ასევე ტონალობებითა და ინტონაციებით (ძირითადად) წარმატებულ ვარიანტებს.

აღნიშნული ინტონაციები, ერთი შეხედვით, ქართული ვერლიბრის (თამაზ ჩხენკელისა და, შესაბამისად, ბესიკ ხარანაულის) ნიადაგიდან ამოიზრდება, მაგრამ ისეთი გამდიდრებულია ახალ-ახალი ელფერით, რომ დამოუკიდებელ, თავისთავად მნიშვნელობას იძენს.

მანანას თარგმანშიც სწორედ ის არის უმთავრესი, თუ რა შეიძლება მოგვცეს ქართულმა ვერლიბრმა, თუკი მას მისთვის ასე ორგანულ პათეტიკურობას მოვაცილებთ და აზრის მდინარებას პიროვნულიდან საზოგადო ინტონაციაზე „გადავრთავთ“.

მინდა გითხრათ, რომ, ჩემი აზრით, შედეგი ძალზე საინტერესო და საყურადღებო გამოვიდა.

ეს პოეტის ნამუშევარია, მაგრამ არა თავისუფალი ინტერპრეტაცია, არამედ დიდი ცოდნიდან და სიყვარულიდან ამოზრდილი თარგმანი. ხოლო იმაში, თუ რა საფუძვლიანად იცნობს მანანა კობაიძე სათარგმნ მასალასაც და შერჩეულ პოეტსაც, როგორ სიღრმისეულად გაიაზრებს მის ადგილს, ერთი მხრივ, შვედურ, ზოგადად კი, მსოფლიო პოეტურ ტრადიციაში, მისი შესავალი წერილი დაგვარწმუნებს,

ქართულად ამეტყველებული ტრანსტრომერის კრებულს „სანახევრო სამოთხეს“ რომ უძღვის.

თავისთავად ეს წერილი ჟანრის შედეგია, რომელიც ტრანსტრომერის პიროვნული და შემოქმედებითი თავისებურების უამრავ ნიუანსს აგვიხსნის და ერთგული მეგზურივით მიგვიძღვება მის ღრმა და უჩვეულო სამყაროში და იგი, როგორც უმთავრესად ასეთ შემთხვევაში ხდება ხოლმე, ხელს კი არ გვიშლის პოეტის აღქმაში, არამედ გვეხმარება, ამ სიტყვების საუკეთესო გაგებით.

ოღონდ მთავარი გასაღები, ცხადია, მაინც ტრანსტრომერის ლექსებშივე დამალული. პოეტის სხვადასხვა დროის სხვადასხვა კრებულიდან მანანა კობაიძის შერჩევით თარგმნილი ლექსები საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ არა იმდენად პოეტის ზრდას, რამდენადაც იმას, თუ რა იყო ცხოვრების ამა თუ იმ მონაკვეთში ტრანსტრომერისთვის მნიშვნელოვანი.

ასეთი შეგრძნება ძალზე იშვიათ პოეტებთან დაკავშირებით გაგიჩნდება: ტრანსტრომერი თითქოს თავიდანვე დიდი და დასრულებული დაიბადა და პირველივე კრებულიდან საზოგადოებას წარმოუდგა არა როგორც სტილის, არამედ ჭეშმარიტების მაძიებელი.

ის მისტიკურად „უასაკოა“ და ამიტომაც არ ემუქრება საშიშროება, რომელიც უამრავ, მათ შორის გამორჩეულ პოეტებსაც სწევია: ასაკობრივი ჯგუფის პოეტად – ან ახალგაზრდების, ან შუახნისების, ან ხანდაზმულების კუშირად – გადაქცევა. სიტუაცია, როცა ამა თუ იმ ასაკში გიყვარს ესა თუ ის პოეტი, მაგრამ რაღაც ეტაპზე ხვდები, რომ ის შენთვის თურმე უკვე სავესებით ამონურულია.

თავისთავად, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ასეთი პოეტი ცუდი ანდა არასაჭირო პოეტი, მაგრამ პოეტური სიდიდე იმასაც გულისხმობს, რომ ყველა ასაკში თანაბარი ინტერესით იკითხებოდეს, იყოს უასაკო და, ამდენად, მარადიული.

ტრანსტრომერთან ეს უასაკობა მედიტაციურობითაც არის შეპირობე-

ბული. წერილის დასაწყისში ვახსენე, ვფიქრობდი, თეოლოგიის ფაკულტეტი ექნებოდა დამთავრებული-მეთქი და ეს გუმანი მანანა კობაიძის შესავალმა წერილმა ფაქტობრივად დამიდასტურა.

ტრანსტრომერს მართლაც უსწავლია სწორედ რელიგიების ისტორიის განხრით და ცხადია, ეს ცოდნა განფენილია მთელ მის პოეზიაში, უფრო მეტიც, ის ამ პოეზიის თავისებურ ქვაკუთხედს წარმოადგენს.

„სანახევრო სამოთხის“ პირველივე ლექსი „პრელუდია“ სავსეა რელიგიური სახე-სიმბოლოებითა და მისტიკური ალუზიებით, რომელთა გაცნობიერების გარეშე შეუძლებელია გავიგოთ ტრანსტრომერის პოეზიის რთული თემატიკა და ხასიათი.

ის წამის პოეტი, ოღონდ არა წარმავლობის, არამედ მოუხელთებელი წამის, გამოუთქმელი შეგრძნებების პოეტი, რომლის ხელობაც ხშირად ქვეცნობიერში გაელვებული იმ გაუაზრებელი განწყობებისა თუ ჯერ კიდევ ფიქრად ჩამოუქნელი აზრების ზედაპირზე ამოტანაა, რომელთათვისაც ადამიანურ ენას სახელი არ დაურქმევია.

ამიტომაც ძნელია, ერთი მხრივ, პოეტის აზრის ზუსტად გაგება და, მეორე მხრივ, არ შეიძლება იქ, სადაც მას, ვთქვათ, „ჟღალი“ უწერია, მთარგმნელი ადგეს და „ყვითელი“ დაწეროს. ეს სინონიმთა ენა არ არის, ეს, როგორც თვითონ ტრანსტრომერი ამბობს ერთ ლექსში, „უსიტყვო ენაა“. ენა, რომელიც მხოლოდ პოეტებმა იციან და რაზეც მე-19 საუკუნეში წერდა ნიკოლოზ ბარათაშვილი: „არსებობს ენა რამ საიდუმლო უასაკოთაც და უსრულთ შორის და უწინარეს სხვათა ენათა არს მნიშვნელობა მათი საუბრის“...

ამ საიდუმლო ენის ჩვეულებრივ ადამიანურ და, მით უმეტეს, ყოფით ენაზე თარგმნა არის სწორედ პოეზიის დანიშნულება და ამას, ჩემი აზრით, დღევანდელ მსოფლიო პოეზიაში სულ რამდენიმე ადამიანი ახერხებს, მათ შორის, ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესოა უცნაური შვედი – ტომას ტრანსტრომერი.



[www.radiokalaki.ge](http://www.radiokalaki.ge)



იაქტიურად, მიიღეთ მონაწილეობა

RADIOKALAKI.GE-ს გამოქიითვებში

მოგვწერეთ თქვენი მოსაზრებები და რჩევები

მისამართზე

[INFO@RADIOKALAKI.GE](mailto:INFO@RADIOKALAKI.GE)

# ავტორის სიკვდილის გამოცხადებული ქრონიკა

ალექს ჩილინაძე



„დაამლაგებელი“  
ერეკლე დეისაძე  
გამომცემლობა „სიესტა“  
2013

გამთენიისას ჰაერი თბილისში შედარებით სუფთაა. სანამ ახლად გაღვიძებული მოქალაქეები თავიანთ ავტომანქანების ძრავებს აამუშავებენ, შეგიძლია ისარგებლო მომენტით და დილის გამამხნეველი ვარჯიშით დაკავდე... ერთ ასეთ იმედისმომცემ დილას, სირბილისგან დაღლილი, ეზოს განაპირას მდგარ რკინის ძელებს მივუახლოვდი. იქვე სიმსუქნით შეწუხებული, დონინჯემოყრილი დიასახლისი სრულიად გაუგებარ მოძრაობებს აკეთებდა. მის წინ კი მონიფული მამაკაცი, წელს ისეთი შემართებით ატრიალებდა, რომ მიხვდებოდით, წელს გარდა, ქალის სექსუალური ფანტაზიის გაზურებასაც ცდილობდა. შემდეგ რკინის ძელზე რამდენჯერმე სცადა ტანის აწევა – თუმცა უშედეგოდ. სახეანთლებული და აქომინებული მიწაზე დახტა და დიასახლისს, რომელსაც ასო „დ“-ს ფორმა მიეღო, უთხრა: გაიგე? თურმე ის წიგნი, დეისაძეს კი არა, თავისუფლების ინსტიტუტს დაუწერია. ქალმა კვერი დაუკრა. ისიც დაამატა, ძირითადად ლევან რამიშვილის იდეები ჭარბობსო.

არ მეგონა, თუ დილის ექვს საათზე, ისევე ერეკლე დეისაძის „საიდუმლო სირობაზე“ მოვისმენდი მსგავს დიალოგს. ისედაც ხომ, თითქმის ყველგან, ამაზე ლაპარაკობდნენ...

სამიოდ წლის წინ თინეიჯერმა მწერალმა საკმაოდ ხმაურიანი დრო ატარებინა თანამოქალაქეებს. ერის გარყვნის და გადაჯიშების, ქართველობის წართმევის ხმაურიანი ბრალდებების გამო, ეს პატარა ქუთაისელი ბიჭი ისეთივე საფრთხედ აღიქვა ბრძენი ხალხის დიდმა ნაწილმა, როგორც, ალბათ, საუკუნის წინ, მურვან ყრუსა ან ჯალალედინს აღიქვამდნენ...

გივი მარგველაშვილი ერთ ინტერვიუში წერს, რომ მასთან ჩამოსულ ჰაინრიხ ბიოლს, თავისი ავტობიოგრაფიული რომანი „კაპიტანი ვაკუმი“ არ გაატანა, რადგან ვიცოდი, ამას დიდი აშავი მოჰყვებოდა, მე კი ლიტერატურაში სკანდალით მოსვლა არ მინდოდაო. ჟურნალისტი არ ჩაჰკითხვია, თუ მაინც რატომ არ უნდოდა სკანდალით მოსვლა... ჩემი აზრით, იმიტომ, რომ ეს დიდ დროს წართმევდა.

ერეკლემ, ალბათ, ყველაზე კარგად იცის, თუ რამდენი დრო წაართვა ამ სკანდალმა. პრესის ყვითელი ფუტკრები ხომ ისე ეხვეოდნენ, თავად ყვავილი აღარ ჩანდა. თუმცა ცდილობდა, ეს ყველაფერი ერთგვარ თამაშად ექცია და თავის ახალ რომანშიც „დაამლაგებელი“, რაღაც ასეთივე თამაშს გვთავაზობს – თამაშს „ცნობილობასთან“. მოქმედების ადგილშიც იმ გამომცემლობას ამოვიცნობთ, რომელმაც ერეკლეს პირველი წიგნი გამოაქვეყნა; ხოლო რეალური მწერლების სახელები თითქმის არცაა შეცვლილი.

ალესანდრო ბარიკო წერდა: „წიგნი მაცივარივითაა, გამოაღებ და მოულოდნელად გსიამოვნებს, რომ ის სხვადასხვა ნუგბარით სავსე გხვდებაო“. თუ ერეკლეს პირველ წიგნს შევადარებთ მაცივარს, ის ბერბიჭას მაცივარს მოგვაგონებს, სადაც გამხმარი, გაყვითლებული ყველი და დაცილილი, გადასაყრელი ბოთლები აწყვია. ახალი წიგნი კი უფრო სავსე მაცივარია. შიგნით ისეთ კერძებსაც ნაწყვედები, რომლის მომზადების დროსაც დია(მამა)სახლის საკმაოდ უწვალაია, თან მარტო მზამზარეული რეცეპტის იმედად კი არ ყოფილა, თავისი ფანტაზიითაც დაუმატებია ინგრედიენტები.

ინტერნეტშიც თუ გადავავლებთ ერეკლეს ბოლოდროინდელ ბლოგებსა და ტექსტებს თვალს, მივხვდებით, რომ ის საგრძნობლად შეიცვალა. გახდა უფრო მეტად თვითირო-

ნული, რაც, ჩემი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანია ახალგაზრდა, დამწყები მწერლისთვის.

„დაამლაგებელში“, მთელი ტექსტის განმავლობაში, რაღაც ლევა. ამ სუნს, მთავარი პერსონაჟის მოხუცი მეზობლების გარდა, ვერავინ გრძნობს. ნარატორის პატივსაცემ მოვალეობას გამომცემლობის ერუდირებული დამლაგებელი და მდივანი ასრულებენ. ისინი ყურებად არიან შეყვარებულნი თავიანთ ბოსზე – გამომცემელზე – ზურგზე საქართველოს რუკის ტატუთი დამშვენებულ, სწორუპოვარ კუკურზე – დიდთან დიდზე და პატარასთან სულ მთლად გიგანტზე.

ისტორია იმით იწყება, რომ ქრებიან მწერლები. აი, როგორც სტანდარტულ ჰორორშია ხოლმე. სამა ბურლაძე, ავთო ურამვილი, მეზურ ჭულაძე ერთმანეთის მიყოლებით უჩინარდებიან. ქალაქში პანიკა ისადგურებს, გამომცემლობაშიც, რა თქმა უნდა. ერთადერთ ვინც ამ იდუმალი საქმით ხეირობს, არის გამომცემელი კუკური. ყოველი მწერლის გაქრობასთან ერთად, მათი წიგნების ტირაჟები იზრდება. ვინ არის მკვლელი, ამას რომანის ნაკითხვის შემდეგ გაიგებთ. მანამდე კი მხოლოდ იმას გეტყვით, რომ მკვლელის აზრით, ავტორის სიკვდილი აცოცხლებს ლიტერატურულ პროცესს, ამიტომაც ის მწერლებს ენებს აჭრის და ჭამს, რადგან ცოცხალი ენის გასინჯვაც სურს...

როგორც ამხანაგმა დეისაძემ განმიცხადა, რომანში Aphex Twin-ის (რომელიც მთავარი გმირის საყვარელი ბენდია) სიმღერა „Come to daddy“-ზე გადაღებული კლიპის გარემოა შექმნილი. ძალიც კი, მესაფლავის ძალიც, იქიდან გადმოძუნძულდაო.

წიგნის ანოტაციაში ვკითხულობთ, პოპ-კულტურის ციტირებით, პორნო-ესთეტიკისთვის დამახასიათებელი ნიშნებით, დინამიკური მონტაჟით, თუ მელოდრამის პაროდით, რომანმა შეიძლება ზოგჯერ ალმოდოვარის ფილმებიც გაგვახსენოს და ჩაკ პალანიკის პროზაცო...

თუმცა, „საიდუმლო სირობის“ ლოგიკური გაგრძელებაც და თრემ-ლიტერატურის ტრანსგრესიული ჩათლახობების დახვეწაც ერეკლეს ახალ პიესაში, „Facefact“-ში უფროა. დანარჩენი, ერეკლეს ამ ლიტერატურული სერიის ნაკითხვაცა და შეფასებაც, სერიის მოყვარული მკითხველისთვის მიმინდია.

**ლოტის ცოლი**

ვისლავა შიმბორსკა  
**გამომცემლობა „ინტელექტი“**  
**გამოცემის წელი 2012**  
**ფასი 7 ლარი**



შიმბორსკას ცხოვრება და შემოქმედება, გარკვეულწილად, სანიმუშო ფასეულობად იქცა. პოლონელი ინტელიგენცია, „სოლიდარობა“ მისი პოზიციითაც ცდიდა საკუთარ უკომპრომისობასა და ბრძოლისუნარიანობას. შიმბორსკას პოლონეთის ხელისუფლება „მოურჯულებლის“ ეპითეტით იხსენიებდა.

ჩესლავ მილოშის, ნობელიანტი პოეტის აზრით, შიმბორსკას პოეზიას აქვს გემო – იგი მწარეა: „მისი ლექსები ბურთულეებით ფონგლირებენ ჩვენი საერთო ცოდნის ელემენტებით და ამ ხერხითაც მიგვითითებენ სამყაროს ტრაგიკომიკურობაზე“.

კრებულში შესული ლექსები ნათელა გავაშელმა, მიხეილ ქელივიძემ, გივი ალხაზიშვილმა და გია ჯოხაძემ თარგმნეს, ესეისტური ჩანაწერები „არასავალდებულო საკითხავი“ კი – ირაკლი ლომოურმა;

ნიგნს ერთვის მალხაზ ხარბედიას წერილი ვისლავა შიმბორსკას გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

**როგორც მწერება**

ჯონ ლენონი  
**მთარგმნელი გვანცა ჯობავა**  
**გამომცემლობა „არტანუჯი“**  
**გამოცემის წელი 2012**  
**ფასი 6 ლარი**

ჯონ ლენონი – ბრიტანელი მომღერალი, კომპოზიტორი, პოეტი, მხატვარი, ყველა დროის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ჯგუფ „ბითლზის“ დამფუძნებელი და წევრი. ჯონ ლენონის, როგორც მწერლის გაცნობა, ქართული მკითხველისთვის შესაძლოა გარკვეული მოულოდნელობა იყოს, მიუხედავად იმ საზოგადოდ ცნობილი ფაქტისა, რომ

ლენონი, პოლ მაკარტნისთან ერთად, თავად წერდა ტექსტებს სიმღერებისთვის, რომლებიც ელვის სისწრაფით ხდებოდა მსოფლიო ჰიტები.

„როგორც მწერება“ („In His Own Write“) ჯერ კიდევ 1964 წლის 23 მარტს გამოიცა ერთდროულად დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ში. ინგლისში წიგნის გამოსვლის პირველსავე დღეს 50 000 ეგზემპლარი გაიყიდა. მას შემდეგ ითარგმნა მსოფლიოს უამრავ ენაზე და ბესტსელერად იქცა.

წიგნი მოიცავს ლენონის პატარა მოთხრობებს, ლექსებს, ნახატებს, ხშირად სიურრეალისტურსა და თითქმის მუდმივად არაადეკვატურს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ წიგნისმიერი გაგებით, ეს, ლენონის პირველი სოლო პროექტი გახლდათ.

**კირჩხიბის ტროპიკი**

ჰენრი მილერი  
**მთარგმნელი თამარ ჯაფარიძე**  
**გამომცემლობა „დიოგენე“**  
**გამოცემის წელი 2012**  
**ფასი 11.9 ლარი**

„კირჩხიბის ტროპიკი“, მეოცე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე ექსცენტრიკული და თამამი მწერლის, ჰენრი მილერის (1891-1980) სკანდალური რომანი, მისი სხვა წიგნების მსგავსად, დიდწილად ავტობიოგრაფიულია. რომანი გასული საუკუნის 30-იან წლებში პარიზში მცხოვრები, უფულობითა და შიმშილით გატანჯული ავტორის მონოლოგია.

წიგნი პირველად 1934 წელს პარიზში გამოიცა და მილერის თანამედროვეთა – მათ შორის, სემუელ ბეკეტისა და ჯორჯ ორუელის – დიდი მონონება დაიმსახურა. პორნოგრაფიულობასა და ამორალურობაში ბრალდების გამო მწერლის რომანები მის სამშობლოში კარგა ხანს აკრძალული იყო. „კირჩხიბის ტროპიკი“ შეერთებულ შტატებში მხოლოდ 1961 წელს გამოიცა.

**ლანსაროტე**

მიშელ უელბეკი  
**მთარგმნელი მერაბ ფიფია**  
**ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა**  
**გამოცემის წელი 2012**  
**ფასი 6.90 ლარი**

მიშელ უელბეკი თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე სკანდალური და პოპულარული მწერალია; ავტორი, რომლის შემოქმედების ირგვლივაც არ წყდება კამათი.


ურთიერთსაპირისპირო და ხშირ შემთხვევაში რადიკალურად განსხვავებული შეფასებების პარალელურად, მწერლის ნაწარმოებები ელვისებური სისწრაფით ითარგმნება მსოფლიოს მრავალ ენაზე.

ლანსაროტე კუნძულია ესპანეთის მახლობლად – პატარა, ვულკანური წარმოშობის უღიმღამო, უფერული კუნძული, სადაც მიუხედავად ლანდშაფტის ერთფეროვნებისა, მაინც შესაძლებელია, შეგებულების გატარება ძალიან საინტერესო, შთაბეჭდილებებით დატვირთული აღმოჩნდეს.

ავტორი არც ამჯერად ლალატობს მისთვის დამახასიათებელ დაუდევარი თხრობის სტილს. როგორც „პლატფორმაში“, „ლანსაროტეს“ მთავარი თემაც სექსუალური ტურიზმის განვითარების უკიდველანო პერსპექტივაა.

**პირადი კულინარია**

ლიანა ანფიმიადი  
**ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა**  
**გამოცემის წელი 2012**  
**ფასი 6.90 ლარი**



„კულინარიული პროზა თუ ლიტერატურული კულინარია?“ – როცა ამ წიგნის სახელდებაზე ვფიქრობდი, ათასგვარი ლიტერატურათმცოდნეობითი ტერმინი გამახსენდა. გამახსენდა და ათასივე უარყვავი. ეს უფრო მოგონებების წიგნია: გემოებით, სუნებით, ფერებითა და შეგრძნებებით დამახსოვრებული მოვლენები და ადამიანები, რომლებიც ჩემი ცხოვრების კულინარიაში გავაერთიანე და მომიწინა, სხვებისთვისაც გამეზიარებინა. ეს არის წიგნი ცხოვრების რეცეპტების, ლექსებისა და სიყვარულის შესახებ და თუმცა არც ძალიან კარგი მწერალი ვარ და არც ძალიან კარგი კულინარი, იმედს ვიტოვებ, რომ სწორედ შენ ხარ ჩემი მკითხველი – ის, ვინც სრულყოფილებას კი არა, ბედნიერებას ეძებს“.



# დიაბეტის წინააღმდეგ



წელს ავსტრალიელ ექიმებს წინ საინტერესო ექსპერიმენტი ელოდებათ. სიდნეიში მედიკოსები დიაბეტით დაავადებულთა სამკურნალოდ ტიპლარის სისხლის გამოყენებას იწყებენ. ექიმები ამბობენ, რომ სწორედ მასში შემავალი რეგულატორული ლიმფოციტები არის ის უჯრედები, რომლებიც შეანელებენ ან აგვაცილებენ დიაბეტის განვითარებას. ავსტრალიელი მედიკოსები საკუთარი ტიპლარის სისხლს ხუთ წლამდე ასაკის ოც ბავშვს გადაუნერგავენ.

ტიპის შაქრიანი დიაბეტის ტიპლარის სისხლის ღეროვანი უჯრედებით მკურნალობა განვითარების საწყის ეტაპზეა, თუმცა რამდენიმე წლის ისტორია უკვე აქვს.

როგორც ცნობილია, ტიპის შაქრიანი დიაბეტი იგივე ინსულინდამოკიდებული დიაბეტი აუტოიმუნური დაავადე-

ბაა, რაც იმას ნიშნავს, რომ იმუნური სისტემის არასწორი ფუნქციონირების გამო პანკრეასში არსებული, ინსულინის წარმოქმნელი ე.წ. ბეტა უჯრედების მიმართ ორგანიზმის T ლიმფოციტების აუტოაგრესიას აქვს ადგილი. ამ უჯრედების დაზიანების გამო კი ინსულინის სინთეზი მცირდება და ბოლოს მთლიანად ქრება, ამიტომ პაციენტისთვის სიცოცხლის შენარჩუნება მხოლოდ ინსულინის რეგულატორული ინექციითაა შესაძლებელი. ამავდროულად ინსულინით მკურნალობა მეტად ფაქიზი პროცესია, რადგან არასწორი დოზირება სისხლში შაქრის რეგულირების დარღვევას, ჰიპერგლიკემიურ, ჰიპოგლიკემიურ, ასევე ჰიპეროსმოლარულ კომებს, კეტოაციდოზს და ჰიპეროსმოლარულ კომას იწვევს.



ყველა ჩამოთვლილი გართულება მწვავედ ვითარდება და დაუყოვნებლივ ჩარევას მოითხოვს. ამას გარდა, დროთა განმავლობაში დიაბეტი მიძიდება სხვა ქრონიკული გართულებებით, მათ შორის, გულზე, სისხლძარღვთა სისტემაზე, თირკმელზე, პერიფერიულ ნერვებზე, ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე, ქვემო კიდურებზე და სხვა.

I ტიპის შაქრიანი დიაბეტის მკურნალობა შესაძლებელია პანკრეასის ტრანსპლანტაციითა და ინსულარული კუნძულების გადანერგვითაც, თუმცა ამისთვის გარდაცვლილი დონორია საჭირო. კიდევ ერთი არჩევანი სწორედ საკუთარი ჭიპლარის სისხლის ღეროვანი უჯრედების ტრანსპლანტაციაა. ჭიპლარის ბანკის სისხლის სამედიცინო დირექტორი გონა შათირიშვილი ამბობს, რომ გადანერგილი ჭიპლარის სისხლის ღეროვანი უჯრედები ბეტა უჯრედებისადმი სპეციფიკურად აგრესიულ ლიმფოციტებს თრგუნავს: „ჭიპლარის სისხლის ღეროვანი უჯრედები ე.წ. რეგულატორული ლიმფოციტების დაზიანებული ფუნქციის გამოსწორებას იწვევენ. რეგულატორული ლიმფოციტების დეფექტი შაქრიანი დიაბეტის განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზეზია, ამიტომ მათი ფუნქციის გამოსწორება დიაბეტის განვითარებას ანელებს. ამასთან, საკუთარი ჭიპლარის სისხლი თავადაც შეიცავს მაღალაქტიურ რეგულატორულ ლიმფოციტებს, რაც ასევე დადებითად აისახება დიაბეტის მკურნალობაზე“, - აღნიშნავს ის.

ჭიპლარის ბანკის სისხლის სამედიცინო დირექტორი განმარტავს, რომ ინსულინის წარმომქმნელი უჯრედები პანკრეასში, ე.წ. ლანგერჰანის კუნძულებშია განლაგებული, რომლებსაც ჯანმრთელ ადამიანში სისხლის კარგი მონარაგება აქვთ, დიაბეტის დროს კი სისხლის მოწოდების პროცესი აუტოიმუნური პროცესების გამო სისხლძარღვთა დაზიანებით ფერხდება. „ჭიპლარის სისხლი შეიცავს სისხლძარღვის წარმომქმნელ ღეროვან უჯრედებს, რომლებიც ხელს უწყობენ რევასკულარიზაციას - სისხლძარღვების აღდგენა-განახლებას, ანუ ჭიპლარის ღეროვანი უჯრედები ამ გზითაც ახდენს დიაბეტის განვითარების შეფერხებას. ამასთან, კვლევებმა აჩვენა, რომ ჭიპლარის სისხლის ღეროვანი უჯრედები ასევე ფლობენ უნარს, გარდაიქმნან ინსულინის წარმომქმნელ უჯრედებად“, - აცხადებს გონა შათირიშვილი.

ჭიპლარის სისხლის გამოყენება I ტიპის შაქრიანი დიაბეტის სამკურნალოდ პირველად ფლორიდის უნივერსიტეტში 2004-2008 წლებში განხორციელდა. მაშინ მედიკოსებმა საკუთარი ჭიპლარის სისხლი სამიდან შვიდ წლამდე ასაკის 24 ბავშვს გადაუწერეს. პაციენტებმა

გადანერგვა კარგად გადაიტანეს, არცერთ მათგანს არავითარი გართულება არ ჰქონია. ექიმები შეისწავლიდნენ შაქრიანი დიაბეტის მახასიათებელ პარამეტრებს: გლიკოზირებულ ჰემოგლობინს, C პეპტიდს, ინსულინის სეკრეციას, T ლიმფოციტების შემადგენლობას, რადგანაც შაქრიანი დიაბეტი აუტოიმუნური დაავადებაა და T ლიმფოციტები დაავადების განვითარებასა თუ პრევენციაში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ. მკურნალობის პირველ თვეებში პაციენტებში ეს პარამეტრები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა.

ამერიკელი მეცნიერების კვლდაკვალ, დაზიანებული ინსულარული აპარატის აღდგენის მიზნით, საკუთარი ჭიპლარის სისხლით 10 ბავშვს მიუნჰენის ტექნიკური უნივერსიტეტის ექიმებმაც უმკურნალეს. სულ ახლახან კი ჩიკაგოს უნივერსიტეტის მეცნიერებმა პირველი ტიპის დიაბეტით დაავადებულ 15 პაციენტს ჩაუტარეს მკურნალობა ე.წ. ღეროვანი უჯრედების აღმზრდელში (Stem Cell Educator), რომელშიც ღეროვანი უჯრედები პაციენტის ლიმფოციტებს „ასწავლიან“, აღარ დააზიანონ ინსულარული აპარატი. სისტემა წარმოადგენს ინსტრუმენტს, სადაც გამოყენებულია ჭიპლარის სისხლის ღეროვანი უჯრედები, რომლებიც მშკრივებად არიან განლაგებული ბრტყელ მედაპირზე. მათზე მოძრაობენ პაციენტის ლიმფოციტები, რომლებიც ჭიპლარის სისხლის ღეროვან უჯრედებს ეხებიან. ღეროვანი უჯრედები კი ზედაპირული სასიგნალო მოლეკულებით და სეკრეტირებული ნივთიერებებით იმგვარად „ანათლებენ“ და არეგულირებენ ზემოთ ჩამოთვლილ ლიმფოციტებს, რომ ეს დადებითად აისახება დიაბეტის მიმდინარეობაზე. ამგვარად „განათლებულ“ და „გაწვრთნილ“ ლიმფოციტებს პაციენტის ორგანიზმში აბრუნებენ. მკურნალობის შედეგად პაციენტებს სისხლში გლუკოზის მაჩვენებელი გაუმჯობესდა, ასევე შემცირდა ინსულინის მოხმარება, რადგან შინაგანი ინსულინის გამოუმუშავება გაიზარდა. და ეს მოხდა იმ პაციენტების შემთხვევაშიც, რომელთაც საერთოდ აღარ ჰქონდათ ინსულინის შინაგანი სინთეზის უნარი.

თანამედროვე მედიცინას მნიშვნელოვანი ექსპერიმენტული კვლევების შედეგად აღმოჩენილი მექანიზმები აძლევს იმის ფიქრის საფუძველს, რომ ეს მეთოდი მალე ეფექტიანად შეებრძოლება პირველი ტიპის შაქრიანი დიაბეტს. შესაბამისად, საკუთარი ჭიპლარის სისხლის შენახვა ჩვილისთვის კარგ შანსს იძლევა, რომ მომავალში მისი გამოყენებით წარმატებით მოხდეს დიაბეტით დაავადებული ბავშვების მკურნალობა.



## GANGSTER SQUAD

**რეჟისორი** რუბენ ფლეიშერი  
**როლებში** რაიან გოსლინგი, შონ პენი, ემა სთუნნი, ნიკ ნოლტი.  
**ჟანრი** რაიან გოსლინგი, შონ პენი, ემა სთუნნი, ნიკ ნოლტი.

სიუჟეტი ვითარდება 1949 წელს ლოს ანჯელესში. ერთი დაჯგუფების ლიდერი მიკი კონი ძალიან ბოროტი ადამიანია, მას მთელი ქალაქი ხელში უჭირავს და ფულს შოულობს პრესტიჟში, ნარკოტიკებისა და იარაღების გაყიდვაში. მას არა მარტო მისი ხელქვეითები, არამედ პოლიციელები და პოლიტიკოსებიც იცავენ....



## LES MISÉRABLES

**რეჟისორი** ტომ ჰუპერი  
**როლებში** ჰიუ ჯეკმანი, რასელ ქროუ, ენ ჰეტეუეი, ამანდა სეიფრიდი

**ჟანრი** მიუზიკლი, დრამა, მელოდრამა  
 მეცხრამეტე საუკუნის ბოლო. ევროპა რევოლუციის პირას დგას. ჟან ვალჟანს პატიმრობა აქვს მისჯილი და იძულებულია სასტიკ სამართალს დაემალოს. პარიზის პოლიციის დეპარტამენტის უფროსი მის დაჭერას თავისი ცხოვრების მთავარ საქმედ მიიჩნევს. ჟანის შეყვარებულის დაღუპვის შემდეგ, მისთვის ერთადერთი ახლობელი ადამიანი მისი ქალიშვილი კოზერია, ის ყველაფერზე წავა გოგონას ბედნიერებისთვის...



## A GOOD DAY TO DIE HARD

**რეჟისორი** ჯონ მური  
**როლებში** ბრიუს უილისი, ჯეი კორტინი  
**ჟანრი** კრიმინალური, თრილერი  
 ახალ ფილმში ჯონ მაკკლეინი რუსეთში მიემგზავრება თავისი შვილის, ჯეკის ცხიდან დასახსნელად...



## ZERO DARK THIRTY

**რეჟისორი** ქეთრინ ბიგელოუ  
**როლებში** ჯესიკა ჩესტეინი, ჯეისონ კლარკი  
**ჟანრი** ისტორიული, დრამა, თრილერი  
 ფილმში აღწერილია №1 ტერორისტის, უსამა ბინ ლადენის დაკავების ოპერაცია, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების სპეცსამსახურმა ჩაატარა.



## ESCAPE FROM PLANET EARTH 3D

**რეჟისორი** კალენ ბრუნკერი  
**ჟანრი** ანიმაცია, სათავგადასავლო, კომედია  
 ვარსკვლავთმორისი მოგზაური ჰუმანოიდი უსიამოვნებაში გაეხვევა მას შემდეგ, რაც უცხოპლანეტელების სიგნალ SOS-ს უპასუხებს ...



## LIFE OF PI

**რეჟისორი** ენგ ლი  
**როლებში** სურაჯ შარმა, ირფან კხან  
**ჟანრი** სათავგადასავლო, დრამა  
 მთავარი გმირი აღმოჩნდება ნავში შუა ოკეანეში მოულოდნელ თანამგზავართან ერთად - ბენგალური ჯიშის ვეფხვთან ერთად...



FIGHT. DREAM. HOPE. LOVE.

# Les Misérables

THE MUSICAL PHENOMENON  
CHRISTMAS DAY



# ჭაბა, თითქმის სექსი და ქორნილი

ავტორი ღვინო ბუხრიძე

ყველაზე რეიტინგული სერიალის – „ჩემი ცოლის დაქალების“ ფეხდაფეხ, რეჟისორმა გიორგი ლიფონავამ სრულმეტრაჟიანი ფილმი სახელწოდებით „ჩემი ცოლის დაქალის ქორნილი“, ძალდაუტანებლად გამოაცხო. ამისათვის მას მხოლოდ დეკემბრის 25 დღე დასჭირდა! ავი ენები ამბობენ, რომ ეს კარგი ცხოვრებით არ ყოფილა ნაკარნახევი და კონკრეტულ დროში „გასროლა“ საპროდიუსერო კომპანია „ფორმულა კრეატივს“ სახელმწიფო ვალის დასაფარად, ექსტრემალურ ვითარებაში დასჭირდა. მაგრამ ეს უკვე სხვა „სერიალის“ თემაა.

ჭირვეული კატოსა (ნინო გაჩეჩილაძე) და მოურჯულებელი დიტოს (კოტე თოლორდავა) ოცნლიანი ურთიერთობა როგორც იქნა, ქორნილებით მთავრდება, სახალისო პერსონაჟებით დამატებულ-გამდიდრებულმა „ქორნილმა“ იანვარში თითქმის მთვლემარე „ამირანი“ და „რუსთაველი“ (პლუს საქართველოს სხვა დიდი ქალაქების კინოთეატრები) უკვე გამოაფხიზლა და მათ საკმაო მოგებაც მოუტანა.

განსხვავებული ასაკის, სოციალური ფენისა და ესთეტიკური შეხედულების ადამიანთა გულის მოგება ძნელია. მით უმეტეს, როცა სერიალის მთავარი გმირების – კატოს, ნინასა და თინას „სამზარეულოს“ ამბების ცოდნა მაყურებელს წინასწარ მოეთხოვება; ისევე როგორც, სხვა პერსონაჟე-

ბის ურთიერთობათა ლაბირინთში გარკვევა. ალბათ, ეს ფილმის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ნაკლია და იმის დასადგენად, თუ ვინ ვინაა (განსაკუთრებით ფილმის პირველ ნახევარში), მაყურებელს დიდი დრო და ძალისხმევა ეხარჯება.

დიდი ეკრანისთვის ადაპტირებული იუმორი არ არის ურიგო და ბლაგვი. ფრაზები თვალსაჩინო და დასამახსოვრებელია (მაგ: „ვერა დიდა, ყველას ვერ გაიცნობ“, „ხო იცი, ქორნილი ჩხუბის გარეშე არ არსებობს“, „მე რა ვქნა, მე“, „ეს პროსტო პლანია, წამალი კი არა“). თუმცა გამორჩეული მაინც ფინალური ფრაზაა, რომელსაც ლევან ყოჩიაშვილის პერსონაჟი უკვე არეულ-დარეული ქორნილის ბოლოს ამბობს: „ხალხო, მომისმინეთ, მაპი მოგვცეს!“

ქართული ტრადიციული ქორნილი ფანტაზიას უსაზღვრო გასაქანს აძლევს. ეს სცენარისტმა ქეთი დევედარიანმა კარგად უწყის და რეჟისორმაც, ამიტომაც შანსს ხელიდან არ უშვებენ. გაშარყებულია ყველა და ყველაფერი: ტრადიციული, სიყალბით გამორჩეული თამადითა თუ კლასიკური ტიპის დედამთილით დაწყებული, სასულიერო პირებითა და რუსეთში გადახვენილი, საშუალო ასაკის მამაკაცებით დამთავრებული. როგორც ნესი, მათ საშუალო სტატისტიკურ „ლუდასთან“ შვილები ჰყავთ. მერე ეს შვილები „შემთხვევით“ საქორნილო

„ექსკურსიაზე“ საქართველოში ჩამოდიან, სადაც ნახევარდღის ყოფილ ქმრებთან რომანს აბამენ...

თუ „ფორმულა კრეატივისა“ და გიორგი ლიფონავას ერთობლივ ნაღვანს გავიხსენებთ (განსაკუთრებით ფილმს „ჭამა და სექსი“), გასაგები გახდება მათი მიზანი – შექმნან საზოგადოების ერთგვარი მარტივი, ირონიული და სოციალური თრემ-პორტრეტი. ახალ ფილმშიც ყველაფერი ოდნავ პრიმიტიულად, ცხადად, ირონიულად, ტვინის ჭყლეტისა და განსაკუთრებული ესთეტიკური ჩაღრმავების გარეშეა მოწოდებული. ფილმის უპრეტენზიო და „ბრტყელი“ სატელევიზიო ესთეტიკა ადვილად საცნობია. ის გაზავებულია უკვე კარგად „დაბეგვილი“ იუმორით, პოლიტიკურად მკრთალი, მაგრამ მაინც საგრძნობი სარკაზმით და საკმაო მოცულობის სოციალური „თრემით“.

კონკრეტულ შემთხვევაში კი ჭამა გაცილებით უფრო ბევრია, ვიდრე სექსი; ხოლო კატოსა და დიტოს ქორნილი რამდენიმე შავი BMW-სა და ქათქათა სუფრის თანხლებით, სულაც არ ჰგავს რობერტ ოლტმანის „ქორნილს“, რომელშიც ასევე უთვალავი პერსონაჟია. კარგი იქნება, თუ ჩვენი პუბლიკა გემოვნებს გაივარჯიშებს და 1978 წელს გადაღებულ ოლტმანის შედევრსაც ნახავს... ყველა ქორნილი და ოჯახი ერთნაირად უბედური რომ არ ეგონოს.

კოპე  
მარჯანიშვილის  
სახელოვის  
სახელმწიფო  
დრამატული თეატრი

2 + 1 და 3 + 2

მარჯანიშვილის ქ. №8

სალარო მუშაობს ყოველ დღე 12:00 – 20:00

შესვენება 15:00 – 16:00


ტელ.: +995 32 2955 966 / 247 57 68 (სალარო)

+995 32 295 35 82 (საინფორმაციო)

ფაქსი: +995 32 295 40 01

[www.marjanishvili.com](http://www.marjanishvili.com)

[www.facebook.com / MARJANISHVILIDRAMATHEATRE](http://www.facebook.com/MARJANISHVILIDRAMATHEATRE)





# შეგია ლაე

ღვინთ დოიფვიღმე შექსპირის უკვღვ კოფედიფს სეღვღ, ეროტიფიფი დღ შოქენი დღუფეღ

ფვტორი დღვინთ ზუზრიქიქი

ყოველთვის ასეე, კრიზისს, უიმედობასა და აპათიას ისევ შექსპირული თერაპია უხდება. დიდი ბარდის და პოეტის ერთ-ერთი ყველაზე ამოუცნობი და მისტიკური კომედია „(შუა)ზაფხულის ლამის სიზმარი“ (პიესა 1595-96 წლებში დაინერა და ინგლისის დედოფალს, ელისაბედ პირველს მიეძღვნა) რეჟისორმა დავით დოიფვიღმა დეკემბრის ბოლოს მუხიკისა და დრამის თეატრში დადგა; სწორედ მაშინ, როცა სოციალური და პოლიტიკური ვენებები, ფიზიოლოგიის ტერმინი რომ გამოვიყენოთ, „აღზნების ფაზიდან“ ნელ-ნელა გადავიდა „მოსვენების“, ანუ აპათიის ფაზაში.

ნებისმიერი ოცნებიდან რეალობაში დაბრუნება გამოფხიზლებით სრულდება. თვით ყველაზე ფანტასმაგორიული და ხმაურიანი კარნავალის შემდეგ, საგანგებოდ შეკერილ კოსტიუმებს კარადამი კიდებენ და ჩავლილი დღესასწაული მოულოდნელად უცნაური სიმწკარტის თუ სევდის შეგრძნებას გვიტოვებს.

ალბათ, მომწარო-რომანტიკულ-პირქუმ შთაბეჭდილებას მოახდენს მაცურებელზე დავით დოიფვიღის აქრომატული, შავ-თეთრი გამით ნაქსოვი „სიზმარიც“. თითქ-

მის სამი საათის განმავლობაში რეჟისორი გამყოფებით ორბუნებოვანი გრძნობების, მოულოდნელი სიურრეალისტური თავგადასავლის, ბნელი ტყისა და, ზოგჯერ, უკიდურესი ვენებები დამუხტულ ლაბირინთში. თუმცა, ათენის ტყეში დაკარგულ პერსონაჟებს და ნაპოვნ სიყვარულს ოდნავ ქვემოთ დავუბრუნდებით...

დავით დოიფვიღისთვის, რომელიც მიხეილ თუმანიშვილის მონაფეა, ეს პიესა გასაგები ისტორიული დამლითაა აღბეჭდილი. ცნობილია, რომ თუმანიშვილმა „ზაფხულის ლამის სიზმარი“ ორჯერ დადგა: პირველად 1964 წელს, რუსთაველის თეატრში, რომელიც რატომღაც წარუმატებელი აღმოჩნდა და მალევე მოიხსნა თეატრის რეპერტუარიდან; და მოგვიანებით, უკვე 1990-იანი წლების დასაწყისში, როცა ქვეყანა ტოტალურმა ნგრევამ და ქაოსმა მოიცვა. მეორე დადგმა გაცილებით ილბლიანი გამოდგა და 1994 წელს, ლონდონში, გასტროლებზე მყოფ კინოსახიობთა თეატრს ფანტასტიკური წარმატება ხვდა წილად.

დოიფვიღის წარმოდგენაში პარალელურს დიდ მასწავლებელთან ერთი შეხედვით ვერ იპოვით. მიხეილ თუმანიშვილის „სიზ-

მარი“ ყველაზე პირქუმ ეპიზოდებშიც კი სინათლესთან გაბაასებას ჰგავდა; მაგალითად, მფორულ ტონალობაში შესრულებულ იმპროვიზებულ ცეკვას უღრან ტყეში (სპექტაკლში მენდელსონი უღერდა). დოიფვიღის ნორჩი წყვილები კი – ჰერმია და ლისანდრე (ანა ნერეთელი და ლევან კახელი), ელენე და დემეტრიოსი (ანა ალექსიშვილი და გიგი ქარსელაძე) ყველაზე გულწრფელ მონოლოგებსა და პოეტურ აღსარებაშიც თითქოს დაკარგულ სიყვარულზე მოთქვამენ, სადღაც გარბიან, ბორგავენ. მათ ამაში შოპენის საფორტეპიანო კონცერტიც „ემბარებათ“, რომელიც დროდადრო რეფრენივით უღერს. მათთვის მთელი სამყარო თითქოს შავი დაფებითაა აჭედილი, საიდანაც გასასვლელი არ ჩანს. აღსანიშნავია, რომ სცენოგრაფია და მხატვრობა დავით დოიფვიღს ეკუთვნის. ხოლო თუ გარკვეულ პარალელსა და მსგავსებაზე მიდგება საქმე, დოიფვიღის სპექტაკლი უფრო სახელგანთი პოლონელი რეჟისორის, კუმბოტოფ ვარლიკოვსკის მიერ დადგმულ შექსპირულ „სიზმარს“ ჩამოჰგავს – ერთგვარი ჰიპნოზურობით, ირონიისა და სისასტიკის მონაცვლეობით, ვენებების სიბლანტითა



და პლასტიკური ფსიქოზით, დაუგეგმავი წვრილმანი შურისძიებით და, საბოლოოდ, პატიების სურვილით.

თეზვისა (კახა კინწურაშვილი) და მისი ერთგული შემსრულებლის, პაკის (არჩილ სოლოლაშვილი) შურისძიება არც ისე უმტკივნეულოა, როგორც შექსპირის ტექსტში ჩანს. ეს კარგად ნაფიქრ, ჯოჯოხეთურ გავარჯიშებას ჰგავს. და როცა მაყურებლის თვალწინ, ხელმეპყრული იპოლიტა (ზუბა გოგორიშვილი) პირველსავე ეპიზოდში ჩნდება, ბუნებრივად იბადება კითხვა – სად იმალება მრისხანების სათავე? ნუთუ იპოლიტა მართლაც მოლაღატაა და ეს მხოლოდ თეზვისის პრიმიტიული სასჯელია?..

რეჟისორი ამ სპექტაკლით სრულიად სხვაგვარ ვიზრაციას იღებს შექსპირის ტექსტისგან; შეხების სხვა წერტილებს პოულობს; პერსონაჟთა ქცევის მოტივების სხვა ასსნა შემოაქვს. სამწუხაროდ, ქვეტექსტი და დეტალები დროთა განმავლობაში ჩაიკარგა ამ უკვდავი კომედიის გაცვეთილ შრეებში. თუმცა სახალეს მეტყველად წარმოდგენთ ვახტანგ ჭელიძის შესანიშნავად ადაპტირებულ, თანამედროვე თარგმანში (ადაპტირებული ტექსტის ავტორი მანანა ანთაძე). ეს არამხოლოდ ეხმარება რეჟისორს, არამედ გარკვეულ მინიშნებასაც სთავაზობს – უფრო თავისუფლად და ორაზროვნად მოეპყროს ტექსტს.

თანამედროვე ოფისის მოძრავი სავარძლები, შავი დაფებით შექმნილი სივრცე და განტვირთული დიზაინი მსახიობებს სრულ

თავისუფლებას უტოვებს. მაგალითად, პაკს შეუძლია გორგოლაჭებიანი ციგურებით შემოსრილდეს, მერე „ემშაკის ბორბალს“ მოაჯდეს, სიგარეტი მოწიოს, მიკროფონი აილოს და შოუს ნამყვანი გახდეს... მოკლედ, იცეკვოს და თან უდარდელი მონოლოგი წარმოთქვას – „აღმა-დაღმა, აღმა-დაღმა, დავნანალებ აღმა-დაღმა“... ტყეში გაქცეულ უიღბლო შეყვარებულთა კვარტეტს (ჰერმია, ელენე, ლისანდრე და დემეტრიოს) კი, პირველი აქტის ბოლოს, რეჟისორისა და ქორეოგრაფის (კოტე ფურცელაძე) მიერ მოფიქრებულ 20-წუთიან, შესანიშნავ ეპიზოდში გამაგებულ რიტმში შეუძლია სინქრონულად იმოძრაოს.

ეპიზოდი, როდესაც ჩემოდნებითა და ქოლგებით „აღჭურვილი“ ჰერმია, ლისანდრე, ელენე და დემეტრიოსი ტყეში გარბიან, მახვილგონივრულობასა და სიმსუბუქეს მატებს წარმოდგენას, ხოლო ელენეს მოულოდნელი ჩართვა „სკაიპის“ მეშვეობით (რასაც მაყურებელი სცენის სიღრმეში დამონტაჟებულ ეკრანზე ხედავს) – მეტსიხალისეს და ირონიას. ხატოვანი და პლასტიკურია ახალგაზრდა მსახიობთა მიერ შესრულებული ჰერმიასა და ლისანდრეს „სარცევის“ სცენა, როდესაც დაღლილებს, ერთმანეთის გვერდით ჩაეძინებათ. ასევე, ელენესა და დემეტრიოსის დევნის სცენა, კედელზე დამაგრებული „ველოსიპედების“ დახმარებით.

წარმოდგენის ერთ-ერთი ძირითადი ხაზია ხელოვნების მზადება სპექტაკლისთვის

და მისი ჩვენება სასახლეში. სხვათა შორის, ეს ეპიზოდი შექსპირს ოვიდიუსისგან აქვს ნასესხები (პირამოსისა და თისბეს ტრაგიკული სიყვარულის ისტორია), რომელსაც კომმა (ტატო ჩახუნაშვილი), კოჭა (ბადრი ბეგალიშვილი), სტივია (ალეკო ბეგალიშვილი), კობტაპრუნა (ნატა ბერეჟიანი), კნაჭა (გიორგი ტორიაშვილი) და დრუნა (გიორგი ბახუტაშვილი) გაითამაშებენ. ამ ექვსი „მოხეტიალე პერსონაჟიდან“ ყოველ მათგანს საკუთარი ელფერი და აქტიორული ინტონაცია აქვს მოძებნილი, თუმცა ბადრი ბეგალიშვილის მიერ განსახიერებული კოჭა მაინც გამორჩეულია. მსახიობები საკუთარი ინტერმედით წარდგებიან თეზვისსა და იპოლიტას საქორწინო ცერემონიაზე. თუ გაეხსენებთ, რომ შექსპირის „შუა“ზაფხულის ლამის სიზმარიც“ სასახლის კარზე საქორწინო ცერემონიისთვის წარმოსადგენად დაწერილი პიესაა, გასაგები გახდება პრინციპი: თეატრი თეატრში. როცა მოყვარული მსახიობები, ფაქტობრივად, საქორწინო ინტერმედიას ასრულებდნენ.

სპექტაკლი პაკის გაფრთხილებით მთავრდება: „და რაც აქ ნახეთ, სიზმარი იყო“, თუმცა დასაწყისსაც და დასასრულსაც დამცავი ჯეპირივით არტყია შექსპირის ყველაზე ცნობილი 66-ე სონეტი („ყველაფრით დაღლილს სანატრელად სიკვდილი დამრჩა“), რაც სპექტაკლის დასრულებული ესთეტიკის ფონზე სრულიად ზედმეტი მეჩვენება. თუმცა გააჩნია, ვის როგორ; ვილაცისთვის ეს ალბათ აღმოჩენა იქნება.



## რატველი და რატველივპილი „ჯადოქროზის“ ნანბრევეზში

ავტორი ღავით ზუსრიკიძე

ვეგენი მიქელაძის სახელობის ეროვნული მუსიკალური ცენტრი ყურადღების ცენტრში, ამჯერად, ანიტა რატველიშვილის კონცერტის გამო მოექცა. 28 წლის ბრწყინვალე მეცოსოპრანო, რომელიც ზედიზედ იპყრობს მსოფლიო საოპერო სცენებს და რომელსაც დაახლოებით ორი წელია, თბილისში არ უმღერია, ისევე კარმენის იმიჯითა და შავ-წითელი კაბით წარსდგა პუბლიკის წინაშე.

ცივ, გაურემონტებელ და მოუწყობელ დარბაზში, პალტოებსა და ქურთუკებში გამოწყობილი მელომანები, სასულიერო პირები, პოლიტიკოსები, მუსიკასთან დამეგობრებული ნორჩები, უცხოელი სტუმრები თუ გამოუტირებელი საბჭოთა ინტელიგენტები ისხდნენ. კონცერტი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის აღსაყდრებიდან 35 და დაბადებიდან 80 წლისთავს მიეძღვნა.

რეპერტუარი, ამ საიუბილეო თარიღის გათვალისწინებით, ოდნავ სიურრეალისტურად აღიქმებოდა: ბიზე-შქედრინის „კარმენ-სიუიტა“, „ნაბანერა“ და „სევედილია“ უშუალოდ ბიზეს „კარმენიდან“, იმპრესიონისტი ესპანელი კომპოზიტორის, მანუელ დე ფალიას საბალეტო-სასიმფონიკო

ოპუსი „სიყვარული-ჯადოქარი“ (1915) და მორის რაველის საპროგრამო „ბოლერო“...

კონცერტს ამკარად დაჰკრავდა ესპანური „ჩილის“ გემო. ვნება, კიჩი და ეროტიზმი მასში თითქოს გაერთიანდა. ამას თან დაერთო ნიკოლოზ რატველის სიურპრიზებიც, რომელმაც ახალგაზრდული სიმებიანი კვარტეტისა და ჩასაბერი ინსტრუმენტებისგან შემდგარი კამერული ორკესტრის შექმნის შესახებ გვაუწყა; ხოლო კონცერტის ბოლოს, ნახევრად დანგრეული ეროვნული მუსიკის ცენტრის რემონტის აუცილებლობაზე თავად ანიტა რატველიშვილმა ისაუბრა. თითქმის ისევე მგზნებარედ, როგორც კარმენს მღეროდა.

ახალგაზრდა მეცოსოპრანოს მსუყე ხმა ნახევრად გაუთბობელ დარბაზს ავსებდა და თითქოს ათბობდა კიდეც. ორი წლის განმავლობაში მისი ვოკალური შესაძლებლობა ამკარად გაიზარდა და დაიხვეწა: კიდეც უფრო ძლიერი ხმა აქვს, ვიდრე ადრე; უფრო დახვეწილი ფრაზირებით მღერის, უშუალოდ, ძალდაუტანებლად და საკუთარ თავში დარწმუნებული. ცხადია, მისი ვნებიანი მღერა კარმენის ხატისკენ გიბიძგებთ და ეს გასაგებიცაა. ბოლო სამი წლის განმავლობაში, 2009 წლის დეკემ-

ბრიდან მოყოლებული (მაშინ „ლა სკალას“ სეზონის გახსნაზე პირველად იმღერა ემადანტეს დადგმაში), ვიდრე დღემდე, ანიტა რატველიშვილმა კარმენის პარტია დაახლოებით 300-ჯერ შეასრულა!

ვერ ვიტყვოდი, რომ ბატონი „მემანიკა“ (წლების წინ სწორედ ასე უწოდებდა თავის თავს ნიკოლოზ რატველი) გულმოდგინედ არ ღირიყობოდა, პირიქით, ზედმეტად მონდომებულიც კი ჩანდა. თუმცა, მისი არტისტული უნეტები განახლებულ და გაახალგაზრდავებულ ორკესტრზე მაგიურად ვერ მოქმედებდა და ორკესტრი მაინც სტუდენტური ნაკრების შთაბეჭდილებას ტოვებდა.

კონცერტის ბოლოს, მუსიკალური ცენტრის გადასარჩენად თუ გასარემონტებლად სპეციალური ფონდის დაარსების შესახებ განცხადება ხადურ-ალასანია-ფანჯიკიძის გასაგონად უფრო გაისმა, რადგან კონცერტს სამივე ესწრებოდა. არც იმას გამოვიციხავ, რომ ანიტა რატველიშვილმა თავის თავზე აიღო ინიციატივა და საზოგადოებას სწორედ საჭირო დროსა და საჭირო სივრცეში ამცნო ამის შესახებ. ყოველ შემთხვევაში, მქუხარე ტაში ამის დადასტურებას ჰგავდა.





სხვა საქმეა მილიარდერი პრემიერის თანაპარტიელები და მეგობრები გაიკრავენ თუ არა ჯიბეზე ხელს. როცა შენობა გარემონტდება, იმედია, ეგვენი მიქელაძის სახელობის ორკესტრისგან უფრო სხვა ხარისხის მუსიკას მოვისმენთ, ვიდრე ბიზე-შჩედრინია, ან მოთელილი „ბოლერო“. ამასობაში კი ბატონი რაჭველიც სათანადოდ მომწიფდება და დიდტანიან სიმფონიებს შეეჭიდება.

„კარმენი“ რასაკვირველია, ყველაზე ზუსტად შეესაბამება ანიტა რაჭველიშვილის ხასიათს, ვნებას, ტემპერამენტსა და ხმის თავისებურებებს. ეს განსაკუთრებით კარგად იგრძნობოდა პირველ განყოფილებაში შესრულებულ „სეგიდილიაში“. „ანიტას დრამატული მეცო და დახვეწილი ვოკალური კულტურა აქვს. ვებინა ხმა, კარგი სმენა, სუფთა ბგერა. ერთადერთი პრობლემა დაბალი რეგისტრია; ჯერ კიდევ იგრძნობა, რომ რესურსი ბოლომდე არ არის გამოყენებული. ჯერჯერობით არ ვურჩევდი ვერდისა და ვერისტულ ოპერებში სიმღერას. ხმა ჯერ დასახვეწია და ფორსირება, ძალდატანება მას მხოლოდ ავნებს. აჯობებს, შედარებით მსუბუქი პარტიები შეარულოს. მაგალითად, როსინისა და მოცარტის ოპერებში“, – აღნიშნავს კონსერვატორიის ვოკალური ფაკულტეტის კათედრის პროფესორი, მომღერალი გულიკო კარიაული.

გასული წლის შემოდგომაზე ანიტა რაჭველიშვილის დებიუტი „მეტროპოლიტენ ოპერაში“ წარმატებული აღმოჩნდა. „დასაწყისი უფრო გენერალურ რეპეტიციას ჰგავდა, მაგრამ მეორე აქტში, როდესაც რაჭველიშვილი გამოჩნდა, ყველაფერი შეიცვალა. სცენაზე ნამდვილი ცეცხლი დაინთო, როდესაც მისი ხმა გაისმა“, – ეს „ნიუ იორკ პოსტის“ კრიტიკოსის შეფასებაა.

2013 წელს ისევ მიიწვიეს „მეტროპოლიტენში“. ამჯერად, „კარმენის“ გარდა, მუსორგსკის „ბორის გოდუნოვსა“ და ბოროდინის „თავად იგორში“ იმღერებს. მისში მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო პრემიერა ელის დეტროიტის „მიჩიგან ოპერაში“, სადაც ამნერისის პარტიას შეასრულებს „აიდაში“. შემოდგომაზე ბერლინის „შტატსოპერაში“ მას მაცეტრო დანიელ ბარენბოიმი ელის, რომელმაც ერთგვარი ექსპერიმენტი მოუწყო ლუბაშას ურთულესი პარტიით რიმსკი-კორსაკოვის „მეფის საცოლემი“.

ანიტას კარიერაში დირიჟორმა დანიელ ბარენბოიმმა უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა. სწორედ მისი დაჟინებული თხოვნით დაამტკიცა რეჟისორმა ემა დანტემ „ლა სკალაში“ კარმენის როლზე, არადა თავიდან მეორეხარისხოვანი პარტია უნდა ემღერა. წარმატებულმა დებიუტმა ანიტა რაჭველიშვილს ყველა საოცნებო კარი გაუღო – ვენა, პარიზი, ბერლინი, ნიუ იორკი, ლონდონი.

მიუხედავად იმისა, რომ საოპერო დივების გარეგნობაზე, კონკურენციასა და ქიშპობაზე უამრავი ჭორ-მართალი ინერება, ანიტა მშვიდად უყურებს ტაბლოიდების „გარჯას“. არც მას და არც მის იტალიელ მეუღლეს, რიკარდო მასის, რომელიც ასევე საოპერო მომღერალია, ამისათვის დრო არ რჩებათ. სხვათა შორის, მასში ერთად იმღერებენ დეტროიტის საოპერო სცენაზე დადგმულ „აიდაში“, რომელშიც რიკარდო მასი რადამესის პარტიას შეასრულებს.

იმ მეცოსოპრანოთა შორის, რომლებიც დღეს საოპერო სცენებს იპყრობენ (ამერიკელი ჯოს დიდონატო, ლატვიელი ელინა გარანჩა, ბულგარელი ვესელინა კაზაროვა, სლოვაკი მაგდალენა კოზენა, იტალიელი ანა-კატარინა ანტონაჩი), ანიტა რაჭველიშვილს გამოარჩევს, პირველ რიგში, ძლიერი, მყდერი, სავსე, ლამაზი ტემბრით გამორჩეული ხმა... და ლამის კლასიკური მითიც, რომლის მიხედვითაც საოპერო ვარსკვლავი მაღალი, სრული, ამაყი და ფორმებით გამორჩეული ქალბატონია. დაახლოებით ისეთი, როგორც ლეგენდარული შვედი სოპრანო ბირგიტ ნილსონი, ან მეცოსოპრანო ფიორენცა კოსტო. ეგვენი მიქელაძის სახელობის ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში მისი მღერა მართლაც „ჯადოსნობას“ ჰგავდა... უფრო ზუსტად, ჯადოსნურ მღერას კარგა ხნის გასარემონტებელ ნანგრევებში.



## სხრა პიესა იმედით და უიმედოდ დამსხვრეულ ქალაქობაზე

ავტორი ღვინო ბუხრიკიძე

თუ ნებისმიერი ფორმის ძალადობის წინააღმდეგ კამპანიას, ანუ მარტივად რომ ვთქვათ – გალაშქრებას, საზოგადოებაში გამომხატურება მოჰყვება და შედეგი მოაქვს, ეს ნიშნავს, რომ მიზანი, ნაწილობრივ მაინც, მიღწეულია.

გაეროს ქალთა ორგანიზაციის, კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის, კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ერთობლივი ინიციატივა მიზნად ისახავდა საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას ქალთა მიმართ ძალადობის, კერძოდ, ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ და ამ საკითხის ირგვლივ საზოგადოებრივი დისკუსიის ხელშეწყობას. ინიციატივა გაეროს ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისათვის საქართველოში“ ფარგლებში განხორციელდა, რომელსაც ფინანსურ მხარდაჭერას უწევს შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (Sida).

კონკურსში ოცამდე დრამატურგი მონაწილეობდა, რომელთა პიესებიდანაც, საბოლოოდ, ცხრა შეირჩა: გურამ მეგრელიშვილის „როგორ გავაკეთოთ ბიჭი“, ზურაბ პაპიაშვილის „შვიდი სიზმარი“, დავით გაბუნიას „რამდენიმე დამამძიმებელი გარემოება“, დათო ტურაშვილის „დოდოს მოლოდინში“, ერეკლე დეისაძის „Facefact“, ირმა ტაველიძის „მაქსს უყვარს მარია“,

სანდრო კაკულიას „ხიდზე წვიმს ან ცრის“, ალექს ჩიღვინაძის „სიკვდილის დღის საჩუქარი“ და მიხო მოსულიშვილის „ჩემო მეფოლია“.

ქალთა მიმართ ძალადობის თემაზე შექმნილ ამ ნაწარმოებებს შორის კი ყოფრიმ საუკეთესოდ სანდრო კაკულიასა და დავით გაბუნიას პიესები დაასახელა. გურამ მეგრელიშვილის „გავაკეთოთ ბიჭი“ კი გაეროს ქალთა ორგანიზაციის სპეციალური სიგელით დაჯილდოვდა. აღსანიშნავია, რომ კონკურსში მონაწილე პიესებს მარჯანიშვილის თეატრის მსახიობები ფოიეში საჯაროდ, თეატრალურად, კრიტიკოსების და რეჟისორების თანდასწრებით კითხულობდნენ. გაეროს ქალთა ორგანიზაციამ, გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 15-დღიანი კამპანიის ფარგლებში, ცხრავე ქართველი თანამედროვე დრამატურგის მიერ ძალადობის თემაზე შექმნილი პიესების კრებული წიგნადაც გამოსცა. სახელწოდებაც შესაბამისად, მარტივად და დასამახსოვრებლად უწერს: „9 პიესა და ძალადობა“.

ცხადია, ნებისმიერი ლიტერატურული კონკურსი უამრავ სუბიექტურ ფაქტორებს გულისხმობს: პრობლემის სოციალურ სიმძაფრეს, კონტექსტის გათვალისწინებას, საავტორო ენას, გემოვნებას და ა. შ. უკვე წიგნის გაცნობის შემდეგ ეს ფაქტორები გაცილებით უფრო თვალსაჩინოა. ნაწილს

აღბათ უფრო მოენონება დათო ტურაშვილის ირონიული გადაძახილი ბეკეტთან (პიესის სათაურია „დოდოს მოლოდინში“) და საზღვარგარეთ სამუშაოდ წასული ქალების პრობლემა; ვილაცას კი ერეკლე დეისაძის საგანგებოდ გაცხადებული ეპატაურობა და სითამამე მოხიბლავს. მის პიესაში Facefact ლტოლვილების თემა და სექსუალური ძალადობა ერთმანეთთან ლამის გართიმულია.

ფორმის თვალსაზრისით არანაკლებ საინტერესოა ალექს ჩიღვინაძის პიესა, რომელშიც მოქმედება ექსპერიმენტულ ციხეში ხდება. თუმცა საბოლოოდ, ყოფრი მაინც დავით გაბუნიას მახვილგონივრულმა სოციალურმა ირონიამ და აბსურდის ენამ მოხიბლა. რაც შეეხება სანდრო კაკულიას უცნაურ და პოეტურ პიესას („ხიდზე წვიმს ან ცრის“) ახალგაზრდა, ქარაფშუტა და ოდნავ თავხედი ქართველი ახალგაზრდისა და 40 წლის ავსტრიელი ქალბატონის ურთიერთობას ასახავს, მოქმედება კი ვენაში ხდება...

დაბოლოს, პიესების კრებული დაიბეჭდა თუ არა, რეჟისორმა და მხატვარმა ნინო მალაკელიძემ გადაწყვიტა, ზურაბ პაპიაშვილის „შვიდი სიზმარი“ მარჯანიშვილის თეატრის სხვენში დადგას, რაც იმას ნიშნავს, რომ ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგემა.

სხად  
უმ

ენ  
სტილი

მოდის ისტორია  
დიორი ფერეჯის შესახებ

ისტორია  
RODARTE-ის ეფექტი

სხოვრების სტილი  
HI-TECH მოდა



„სტილის“ რუბრიკის ახალ ნომერზე მუშაობისას ყველაზე მეტად თემების შერჩევა მიძნელდება. არც იდეების ნაკლებობას განვიცდი და არც ინდუსტრიაა მდორე ან უინტერესო. ყველაფერი პირიქითაა: გასახსენებელი და არქივიდან ამოსაღები ისტორია ხომ ბევრზე ბევრია და მიმდინარე სიახლეებსაც თავისდაუნებურად ისევ არქივებთან და მოგონებებთან მივყავართ – ადამიანებთან და ფაქტებთან, რომლებმაც რაღაც უწყვეტს და განსხვავებულს დაუდეს საფუძველი; რომლებიც ათწლეულების თუ ასწლეულების მიუხედავად, მაინც საოცარ სიცოცხლისუნარიანობას ავლენენ.

მეც ვცდილობ, შეძლებისდაგვარად ბევრი რამ „გავისხენოთ“ ისე, რომ თან არც საინტერესო სიახლეები დამრჩეს მიღმა. ამიტომ, ამიერიდან ასე მოვიქცევი: რედაქტორის სვეტს „მოვიპარავ“ და განწყობების დაფად ვაქცევ, სადაც მკითხველთან მიმდინარე თვის შთაბეჭდილებების თუ ემოციების გაზიარებას შევძლებ, მაგალითად, იმის შესახებ, რომ ჯო რაიტის ახალი ფილმის პრემიერას ველი. ტოლსტოის რომანის ამ ახალ ეკრანიზაციას უკვე კრიტიკოსთა დიდი კასტა ჰყავს. ზოგს

კირა ნაითლი არ აკმაყოფილებს ანა კარენინას როლში, ზოგიც ვრონსკის როლის შემსრულებელი 22 წლის ბრიტანელი მსახიობის აარონ ტეილორ-ჯონსონის არჩევანით არის იმედგაცრუებული. ფილმის რეჟისორი კი „თავს იმართლებს“ და ამბობს, რომ ეს ფილმი არა ეკრანიზაცია, არამედ რომანის ადაპტაციაა.

Chanel-ის ბრილიანტებსა და Manolo Blahnik-ის ფესხაცმელებში გამოწყობილი „ანა კარენინას“ ხილვა თბილისის კინოთეატრებში უკვე იანვრის ბოლოდან იქნება შესაძლებელი, აი, Van Cleef & Arpels-ის ძვირფასეულობის მოყვარულებს კი ლეგენდარული სახლის 400-ზე მეტი ექსპონატის დათვალიერება მხოლოდ პარიზში შეეძლება, ისიც – 10 თებერვლამდე. ასე რომ, ვისაც ჩემგან განსხვავებით გაგიმართლათ და ამ პერიოდში საფრანგეთში მოგზაურობა გინევთ, აუცილებლად ეწვიეთ Les Arts Decoratifs-ის მუზეუმს.

იანვარში ორი ახალი წიგნი გამოვიდა, რომლებიც, ჩემი აზრით, მოდის ისტორიით დაინტერესებული ადამიანების ბიბლიოთეკაში აუცილებლად უნდა მოხვდეს. ამერიკული Vogue-ის

შემოქმედებითი რედაქტორის, გრეის ქოლინგტონის მემუარებში, სხვა საინტერესო ფაქტებთან ერთად, 1960-იან წლებში ლონდონში მომხდარ მოდის რევოლუციაზე, ანდრე კურეჟის და პაკო რაბანის დროინდელ პარიზზე და ახალგაზრდა ქელვინ კლაინის და რალფ ლორენის ნიუ იორკზე საუბარი. Rizzoli-ს პრესტიჟული გამომცემლობის ახალი წიგნი სახელწოდებით Bottega Veneta კი, როგორც მიხვდით, ცნობილ იტალიურ ბრენდ Bottega Veneta-ს ეძღვნება, მისი შემოქმედებითი დირექტორის ტომას მაიერის ავტორობით არის გამოცემული და მოდის სახლის ყველაზე შეუმჩნეველი დეტალების (შესაკრავი, არშია, ქობა თუ ელვა) ისტორიას ასახავს. ეს ის უწვრილმანესი ნიუანსებია, რომლებიც საბოლოო ჯამში ამა თუ იმ სამოსის თუ აქსესუარის „დიდ ისტორიას“ ქმნის – ისტორიას, რომლის მთავარი ბირთვიც ერთეული ადამიანების უბადლო ხელობაა, რისი წყალობითაც ვინჩენზეს ქარხანაში წლების განმავლობაში პატარ-პატარა შედეგები იქმნება.

თამარ ალავიძე



გსურთ მიიღოთ VIP მომსახურება აეროპორტში?

მიმართეთ "primeclass" ის CIP სამსახურს.

"primeclass" ი სთავაზობს თავის სტუმრებს განსაკუთრებულ პრივილეგიებს აეროპორტში შემოსვლისთანავე. CIP აგენტი, მებარგულთან ერთად დაეხმარება მგზავრებს აეროპორტში არსებული ყველა საჭირო პროცედურის გავლაში, მათ კი შეუძლიათ მოისვენონ "primeclass" CIP დარბაზებში.

Tbilisi | Tel: 322 310 330 | Fax: 322 310 331 | E-mail: [primeclass.georgia@tav.aero](mailto:primeclass.georgia@tav.aero)  
Batumi | Tel: 422 235 111 | Fax: 422 235 112 | E-mail: [primeclass.batumi@tav.aero](mailto:primeclass.batumi@tav.aero)

TAV Georgia Operation Services LLC. | [www.primeclass.com.tr](http://www.primeclass.com.tr)

  
primeclass  
CIP Service



შაჰოღომა-ზამთარი, 2011

# RODARTE-ის ეფექტი

შუარნალი Vanity Fair,  
2012 წლის მარტი  
ავტორი ევბენია პერასი  
ინგლისურიდან თარგმნა თამარ ალავეიძემ.

შობის წინა კვირას, სალამოს, Rodarte-ის მოდის სახლის დამფუძნებელი ახალგაზრდა დები, ლაურა და ქეით მალივეები, გასართობად აპირებდნენ წასვლას. საგანგებოდ გამოეწვენენ, ყოველ შემთხვევაში, მათი წარმოდგენით. 33 წლის ქეითმა არჩევანი მაღალწელიან ჯინსებზე და Clone Wars-ის კოტონის მაისურზე გააკეთა, 31 წლის ლაურამ კი ნაქსოვ, სპორტულ შარვალზე. ორივეს ლურჯი ფერის მოკასინები ეცვა. გართობის ადგილი? სტივიკაუზი Derby, რომელიც მათ მშობლიურ ქალაქ პასადენასთან ახლოს, არკადიაში მდებარეობს. დრო? 6.30, იდეალური დრო ასაკოვანი ხალხისთვის დროის სატარებლად.

სამოცდაათს გადაცილებულმა, ჩქარი ტემპით მოსაუბრე მიმტანმა ქალბატონმა, რომელსაც ხასხასა ლურჯი ჰალსტუხი და იმავე ფერის დიდი ზომის საყურეები ეკეთა, ქეითის ცხელი თოდი (თოდი ლიქიორის, წყლის, შაქრისა და სანელებლებისგან დამზადებული ცხელი სასმელია – თ.ა.) მაგიდაზე დადგა და საქმეზე გადავიდა – გოგონებს ხელნაკეთი საყურეები გადმოუღა და შეეცადა ეს საქმე შეძლებისდაგვარად სწრაფად და მარტივად მოეგვარებინა: „მაქვს მხოლოდ პიტინისფერი, ოქროსფერი და წითელი ბურთულები!“

მალივეები შეეცადადნენ. „ლაურა, რომელს მიჩვენე?“ – თითებით ისე ეხებოდა ბურთულებს ქეითი, თითქოს ხელში Tiffany-ს ბრილიანტები ეჭირა.

„წითლები მომწონს“, – უპასუხა ლაურამ.

„და ეს თოვლის ფიფქები?“  
„იცი რაა, მოდი ეგ ფიფქები აიღე, იმიტომ, რომ მე წითელს ვყიდულობ.“

„ბოდიში, ისე მომწონს ყველა, რომ არჩევანს ვერ ვაკეთებ“, – მიმტანს მიუბრუნდა ქეითი.

საუბარში მეც ჩავერთე და მიმტანს ავუხსენი, თქვენი სამკაულით ეს ორი გოგონა რომ დაინტერესდა, დიდი ამბავია-მეთქი. ისინი ხომ მსოფლიოს ყველაზე მოდური ახალგაზრდა დიზაინერები არიან. მათმა ავან-



გარდულმა ქმნილებებმა უმაღლესი შეფასება დაიმსახურა და კულტადაც იქცა, საკუთარი ერთგული მიმდევრების მრავალრიცხოვანი ამალით. თაყვანისმცემელთა რიგებში არიან „ა“ კლასის მსახიობები – ქეით ბლანშეტი, ნატალი პორტმანი, კირა ნაითლი, კირსტენ დანსტი, რიზ ვიზერსპუნი...

მიმტანმა ქალბატონმა გოგონებს სკეპტიკურად გადახედა და შეძლებისდაგვარად ზრდილობიანად თქვა: „აა, გასაგებია!“ მერე კი, სასწრაფოდ შემდეგი მაგიდისკენ გადაინაცვლა. გოგონებს გაეცინათ.

სიმართლე უნდა ითქვას, ლაურა-სა და ქეითის დიზაინერებად აღქმაც ძნელია. ორივე ძალიან მომხიბვლელია, მაგრამ თან ისე უჭირავთ თავი, როგორც სკოლის ასაკის გოგონებს, ცეკვისას პარტნიორის გარეშე რომ დარჩნენ. მხრებში მოხრილები, ფეხების ფლატუნით დადიან. მოდის ორომტრიალისგან შორს უჭირავთ თავი. მშობლებთან ერთად ცხოვრობენ და მიაჩნიათ, რომ თუ სხვებიც ამ გზას აირჩევენ, მშობლებისგან ძალიან ბევრი სარგებლის მიღებას შეძლებენ. ევროპულ ტრადიციას – შეხვედრისას გადაკოცნას – რომელიც ამერიკაში ელვისებური სისწრაფით ვრცელდება – დები არ აღიარებენ. ნაცნობებს ამერიკულად, ჩახუტებითა და მხრებზე ხელის მოთათუნებით ხედედიან. „ლოს ანჯელესში ვინმე რომ გადაკოცნო, სახტად დარჩებიან“, – ამბობს ქეითი. ისინი არ მიეკუთვნებიან იმ ადამიანთა რიცხვს, ვისთვისაც გიჟური მოლხენის სინონიმი ქეით მოსთან ერთად გატარებული საღამოა. ურჩევნიათ, ამის ნაცვლად, Huntington Library-ის მაღაზიაში საშობაო საჩუქრები ეძებონ. ვის როგორი პერიოდი აქვს პირად ცხოვრებაში, ვინ გათხოვდა, ვინ გასუქდა – ეს ყველაფერი მათთვის ყოველგვარ ინტერესს მოკლებული თემებია. „მათ არ აინტერესებთ მოდის ინდუსტრიის ჭორები, – ამბობს მალივეების ახლო მეგობარი, ლოს ანჯელესის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის დირექტორი ჯეფრი დიჩი, – ისიც კი არ მგონია, რომ რომელიმე მოდური ჭორი საერთოდ იცოდნენ“.

მოკლედ რომ ვთქვათ, დები მალივეები მოდის აუტსაიდერები არიან – „მოსანყენი, პროფესორა ტიპები“.



შეიქმნა-ზამთარი 2012



ბაზაზხული-ზაზხული 2010



შეიქმნა-ზამთარი, 2011

ამისდა მიუხედავად, ან, შესაძლოა, სწორედ ამის დამსახურებით, დღეს ისინი ყველაზე საინტერესო მიგნებებს აკეთებენ მოდაში და ამით სამოსი ხელოვნების სულ სხვა დონეზე აყვავთ: კინო, მხატვრობა და ახლა უკვე ოპერაც. ეს ახალი ეტაპი მათ საქმიანობაში ფილმით „შავი გედი“ დაიწყო. დემა ამ სურათისთვის კოსტიუმები შექმნეს და თავდაყირა დააყენეს ჩაიკოვსკის ლეგენდარული ბალეტი. ეს კოსტიუმები უმაღლეს MOCA-ში (თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი) გამოფინეს. ლოს ანჯელესის ხელოვნების მუზეუმმა კი ახლახან მალივების იმ კოსტიუმების ექსპოზიცია მოაწყო, რომლებიც ფლორენციაში, სან მარკოში არსებული ფრა ანჟელიკოს ფრესკებით იყო ინსპირირებული. მალე, გაზაფხულზე, მათი ყველაზე პრესტიჟული პროექტი აიღებს სტარტს: დები ლოს ანჯელესის ფილარმონიის ახალი სპექტაკლისთვის „დონ ჯოვანისთვის“ ქმნიან კოსტიუმებს. „დონ ჯოვანი“ უოლტ დისნეის სახელობის საკონცერტო დარბაზში უნდა დაიდგას. ეს კი თავად ამ შენობის ავტორთან, ლეგენდარულ არქიტექტორ ფრანკ გერისთან ერთობლივ მუშაობასაც გულისხმობს, რადგან

გერი ამჯერად სცენოგრაფიაზე პასუხისმგებელი.

დები ცდილობენ მიმდინარე პროექტების დეტალები არ გაახმაურონ. მუშაობის პროცესში ისინი თითქმის განუყრელები არიან. და ისედაც, სულ საერთო მეგობრები ჰყავთ, საერთო იმეილით სარგებლობენ და, სიამის ტყუპების მსგავსად, ერთნაირი გატაცებები აქვთ. ყველაფერი ზღაპრულად მომაჯადოებელი და პირქუში, ბავშვურად გულბურყვილო, ნოსტალგიური, ან გიჟური და სამეცნიერო – ასეთია მათი ინტერესის სფეროები. მათ გონებაში იდეების ჩანასახები, ჩამოყალიბებული იდეები, ან უბრალოდ შეგრძნებები, ბუშტებივით სულ თუხთუხებენ. არა მგონია, ბევრ მონიფულ ადამიანზე ახდენდეს ჩიტის ბუდე იმხელა შთაბეჭდილებას, როგორც დებ მალივებზე: „ჯერ კიდევ არ ვიყავი კარგად გამოღვიძებული, როცა ეს ჩიტები შემოფრინდნენ და ჩემი ოთახის გავლით, გვერდითა ოთახის ბუხარში შეფრინდნენ, – ისენებს ლაურა, – აღმოჩნდა, რომ ბუხარში ბუდე ჰქონდათ გაკეთებული, გულის ფორმის ბუდე და ამიტომაც, დაფრინავდნენ ასე“.

„თოვლივით თეთრ კოტეჯს წააგა-

ვს, – დაამატა ქეითმა და ჯიბიდან აიფონი ამოიღო, ჩემთვის ფოტოს ჩვენება უნდოდა, – აი, ბუდე! ნახეთ, როგორი საყვარელია!“

მალივებთან ჩრდილოეთ კალიფორნიის ბუნებაზე საუბრის წამოწყებას ნამდვილად არ გირჩევთ, განსაკუთრებით კი ნითელმერქნიან ხეებზე.

„ყველაზე ასაკოვანი ხეები 2,200 წელს ითვლიან“, – ამბობს ლაურა და თან 110-ე ტრასაზე მანქანას მართავს.

„წარმოგიდგენიათ?!“ – მეკითხება ქეითი.

საუბარს სეკვიას ხეების შესახებ ვაგრძელებთ.

„მოემზადეთ, ახლა გონება დაგებინდებათ, – აგრძელებს ქეითი, – სულ მალე სეკვიები გამოჩნდებიან გზაზე“.

გოგონები რომანტიკულ ურთიერთობებზე არც ფიქრობენ, ვინაიდან პრეტენდენტ მამაკაცს, არა მარტო ორივე დასთან ერთდროულად მოუწევს ურთიერთობის აწყობა, არამედ „მისთვის ჩვენი ყველა გატაცების უპირობო გაზიარებაც სავალდებულო იქნება“, – ამბობს ლაურა.

ძნელია, თავი შეიკავო და არ წარმოიდგინო, როგორები იქნებიან დები





ბაზაზხული -ზაფხული 2012



ბაზაზხული -ზაფხული 2013



ბაზაზხული -ზაფხული 2012

მალივები 50 წლის ასაკში, გაუთხოვარები, ისევ ერთად; როგორ მისეირნობენ ქუჩაში ჩუმად, შთაბეჭდილებებს აგროვებენ და პერიოდულად, უცნაურ აზრებს უზიარებენ ერთმანეთს. ეს ერთი შეხედვით სპონტანური სასაუბრო თემები ხომ მათი ენერჯის წყარო და სამუშაოს საფუძველია. აი, თუნდაც კალიფორნიული კონდორი ავილოთ – ფრინველი, რომლის გადაშენების საფრთხეც წლების წინ პოლიტიკური განხილვის საგნადაც კი იქცა, დებზეც წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა და შემდეგ მათი 2010 წლის გაზაფხულის კოლექციაში მოგვევლინა. ამ კოლექციაში შესულ თითოეულ ნიმუშზე დებმა ხელით მიაკერეს სხვადასხვა ტიპის ქსოვილები და სვავების თემას მიუძღვნეს. გააკეთეს კლანჭების ფორმის ბალთები, შეკერეს გიჟური, ბუსუსებიანი მაღალქუსლიანები, ობობას ქსელ-მოდებული შალის ქვედაბოლოები და დაამზადეს ქსოვილები, რომლებიც ჯერ ნაკუნებად აქციეს, დანვეს, ზუმფარას ქაღალდით დაამუშავეს („გაშკურკეს“) და მერე გადაღებეს. ეს ყველაფერი კი ერთი კონცეფციით გააერთიანეს: ეს იყო პოსტაპოკალიპსური ფანტაზია, რომელშიც ქალები

ცოცხლად დანვეს, შემდეგ, ისინი, მკვდრებით აღდგნენ, კალიფორნიულ კონდორებად გარდაისახნენ და გზად რაც შეხვდათ, ის ჩაიცვეს.

„როცა Rodarte-ს კაბა გაცვია, – ამბობს ნატალი პორტმანი, რომელიც დების შემოქმედების თაყვანისმცემელი და მათი მეგობარია, – ისეთი შეგრძნება გაქვს, თითქოს სხეულით ხელოვნების ნიმუშს ატარებდე. ასე ბევრ სხვა დიზაინერზეც ამბობენ, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში მსგავსი ფრაზები მაინც არაგულწრფელად ჟღერს. დებ მალივებთან მიმართებაში კი ეს მართლაც ასეა. ისინი ძალიან კარგად იცნობენ ხელოვნების ისტორიას, კინოს, ლიტერატურას, თანამედროვე არტს და თავიანთ კოლექციებში მართლაც ეხმაურებიან პირველად ინსპირაციებს... იდეებს, ფიქრებს, ბუნების და ხელოვნების ელემენტებს. ისინი ქმნიან ნივთებს, რომლებზეც გეფიქრება ან გელაპარაკება“.

მათი ინსპირაციების პირველწყარო აპტოსია, პატარა ქალაქი სანტა კრუზთან ახლოს, სადაც მათ ბავშვობა გაატარეს მექსიკელ-იტალიელ პროფესიით მხატვარ დედასთან და ბოტანიკოს მამასთან ერთად, რომელიც მესუთე თაობის ირლანდიური

წარმოშობის კალიფორნიელია. სანტა კრუზში ცხოვრებამ გოგონებს შესაძლებლობა მისცა, სხვადასხვა სუბკულტურების ცხოვრების სტილის დაკვირვებოდნენ: სერფერების, პანკების და კრიშნას მიმდევრების. ამის პარალელურად კი აპტონის ბუნება, თავისი წითელმერქნიანი მრავალწლიანი ხეებით, ევკალიპტის ფოთლებით და ფარული სანაპიროებით და მდოგვის მინდვრებით, სამუდამოდ შეერწყა მათ სულიერ სამყაროს და მათთვის ერთგვარ ფუნდამენტადაც კი იქცა. ამას კინოც დაემატა. როცა შვილების განათლებაზე ფიქრობდა, დები მალივების დედა დარწმუნებული იყო, რომ ძველ ფილმებზე უკეთესს ვერაფერს შესთავაზებდა მათ. ლაურა და ქეითიც, მოდით მას შემდეგ დაინტერესდნენ, რაც „ქარნალებული“ და „ბავშვის აღზრდა“ (Bringing Up Baby) ნახეს. შემდეგ უკვე, როცა დედამ გოგონებს სახატავი დაფები აჩუქა, ლაურამ მათი სახლის გეგმა დახაზა, ქეითმა კი მოდის სკეჩების კეთება დაიწყო.

ბერკლის სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, სადაც ქეითი ხელოვნების ისტორიას, ლაურა კი ლიტერატურას ეუფლებოდა, დები სახლში



შეოდგომა-ზამთარი 2012



შეოდგომა-ზამთარი 2011



გაზაფხული-ზაფხული 2013

(ამ დროისთვის უკვე პასადენაში) დაბრუნდნენ და მომდევნო წელი საშინელებათა ფილმების ყურებაში და მაღალი მოდის შესახებ წიგნების კითხვაში გაატარეს. ქეითმა თავისი აუდიონანანერების კოლექცია გაყიდა და შეგროვებული 16.500 დოლარით პირველი კოლექციის მზადება დაიწყო: შეკერეს ექვსი კაბა და ერთი გრძელი, ვინრო საღამოს კაბა, რომლის ქსოვილსაც წითელი მერქნის ეფექტი ჰქონდა. ამ კოსტიუმების მინიატურული ასლები გოგონებმა ქალაქისგან დაამზადეს და ეს მინი-კოლექცია ლოს ანჯელესის ცნობილ ვინტაჟის მაღაზია Decade-ს გაუგზავნეს. მაღაზიის მფლობელ კამერონ სილვერზე იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია ნანახს, რომ უურნალისტებისთვის ჩამოურეკავს და კოლექციის ნახვა უთხოვია.

2005 წლის თებერვალში მალივების კაბები მოდის პრესტიჟული გამოცემის Womens's Wear Daily-ს ყდაზე დაბეჭდეს. მალევე მალივებს დაურეკეს და უთხრეს, რომ მათ სტუდიაში ანა ვინტური მივიდოდა. ასეთი ტიპის ახალ ამბავს ახალგაზრდა გოგონების უდიდესი ნაწილი სასტიკი დიეტით თუ არა, სრული პანიკით მაინც შეხედუ-

ბოდა. დებმა კი ნამუშევრების მოწესრიგება დაიწყეს და სახელი დაირქვეს: Rodarte (გამოითქმის რო-დარ-თი), დედის ქალიშვილობის გვარი.

„ახლა, ამ გადმოსახედიდან მგონია, რომ ეს ჩვენი პირველი მიღწევა იყო, – იხსენებს ქეითი, – სრულიად მოუმზადებლები ვიყავით ამისთვის. არათუ მეგობარი, ნაცნობიც კი არავინ გვყავდა მოდის ინდუსტრიაში. სამოსის გაყიდვაზე წარმოდგენაც არ გვქონდა და ისიც არ ვიცოდით, თუ რა გზას გადიოდა ტანსაცმელი მაღაზიამდე“. ვინტურს შეეძლო, გოგონებისთვის ეთქვა, უფრო ლამაზი სამოსი შეკერეთ; ან იქნებ სამოსი უფრო ხელმისაწვდომი გახადოთო. მან კი მალივებს უთხრა, რომ მათი ქმნილებები ძალიან პერსონალური იყო და ურჩია, ეს მახასიათებელი არასდროს დაეკარგათ. „მისი რჩევა ჩვენთვის განმსაზღვრელი იყო, – ამბობს ქეითი, – მას რომ ეს არ ეთქვა, ვინ იცის, ახლა სად ვიქნებოდით“.

ზღაპარი ამით არ დასრულებულა. პარიზში პირველად გამგზავრებისას, როცა დებმა მოდურ ბუტიკ Collette-ში თავიანთი საჩვენებელი კოლექცია წარადგინეს, ამ კოლექციიდან რამდენიმე გამორჩეული ექსპონატი კარლ

ლაგერფელდმა შენიშნა – ეს უკანასკნელი, მისი მუდმივი ინსპირაციის წყაროსთვის, ამანდა ჰარლენისთვის ეძებდა სამოსს. ლაგერფელდმა დები თავის პარიზულ აპარტამენტში წვეულებაზე მიიპატიჟა, სადაც გოგონები ლეგენდარული მოდის რედაქტორის სიუზი მენკესის ფოტოობიექტივში მოხვდნენ. მენკესს მაშინ უთქვამს, რომ ეს ფოტო რალაც განსაკუთრებულის ნივთმტკიცებულება იყო და რომ ის სამუდამოდ შეინახავდა მას.

„ეს სიურრეალიზმი იყო“, – იხსენებს ლაურა.

„ეს იმის ტოლფასი იყო, მე რომ კინოს სტუდენტი ვყოფილიყავი და მოულოდნელად მარტინ სკორსეზეს წვეულებაზე დავეპატიჟე“, – ამბობს ქეითი.

გოგონებმა მოდის ინდუსტრიის რამდენიმე პრესტიჟული ჯილდო მოიპოვეს, მათ შორის, CFDA-ის – ამერიკის მოდის დიზაინერთა საბჭოს – ჯილდო. ამ ჯილდოს ინდუსტრიის ყველაზე კრეატიულ და ნიჭიერ შემოქმედებს გადასცემენ ხოლმე. მალივების შემოქმედების პირველი ფანები ნიუ იორკის ბომონდის ყველაზე გაბედული წევრები აღმოჩნდნენ: გალერისტ ჟანა გრინბერგ და ენდი უორჰოლის



შეიქმნა-ზამთარი 2012



შეიქმნა-ზამთარი 2012



შეიქმნა-ზამთარი 2012

პარტნიორ პეუ პაუელს მალე კინო-ვარსკვლავებიც მიჰყვნენ – ქალები, რომელთაც ერთ კაბაში 9000 დოლარის გადახდის შესაძლებლობა და სურვილი ჰქონდათ. ბოლოს კი სიას მიშელ ობამაც დაემატა.

მოდის ინდუსტრიის გამოკვეთილი მოთამაშეები ინდუსტრიაში თავიანთი წესებით შევიდნენ – ყოველგვარი სპეციალიზებული ტრენინგის, ფინანსური მხარდაჭერის და კომპრომისების გარეშე – მხოლოდ ისინი, რამდენიმე მკერავი და ხელოსანი. და რაც ყველაზე მთავარია, მათ ეს ყველაფერი დრამისა და საკუთარი თავის სიძულვილის გარეშე მოახერხეს. „ყოველთვის ვამბობდი, რომ ისინი ყველაზე ჯანმრთელი გიჟები არიან, – ამბობს ფოტოგრაფი ოტომ დე ვაილდი, რომელიც მალივების უახლოესი მეგობარია და უკვე წლებია, მათ შემოქმედებას ფირზე აღბეჭდავს, – ისინი არასდროს თამაშობენ; საკუთარ თავს ისე აღიქვამენ, როგორებიც სინამდვილეში არიან – თავდაჯერებულები, ყოველგვარი ამპარტაგნების გარეშე... მათ ასაკში მყოფი ქალების უმეტესობა იმის გარკვევით არის დაკავებული, თუ რას აკეთებენ არასწორად და ვერც კი ხვდებიან, რომ ამის გამო, რეალურად, ცხოვრების 10 წელს ფუჭად კარგავენ

მაშინ, როცა ეს წლები მათ მწვერვალის დაპყრობაში და ზრდაში უნდა გაატარონ“.

„ისინი მომზიბვლელად უცოდველები არიან, თუმცა, იმავდროულად, ძალიან მოხერხებულებიც, – განაგრძობს დე ვაილდი, – ვერასდროს მიხვდები, რას უნდა ელოდე მათგან: ბავშვს ფართოდ გახელილი თვალებით, თუ ლიდერს“.

მალივებმა ალლო სწრაფად აუღეს მოდის ინდუსტრიას და მალევე გაერკვნენ, სად რა ტიპის დახმარების იმედი უნდა ჰქონოდათ. 2008 წელს, როცა გაიაზრეს, რომ მათ ჩვენებებს „რალაც“ აკლდა, „მოდის ინდუსტრიის ფედერაციო ფელინად“ წოდებულ ალექსანდრ დე ბეტაკს მიაკითხეს – ეს უკანასკნელი, კრისტიან დიორის ჩვენებების გაფორმებაზე ზრუნავს. „ძალიან მომწონს ბეტაკი, – ამბობს ქეითი, – ის არასდროს არაფერზე გეუბნება უარს, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი წყალობით ყველაფერს შეძლებ, თუნდაც ჩვენებაზე ფერად კვამლში გახვეული მოდელების გამოყვანა გინდოდეს“.

იგივე შეიძლება ითქვას იმ კინო-ვარსკვლავებზე, რომლებიც დების სამოსს ატარებენ და Rodarte-ის ერ-

თგვარ მიმდევრებად იქცნენ. „არ ვიცი, რატომ, მაგრამ ყველა ეს ადამიანი თავისებურად მომაჯადოებელი და საინტერესოა. ისინი შემოქმედებითი ადამიანები არიან, რომელთაც ხელოვნება აინტერესებთ, – ამბობს ქეითი, – როცა ჩვენ ერთად ვართ ოთახში, ყოველთვის გვაქვს რამე სასაუბრო თემა“. მართლაც, არა მარტო ნატალი პორტმანი, არამედ კირსტენ დანსტი და დაკოტა ფენინგი მალივების ახლო მეგობრებად იქცნენ, რამაც მოდის ინდუსტრიაში ჩართულ ადამიანებს საბაბი მისცა, ლაპარაკი დაენწყოთ იმაზე, თითქოს, დები არაფრით განსხვავდებიან ნებისმიერი სხვა ნარცისი დიზაინერებისგან და რომ ისინიც, მათ მსგავსად, ვარსკვლავებზე „ჩაციკლული“ არიან. დე ვაილდი უარყოფს ამ ბრალდებას და ამტკიცებს, რომ „დებს მსგავსი ქარაფშუტოები არასდროს იზიდავს“.

როგორ მოიქცევიან ისინი, თუ ერთ დღესაც მათ კიმ კარდაშიანი დაურეკავს და საკუთარი თავისთვის და მისი დებისთვის რამდენიმე კაბის თხოვებას სთხოვს?! გოგონები უხერხულად იშუმუნებიან და პიარის თემას იშველიებენ. „თითოეული ნიმუში ერთ ეგზემპლარად გვაქვს და



ყურადღებით ვაკონტროლებთ იმას, თუ რამდენი ასლი დამზადდება. თუ ერთი კონკრეტული კაბა „საჯარო პირს“ ეცვა, ამ კაბას სხვა „საჯარო პირს“ აღარ შევუკერავთ“. ლაურა იხსენებს იმ შემთხვევას, როცა მათ კაბაში გამონყობილი ბრიტნი სპირსი ერთ-ერთი საკუთარი ალბომის გარეკანზე იყო დაბეჭდილი. „ჰო, მაგრამ მან იყიდა ეს კაბა“, აზუსტებს ლაურა, „მან ის იყიდა“.

ისე მოხდა, რომ კარიერულ წინსვლაში დებს ნატალი პორტმანი დაეხმარა: დარენ არონოფსკის ფილმისთვის „შავი გედი“ სწორედ მალივებმა შეკერეს კოსტიუმები. „მათ შემოქმედებაში არაერთ „ბალეტისთვის შესაფერის“ კაბას შევხვედრივარ, – იხსენებს ნატალი პორტმანი, – ამიტომაც, დარენს მათი ნამუშევრები ვაჩვენე. ისიც მოხიბლული დარჩა“. ფილმის კოსტიუმებზე უკვე მუშაობდა კოსტიუმის დიზაინერი ემი ვესკოტი, მაგრამ მალივებს წამყვანი თეატრალური კოსტიუმების შექმნა დაევალათ. ისტორიების მოყოლის უნარის და საშინელებათა ფილმების კარგად ცოდნის გამო, არონოფსკიმ დებს „გედების ტბის“ ვიზუალურად დახვეწა მიანდო. თუმცა, დებს თავიდანვე

განზრახული ჰქონდათ, შეენარჩუნებინათ „გედების ტბის“ ტრადიცია. „გვინდოდა, ბალეტის ხიბლი სრულად წარმოგვეჩინა“, – ამბობს ლაურა. მათ აქცენტი პორტმანის პერსონაჟზე გადაიტანეს და მისთვის მომავადობელი კოსტიუმები შექმნეს, რომლებიც იდეალურად გამოხატავდნენ გმირის ემოციურ მდგომარეობათა ცვალებადობას, მოკრძალებული ქალწულიდან – შეპყრობილ, მკვლელ მხეცამდე.

ეს 2010 წლის ყველაზე ხმაურიანი ფილმი იყო. ოსკარის სეზონის წინ, Fox Searchlight-ს ბევრი ფიქრი არ დასჭირდა იმისთვის, რომ მთავარი აქცენტი Rodarte-ის კოსტიუმებზე ეკეთებინა. დებმა ეს „შეიფერეს“ და პრესასთან ღია საუბარსაც არ მოერიდნენ. ვესკოტის სახელი თითქმის არც გაჟღერებულა, საზოგადოების დიდი ნაწილი არც იყო ინფორმირებული იმის შესახებ, რომ მალივების გარდა ფილმის კოსტიუმებზე სხვა ადამიანიც მუშაობდა. ვესკოტმა საპასუხო დარტყმა განახორციელა და განაცხადა, რომ „გოგონები საკუთარი თავის პიარს ეწეოდნენ და ახმოვანებდნენ საკუთარ წვლილს, მას შემდეგ რაც დარწმუნდნენ, რომ ფილმი მართლაც კარგი გამოვიდა... შევეცადე,

საკუთარი ეგო გვერდზე გადამედო მაშინაც, როცა დები ყველა ინტერვიუში ჩემს არსებობას სრულ იგნორირებას უწევდნენ“.

როცა ვესკოტის პრეტენზიებზე ვეკითხები, გოგონები მყარ, უკვე გათავისებულ დიპლომატიას იჩენენ და მპასუხობენ: „ჩვენი ნამუშევრები ჩვენს მაგივრად ლაპარაკობენ, – ამბობს ლაურა, – კარგად ვიცი, ჩვენი, როგორც დიზაინერების შესაძლებლობები და დარწმუნებული ვარ, ნებისმიერი ადამიანი იოლად შეამჩნევს მსგავსებას ფილმისთვის შექმნილ კოსტიუმებსა და ჩვენს ადრეულ ნამუშევრებს შორის. ჩვენ მიგვიწვიეს იმისთვის, რომ შეგვექმნა ფილმისთვის საჭირო სამყარო. მას (ვესკოტს) კი იმ საკითხების მოგვარება დაავალეს, რასთან გამკლავებაც შეეძლო. ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, ყველაზე საინტერესო ნაწილი გასაკეთებლად ჩვენ გვერგო.“

როგორც ჩანს, „უინტერესო და მოსაწყენი გოგონები“ ძალიან მნიშვნელოვან ადამიანებად იქცნენ. ეს მარტივად მოხდა. მოხდა იმის ხარჯზე, რომ საკუთარ იდეებსა და შეხედულებებს არ უღალატეს. და ეს ზღაპარია, რომელსაც ჩვენ, ყველანი სიამოვნებით დავაფასებთ.



ფეხმძიმობა ქალისთვის ერთ-ერთი ყველაზე რთული ფსიქოლოგიური და ფიზიოლოგიური მდგომარეობაა, როდესაც ის გარემო პირობებისადმი განსაკუთრებით მგრძობიარე ხდება. არასასიამოვნო იმპულსების გამოწვევი მიზეზი მარტივად შეიძლება იქცეს ის ტანსაცმელი, რომელსაც ყოველდღიურად ვატარებთ. ვნერვიულობთ იმაზეც, რომ ამ მდგომარეობისთვის შესაფერისი სპეციფიკური სამოსით ნაკლებად მოდურად გამოვიყურებით. კომფორტი კი, რომელსაც ამ პრობლემის გადაჭრით მოვიპოვებთ, ორსულობის შესაფერისი სამოსის მრავალფეროვნებაშია. ამის შესაძლებლობას საქართველოში მცხოვრებ ადამიანებს იტალიური ბრენდი „პრენატალი“ აძლევს. ეს არის ერთადერთი მაღაზია მთელ საქართველოში, რომლის პროდუქცია უშუალოდ ორსულებზე და მათ კომფორტზეა მორგებული.

საქართველოში „პრენატალის“ პირველი მაღაზია 2009 წელს გაიხსნა და ამით იმ 13 ქვეყანას შეუერთდა, სადაც იტალიური ბრენდის მსოფლიო ქსელში არიან ჩაბმული. დღეს ეს ქსელი 437-ზე მეტ მაღაზიას აერთიანებს. აქ შეგიძლიათ შეიძინოთ ყველაფერი - ორსულების, ჩვილების და 8 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის: ტანსაცმელი, თეთრეული, კოსმეტიკური საშუალებები, ბავშვის ოთახის ავეჯი, ეტლები, მანქანის სავარძლები და სხვა აქსესუარები.

ორსულებისთვის განკუთვნილი სამოსიდან აღსანიშნავია როგორც ყოველდღიური და გამოსასვლელი, ასევე, ღამის თეთრეული: ლიფები ორსულობისა და შემდგომი პერიოდისათვის, ბანდაჟი და სხვა. მნიშვნელოვანია, რომ ტანსაცმლის წარმოებისას, გათვალისწინებულია ნაკერის ხარისხიც, იმისთვის, რომ ის სამოსის ტარებისას დამატებით გამლიზიანებლად არ იქცეს. აღსანიშნავია, რომ „პრენატალის“ დიზაინერებმა ორსულთათვის კომფორტის შექმნაზე, ისეთ საპასუხისმგებლო და კრიტიკულ პერიოდზე იზრუნეს, როგორც მშობიარობაა. „პრენატალის“ ქსელში არსებობს სპეციალურად ამ ეტაპისთვის შექმნილი სამოსის ხაზი, რომელიც მოიცავს ერთჯერად საცვლებს, სპეციალურ პერანგებს და ა. შ.

საორსულო პერიოდისთვის საჭირო პროდუქციის გარდა, მაღაზია „პრენატალი“ მომხმარებელს ჩვილისთვის განკუთვნილ ნივთებსაც სთავაზობს, რომელიც ძირითადად, ბუნებრივი ქსოვილისგან მზადდება. ანტიალერგიული და ბამბისგან დამზადებული სამოსი კომფორტული და ადვილად მოსახმარია. მარტივია მისი ჩაცმა და გახდა, რაც ბავშვის გალიზიანებას თავიდან აგვაცილებს. გარდა ამისა, პროდუქციას კიდევ უფრო საინტერესოს ხდის მისი მოდური დიზაინი, რომელიც მცირე დეტალებშიც კი შესამჩნევია.

„პრენატალიში“ ასევე წარმოდგენილია - „kid kind“ განყოფილება, რომელიც 2-დან 8 წლამდე ბავშვებისთვის განკუთვნილ სამოსს და აქსესუარებს აერთიანებს. აქ შეგიძლიათ იხილოთ როგორც ყოველდღიური, ასევე გამოსასვლელი იტალიური სტილის ტანსაცმელი.

იტალიური ბრენდი პატარების მხიარულებასა და განვითარებაზე ზრუნავს და მომხმარებელს სხვადასხვა ბრენდის მაღალი ხარისხის სათამაშოებს (ბრენდ cryoia-ს სახატავ საშუალებებს) სთავაზობს.

ტანსაცმლისა და აქსესუარების გარდა, რომელიც უშუალოდ „პრენატალის“ ბრენდის ქვეშ იწარმოება და ვრცელდება, ამავე მაღაზიაში ბავშვის საწოლები, კომოდები, ასევე მანქანის სავარძლები და ეტლებიც არის წარმოდგენილი, რომელიც მსოფლიოს წამყვანი ბრენდების (PEG-PEREGO, JANE, PALI, Foppapedretti, Cam, BebeConfort, Inglesina) მიერ, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის, იტალიაშიც იწარმოება.

საქართველოში „პრენატალი“ ვერჯერობით მხოლოდ ერთი მაღაზიით არის წარმოდგენილი. მისი პროდუქციით დაინტერესებულ ადამიანებს სასურველი ნივთების შეძენა თბილისში, ყაბბეგის N24-ში, აქსისის სავაჭრო ცენტრში შეეძლება. „პრენატალის“ სპეციალიზებული პროდუქცია და მისი მაღალი ხარისხი გაძღვეთ საშუალებას, ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე საპასუხისმგებლო პერიოდი ამ ბრენდთან ერთად გაატაროთ და თქვენი შვილების ყოველდღიურობაც „პრენატალის“ დაუკავშიროთ.



# ქრისტიან დიორი ფერების შესახებ

ნაწევადი ქრისტიან დიორის წიგნიდან „მოდის პატარა ლექსიკონი“, გამომცემლობა ABRAMS, 2007 ინგლისურიდან თარგმნა თამარ ალავიძემ.

ფერებს შესანიშნავი და გლამურული ელფერის შექმნა შეუძლიათ, მაგრამ ისინი სიფრთხილით უნდა გამოვიყენოთ.

ყველაზე ლამაზი ფერიც კი კარგავს სილამაზეს ყოველდღიური მოხმარების შემდეგ. ფერებს ცვლილება სჭრიდებათ. ცა და ცისფერი ვერ იქნებოდა ასეთი მომხიბვლელი, არასდროს რომ იცვლებოდას – მას ხომ ღრუბლები აძლევენ უნიკალურ შეფერილობას.

ბუნებაში არაფერია სტატიკური. ქალაქგარეთ ბუნება ყოველდღიურად იცვლება; ცა ყოველ საათს სხვადასხვაგვარია; და ზღვაც წუთობრივად იცვლის იერს.

თუ სამოსისთვის იერის შეცვლა გსურთ, ფერებზე შეგიძლიათ მცირე აქცენტი გააკეთოთ ანსამბლში. ზურმუხტისფერი შარფი, მზისფერი ყვითელი ბოა, ლურჯი ხელთათმისები.

თუ თქვენ მოკრძალებული ზომის გარდერობი გაქვთ, ასეთ შემთხვევაში, ფერებით თამაში აქსესუარებისთვის შემოინახეთ.

ფერადი კაბა ძალიან მომხიბვლელი და მიმზიდველია, მაგრამ ის შეიძლება მალევე მოგწყინდეთ და გაცილებით ნაკლებ ხანს ატაროთ, ვიდრე პატარა შავი კაბა ან მუქი ლურჯი კაბა. მიხვდით, ალბათ, რომ ფერადში ნათელ ფერებს ვგულისხმობ და არა ნეიტრალურ ნაცრისფერს, კრემისფერს, შავს ან მუქ ლურჯს, რომლებიც ყოველდღიურად შეგვიძლია ვატაროთ. თუმცა, ეს ფერებიც ისე უნდა შევარჩიოთ, ჩვენს თმას, სახის კანს და თვალის ფერს რომ უხდებოდეს.

თუ თქვენ მალალი ხარისხის სამოსს არჩევთ, რომლის ტარებასაც დიდი ხნის განმავლობაში აპირებთ, ნეიტრალური ფერის სამოსს გირჩევდით. გარდა ამისა, აქსესუარების ფერებიც გულმოდგინედ უნდა შევარჩიოთ.

**შავი:** ფერებს შორის ყველაზე პოპულარული, მოსახერხებელი და ყველაზე ელეგანტური შავი ფერია. სიტყვას „ფერი“ შეგნებულად ვიყენებ შავთან მიმართებაში, ვინაიდან მიმაჩნია, რომ შავს ხანდახან ფერზე მეტი შთაბეჭდილების მოხდენა შეუძლია.

ყველაზე მეტად სწორედ შავს შეუძლია, თხელი და მოხდენილი გამოგაჩინოთ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ცუდი სახის კანი არ გინცობთ ხელს.

შავის ტარება დღის ნებისმიერ მონაკვეთში და ნებისმიერ ასაკშია შესაძლებელი. შავი ნებისმიერი ფორმატის ლონისძიებაზე შეგიძლიათ ატაროთ. „პატარა შავი კაბა“ ქალის



გარდერობის განუყოფელი ატრიბუტია.

შემიძლია ცალკე ნიგინც კი მივუძღვნა შავს.

**ლურჯი:** ფერებს შორის, მუქი ლურჯი ერთადერთი ფერია, რომელსაც შავისთვის კონკურენციის განევა შეუძლია, ვინაიდან მას შავი ფერისთვის დამახასიათებელი ყველა თვისება აქვს.

ულამაზესი ფერია გაცრეცილი ლურჯიც. თუ თქვენ ლურჯი ფერის თვალები გაქვთ, მაშინ ასეთი ღია ლურჯი ნებისმიერ სხვა ფერთან შედარებით ყველაზე მეტად მოგიხდებათ. ლურჯის არჩევისას სიფრთხილე გმართებთ, უმჯობესია ის დღის შუქზეც და ელექტრო განათებაზეც გადაამონწიოთ, ვინაიდან იერს მნიშვნელოვნად იცვლის.

**ყავისფერი:** მუქ ფერებს შორის ერთ-ერთი გამორჩეულად მომხიბვლელი ყავისფერია, განსაკუთრებით კოსტიუმების და ლაბადების შემთხვევაში. აბრეშუმის შემთხვევაში ყავისფერი იდეალურია კაბებისთვის, კოსტიუმებისთვის,



განსაკუთრებით მაშინ, თუ მათ ბენვის ქურთუკებს შევეუ-  
სამებთ.

შავთან ერთად, ყავისფერი ერთ-ერთი საუკეთესო ფერია  
აქსესუარებისთვის – ჩანთებისთვის და ფეხსაცმლისთვის –  
ვინაიდან ის ბუნებრივი ფერია.

**ვარდისფერი:** ყველაზე თბილი ფერია. ყველა ქალს უნდა  
ჰქონდეს გარდერობში თუნდაც ერთი ვარდისფერი ნივთი.  
ის ბედნიერების და ქალურობის გამომხატველი ფერია.

ვარდისფერს ბლუზებისთვის და შარფებისთვის ვიყენებ.  
ახალგაზრდა გოგონების შემთხვევაში, კაბებისთვისაც. ყვე-  
ლაზე მომხიბვლელი ეს ფერი საღამოს კაბებზეა.

**ნაცრისფერი:** ყველაზე მოხერხებული. სასარგებლო და  
ელეგანტური ნეიტრალური ფერი. არაჩვეულებრივია ფლა-  
ნელის, ტვიდის და შალის ქსოვილის შემთხვევაშიც. და თუ  
თქვენს სახის კანს უხდება, არაფერია ნაცრისფერ, სატინის  
საღამოს კაბაზე ელეგანტური. იმ ადამიანებს, რომლებსაც  
შავი ფერი დიდად არ უყვართ, მუქი ნაცრისფერის არჩევანს  
შევთავაზებდი. თუ დიდი ზომის ხართ, მუქი ნაცრისფერი  
შეარჩიეთ, პატარა ტანის ქალებს კი ღია ნაცრისფერს ვურ-  
ჩევდი.

ნაცრისფერი ყველაზე მოსახერხებელი ფერიცაა, ვინაი-  
დან ის ყველა ტიპის აქსესუარს ესადაგება და არ აქვს მნიშ-  
ვნელობა, თუ რომელია თქვენი საყვარელი ფერი, ნებისმიე-  
რი შეგიძლიათ შეუხამოთ მას.



**იისფერი:** ის ფერთა მეფეა. თუმცა, მისი გამოყენება ძა-  
ლიან საფრთხილოა, ვინაიდან ახალგაზრდულ შთაბეჭდი-  
ლებას არ ახდენს. გარდა ამისა, არც დიდად მხიარული  
ფერია. მაგრამ თუ თქვენ მაინც ახალგაზრდა გეთქმით,  
თამამად შეგიძლიათ, იისფერი შალის ქურთუკი ან იის-  
ფერი ხავერდის კაბა ჩაიცვათ. კიდევ ერთხელ გავუსვამ  
ხაზს იმას, რომ იისფერს კარგ მდგომარეობაში მყოფი სა-  
ხის კანი სჭირდება. და მგონია, რომ ეს ფერი ყველაზე  
მეტად უხდება ქალს, რომელიც ან ძალიან შავგვრემანია,  
ან ძალიან ღია ფერის. თუმცა, იისფერი სარისკო ფერიცაა  
და არც დიდად მოსახერხებელია, ვინაიდან ის შეიძლება  
ძალიან მალე მოგებზრდეთ.

**წითელი:** საოცრად ენერგიული და სასარგებლო ფერია.  
წითელი სიცოცხლის ფერია. მიყვარს წითელი და მიმაჩნია,  
რომ ყველანაირ სახის კანს უხდება. ის დღის ნებისმიერი  
მონაკვეთისთვის და შემთხვევისთვის არის შესაფერისი.

ღია წითელი ძალიან მხიარული და ახალგაზრდულია.  
წითელის შედარებით მუქი ტონალობები კი ზედგამო-  
ჭრილი არჩევანია არც ისე ახალგაზრდა ქალებისთვის და  
მათთვის, ვინც იდეალური პროპორციებით ვერ დაიკვე-  
ხნის.

მაგრამ წითელი ნებისმიერმა ადამიანმა შეიძლება მოი-  
ხდინოს. თუ თქვენი კაბა ან კოსტიუმი სრულად არ იქნე-  
ბა წითელ ფერში გადანყვეტილი, ყოველთვის შეგიძლიათ  
ანსამბლი წითელი აქსესუარებით გაახალისოთ – წითელი



ქუდი შავ ან ნაცრისფერ სამოსთან ძალიან მომხიბვლელი იქნება; ან ნითელი ქოლგა ნაცრისფერ ქურთუკთან.

ზამთარში ნითელი ფერის ქურთუკი კარგი არჩევანი უნდა იყოს, ვინაიდან ეს ფერი გარკვეულ სიბოლ ასხივებს. და თუ თქვენი სამოსის დიდი ნაწილი ნეიტრალური ფერისაა, ნითელი ქურთუკი მშვენივრად მიესადაგება მას.

**თეთრი:** თეთრი ყველაზე ლამაზი ფერია საღამოს გარდერობში. თეთრი წმინდა და სადაა და ყველაფერს უხდება. თუმცა დღისით თეთრის მოხმარება ძალიან საფრთხილოა, ვინაიდან თეთრი ფერის სამოსი დიდ მოვლას მოითხოვს და მუდამ იდეალურად მონესრიგებული და ქათქათა უნდა იყოს. თუ ამას ვერ ახერხებთ, მაშინ უმჯობესია, საერთოდ თქვათ უარი თეთრი სამოსის დღისით ტარებაზე.

**ყვითელი:** ის მზის, ახალგაზრდობისა და კარგი ამინდის ფერია. ძალიან უხდება კაბებს, აქსესუარებს და წლის ნებისმიერ სეზონზე შეგვიძლია მისი ტარება. თუმცა, თუ თქვენ ღია ქერა ხართ ან ფერმკრთალი სახის კანი გაქვთ, ამ ფერს მაინც უნდა ერიდოთ: ყვითელზე საერთოდ უარის თქმას კი არ ვგულისხმობ, უბრალოდ გირჩევთ, ღია ყვითელზე გააკეთოთ არჩევანი, ხასხასა ყვითლები კი შავგვრემნებს დაუტოვოთ.



**GREEN**

სასიამოვნოა თქვენთან  
**შეხვედრა**



**\$99** ერთ ადამიანზე  
ორადგილიან ნომერში

- განთავსება სასტუმროს ორადგილიან ნომერში
- ბუფეტის ტიპის მრავალფეროვანი საუზმე
- აუზი, საუნა, ჯაკუზი, გამაჯანსაღებელი ცენტრი

**და**

სრული დღის მქვანე საკონფერენციო შემოთავაზება:

- სათათბირო ოთახი
- ორი ყავის შესვენება
- სადილი

გააკეთეთ თქვენი ღონისძიება შერატონში და ჩვენ დავრბავთ ხმს თქვენს სახელზე!

**ერთად დავიცვათ ბარემო!**





ეგზოტიკური ინსპირაციები



1986 წელი, ბოტოვები მუჟა მსვპატი მესამეს კორკონასიის სერემონიაზე, მახანა, სვანთლადი



1973 წელი, ნოაღალი კალი ტრადიციულ, ღია ფერებიანი გადაწყვეტილ კოსტიუმში



1990 წელი, გობონა ტრადიციული სტილით მოკაზმული თავსაბურავით, ოქროს ყელსაბამით და ოქროს საყურავში. იაბა, ინდონეზია.



1962 წელი, საგაგებოდ ფესტივალისთვის გამომწყობი ქალი, რაჭა-ლეჩხუმი, იმერეთი



# HI-TECH მოდა

ავტორი ნინო ნატროშვილი

გამოტყდით, გიოცნებით ზუსტად ისეთ სამოსზე, რომელიც იდეალური სიზუსტით მოერგება თქვენს ტანს? დღეს ყველანი მიჩვეულები ვართ, რომ პიჯაკის, შარვლის, კაბის თუ პერანგის შექმნისას, სტანდარტული ზომებით ვხელმძღვანელობთ, თუმცა თანამედროვე ტექნოლოგიები ცხოვრების ყველა ჭეჭრუტანაში მოქნილად ძვრება და არც მოდაა გამონაკლისი.

სწორედ ამ ტექნოლოგიების წყალობით, ე.წ. „სტანდარტული ზომები“ შეიძლება მალე დაძველდეს და სამოსი მყიდველის სასურველი ზომის მიხედვით შეიკეროს. მასობრივი გამოყენებისთვის ეს ყველაფერი ჯერ ადრეა, თუმცა რამდენიმე წლის წინ „ამობეჭდილი“ სამოსიც სამეცნიერო ფანტასტიკის სფერო იყო, მაგრამ მოდის ინდუსტრიამ 3D ბეჭდვის მიმართულებით პირველი ნაბიჯები უკვე გადადგა და სხვადასხვა ექსპერიმენტს თამამად ატარებს.

რამდენიმე წლის წინ, დიზაინერებმა ჯირი ევენიუსმა და ჟან კიტანენმა ქსოვილების დამუშავებისას 3D პრინტერი გამოიყენეს და საკმაოდ ნარმატებულად. 2010 წელს დაბეჭდილი სამოსის შექმნა კომპანია Freedom of Creatio-მაც სცადა, მაგრამ სერიულ წარმოებად ვერ მივიდა, ექსპერიმენტი ექსპერიმენტად დარჩა. სპეციალისტებმა კი იდეა მაშინვე აიტაცეს და თქვეს, რომ ძალიან მალე ნემსი და ძაფი წარსულს ჩაბარდება, სამოსი უცნაური მასალისგან დაიბეჭდება და თან ძალიან სწრაფად: მაქსიმუმ 1 საათში.

2011 წელს hi-tech მოდამ ახალი პროგრესი განიცადა. დიზაინ სტუდია Continuum Fashion-მა კომპანია Shapeways-სთან ერთად პირველი მთლიანად 3D პრინტერზე შექმნილი ქალის საცურაო კოსტოუმი N12 წარადგინა. სახელწოდება მკერდის ზომას არ ნიშნავს, ის, უბრალოდ, იმ მასალის სახელია, რომელიც ბეჭდვისას



გამოიყენება: ნეილონ 12 ბიკინის საკმარის სიმყარეს და ელასტიურობას ანიჭებს, მისი სისქე კი მხოლოდ 0,7 მილიმეტრია. შავ და თეთრ ფერებში გადაწყვეტილ N12-ს პატარა ნერტილები აქვს, რითაც კანს თავისუფლად სუნთქვის საშუალება ეძლევა. ბიკინი გამჭვირვალე არ არის, უნიკალური ტექნოლოგიის წყალობით წყალს საერთოდ არ ატარებს, შესანიშნავად ერგება სხეულს და უფრო მეტიც, მფლობელის მკერდის ინდივიდუალურ ფორმას თვითონვე იღებს. მთავარი კი ისაა, რომ საცურაო კოსტიუმები მასობრივი გამოყენებისთვის შეიქმნა და მათი შექმნა მსურველებს თავისუფლად შეუძლიათ. N12 200-დან 350 დოლარამდე ღირს.

N12-ის მასალად ნეილონი გამოყენებული, რომელიც პრინტერში სპეციალური პროგრამის Rhino 3D CAD-ის დახმარებით მუშავდება. საცურაო კოსტიუმი პრინტერიდან აბსოლუტურად მზა სახით გამოდის – თავისი შესაკრავით, ზონრებით და მამინვე მზადაა გამოსაყენებლად. მისი პირველი მომხმარებლები საკმაოდ კმაყოფილებიც დარჩნენ, განსაკუთრებით წყალგაუმტარობის გამო.


ამ წარმატების შემდეგ, შარშან, აგვისტოში იგივე კომპანიამ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა და ამჯერად, 3D პრინტერზე დაბეჭდილი ფეხსაცმლის გაყიდვა დაიწყო. Strvct მხოლოდ მყიდველების სურვილით ინარმოება და 900 დოლარი ღირს. სამაგიეროდ, მათ სასურველი ფერისა და ქუსლის ზომის შერჩევა თავადვე შეუძლიათ.

Continuum Fashion-ის ექსპერიმენტმა გულგრილი მოდის სამყაროს სხვა წარმომადგენლებიც ვერ დატოვა. შემოქმედებით პროცესში ტექნოლოგიების ინტეგრაცია უკვე სხვებმაც სცადეს. უჩვეულო ფეხსაცმელი, სახელად Melonia, მსურველებს დიზაინერმა ნაიმ იოზეფმაც შესთავაზა. ის, არაჩვეულებრივი იმით იყო, რომ სამგანზომილებიან პრინტერზე იბეჭდებოდა, მანამდე კი, მფლობელის ფეხი, ასევე სამგანზომილებიან სკანირებას გადიოდა, რათა მისი ფორმები სრული სიზუსტით გაემეორებინა. ორიგინალური და ტექნოლოგიური Melonia-ს დიზაინი პრესტიჟულ პრემია Brit Insurance Design Award-ზეც იყო ნომინირებული.

კიდევ ერთი ექსპერიმენტი ხელოვნების სამეფო კოლეჯის ინჟინერმა და დიზაინერმა ლუკ ფუსარომ ასევე ფეხსაცმელზე ჩაატარა. Melonia-ს მსგავსად, ფეხის კონტურებს ისიც სრულად იმეორებდა და სულ რაღაც 96 გრამს იწონიდა. ამ შემთხვევაშიც მფლობელი ჯერ 3D სკანირების პროცედურას გადიოდა, შემდეგ კი მიღებული მონაცემების საფუძველზე იქმნებოდა მოდელი, რომელიც იდეალურად ერგებოდა მის ფეხს. „შექმნილი გამარჯვებისთვის“ – აი, ასეთი მოკრძალებული სახელი უწოდა ფეხსაცმელს ავტორმა, რომელმაც მასალად მყარი და მსუბუქი ნეილონი გამოიყენა.

ექსპერიმენტებიდან 3D პრინტერით შექმნილმა სამოსმა უკვე პოდიუმზეც გადაინაცვლა. ჰოლანდიელმა დიზაინერმა ირის ვან ჰერპენმა პარიზში, მაღალი მოდის კვირეულზე სწორედ ასეთი კოლექცია წარადგინა. „ამოპრინტერებულ“ სამოსს კი, ჟურნალმა Time-მა 2011 წლის გამოგონება უწოდა.

ირის ვან ჰერპენი ერთადერთი დიზაინერი არ არის, ვინც საკუთარ კოლექციაში 3D ბეჭდვაზე გააკეთა აქცენტი, ასევე მოიქცა ავსტრალიელი ამელია აგოსტაც, რომელმაც თითოეული ესკიზი 3D მოდელირების პროგრამით შექმნა და შემდეგ, სამგანზომილებიან პრინტერზე დაბეჭდა. ამელია აგოსტას მზა ნივთები და





ფუტურისტული კომპოზიციები აქსესუარებადაც შეიძლება გამოიყენო და დამოუკიდებელი სამოსის სახითაც.

„მე ფსონს პროგრესსა და ტექნოლოგიურ სიახლეებზე ვაკეთებ, ამიტომ თითოეულ კოლექციაში სხვადასხვა ხერხს ვიყენებ. ეს საკმაოდ ცოცხალი, საინტერესო და გამომსახველობითია, მე მომწონს, ჩემი შემფასებლებიც აღფრთოვანებულები არიან“, – ამბობს ამელია აგოსტა.

სამოსის ინოვაციები ამით არ სრულდება. მოდის ერთ-ერთი უკანასკნელი სიტყვა „ჭკვიანი სამოსია“, ინტეგრირებული ტექნოლოგიებით, რომლებიც თანამედროვე ტანსაცმელს არა მარტო მოდურს, არამედ მრავალფუნქციურსაც ხდის. მაგალითად, Levi's-ის ჯინსი iPod-ის ან Burton Snowboards-ის ქურთუკი კაპიუშონში ჩამონტაჟებული ყურსასმენებით, ამერიკული კომპანია SCOTTE-VEST-ის ქურთუკი, რომელსაც მხრებზე მზის ელემენტები უმაგრდება და მობილური მონყობილობების დასამუხტად გამოიყენება. დიზაინერი ენდრიუ შნაიდერი კიდევ უფრო შორს წავიდა და საკუთარ საცურაო კოსტიუმს არასტანდარტული დეტალი დაუმატა. იგი ასევე მზის ელემენტებს აერთიანებს. ასე რომ, თუ ასეთი საცურაო კოსტიუმი გაქვს, თავს ტექნიკის უკანასკნელი სიტყვითაც მიიწონებ და მობილურ ტელეფონსაც დამუხტავ.

იტალიელმა მაურო ტალიანიმ განსხვავებული არჩევანი გააკეთა: „პერანგი ზარმაცებისთვის“, რომელიც ლიმიტირებული რაოდენობით გამოუშვა — ტიტანის, ნეილონის და ნიკელის რთულ კონსტრუქციას წარმოადგენდა. მდგრადი მასალის გამო, ის არ საჭიროებდა გაუთოებას და თავად, მარტივად აღიდგენდა ფორმას. ყველაზე საინტერესო კი ის იყო, რომ ჭკვიანი პერანგი სხეულის ტემპერატურაზე რეაგირებდა და თუ ადამიანს სცხელოდა, მაჯიდან იდაყვამდე თავად მოკლდებოდა.

იტალიური კომპანია Replay კი ჯინსებს მათთვის ამზადებს, ვინც სოციალურ ქსელში ბევრ დროს ატარებს. შარვალი, რომელსაც სახელად უკვე უწოდეს Social Denim, მფლობელს საკუთარი ადგილმდებარეობის და განწყობის ვირტუალურ სამყაროში გაზიარების საშუალებას აძლევს. ამისთვის, მას, ჯიბეში მცირე ზომის მონყობილობა მოჰყვება, რომელიც Apple-ს ან Android-ის ოპერაციულ სისტემაზე მომუშავე სმარტფონს ბლუთუთით უკავშირდება. განწყობის მისათითებლად მფლობელი სპეციალურ „ბედნიერების შკალას“ იყენებს, რომელსაც 8 გრადუსია აქვს. თითოეული მათგანი მომხმარებლის ემოციურ მდგომარეობას დეტალურად – ყველაზე ცუდი განწყობიდან ყველაზე პოზიტიურამდე ასახავს. ადგილმდებარეობის მისათითებლად კი, ჯიბეზე ხელის მარტივი დაჭერაც საკმარისია: მონყობილობა მონაცემს სმარტფონს ავტომატურად გადასცემს. Replay სოციალური ჯინსების ქალისა და მამაკაცის მოდელებს უახლოეს მომავალში გამოუშვებს. მათი ფასი კი 150-დან 199 ევრომდე იქნება.

როგორ ფიქრობთ, როგორი სამოსი იქნება მოდამი 20, არა, მგონი, უფრო ადრეც, ასე, 10 წლის შემდეგ? იქნებ სასურველი ფერის და მოდელის, რომელსაც თავად შეადგენთ და მერე „დაბეჭდავთ“? იქნებ ასეთი ატელიე ყველა ჩვენგანს საკუთარ სახლშიც ჰქონდეს და მას უბრალოდ 3D პრინტერი ერქვას? იქნებ მობილური ტელეფონის და კომპიუტერის ტარება აღარც დაგჭირდეს. რას გაიგებთ — მოდის სამყარო ხომ ტექნოლოგიების სამყაროს მსგავსად, დროს უსწრებს.

ცხელი შოკოლადი - ახლა უკვე თქვენს iPhone, iPad და iPod Touch-ზე



## ითბა iOS-ისთვის

იპითხე ყველგან!

იპითხე კომფორტულად!

[www.lit.ge](http://www.lit.ge)

ითბა iOS-ისთვის საშუალებას გაძლევთ მართივად იპითხოთ [lit.ge](http://lit.ge)-ს ნიშნები და პერიოდულად თქვენს iPhone, iPad და iPod Touch-ზე

პლიკაციის გადმოსაწერად, თქვენი მონეტორიდან iTunes-ზე მოძიებთ „IOTA READER“





საქართველო  
შამკობელი  
**98.5 FM**

[www.facebook.com/RadioTskheliShokoladi](http://www.facebook.com/RadioTskheliShokoladi)

**98.5**

